ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№236 (295) 10-17 სექტემბერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ქართული პოლიტიკა პოლიტიკოსების გარეშე?!

საკასაციოდან დასჯილ 47 დღეზე

საკმაოდ დამაფიქრებელი ფრაზაა, მაგრამ ფაქტია, რომ 2013 წლის დეკემბრიდან ეთნიკურად და რელიგიურად მრავალშრიანი ქართული პოლიტიკური სივრცე გამოცდილი და დროით დაბრძენებული პოლიტიკოსების გარეშე რჩება! და თუ როგორ, ამას ახლავე ავხსნით, თუმცა ჯერ არა გვაქვს პასუხი ფრიად საკრალურ შეკითხვაზე – რატომ?

ახლა საპრეზიდენტო არჩევნების მძაფრი კამპანია მიმდინარეობს, თუმცა ყველამ კარგად ვიცით, რომ ვინც არ უნდა აირჩიონ საქართველოს პრეზიდენტად – **“საცოდავი”** მარგველაშვილი, **“ზედმეტად გადაპრანჭული”** ზურაბაშვილი, **“გულისამრევი”** ნათელაშვილი და თარგამაძე თუ **“ომახიანი”** სიკინჭილაშვილი – არავინ არავითარი ქვეყნისა და ხალხისათვის სასარგებლო საქმის გამკეთებელი არ იქნება და ისინი უბრალოდ, საკუთარი ინერტული ფიზიკური მასით შეავსებენ იმ იერარქიულ ნიშას, რასაც **“საქართველოს პრეზიდენტი”** ჰქვია! რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის შეიძლება გამოვარჩიოთ სხვებთან შედარებით ძლიერი პიროვნება – ნინო ბურჯანაძე, მაგრამ არსებული პოლიტიკური პრესინგის პირობებში მას, ალბათ, გამარჯვება გაუჭირდება...

დღეს ერთადერთი გამორჩეული ფიგურა ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი გახლავთ, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი უძლიერესი პოლიტიკოსია, არამედ იმიტომ, რომ მოახერხა დათრგუნული მასის მობილიზება და პოლიტიკურ სანაგვეზე გაუშვა ყველას მიერ მოძულებული მოძალადე **“ნაცმოძრაობა”**. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული პოლიტიკური მოღვაწე მაგნიტივითაა და იზიდავს აქტიური პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილს, რაც თავისთავად ქმნის მყარ პოლიტიკურ ბალანსს ქვეყანაში და გამორიცხავს საზოგადოების პოლარიზაციას, რაც ყოველთვის შეიძლება გადაიზარდოს უმართავ აგრესიაში. ამის მაგალითად თუნდაც არაბეთის ქვეყნები (ტუნისი, ლიბია, ეგვიპტე, მალე ალბათ – სირიაც) გამოდგებიან, საიდანაც სამხედრო გადატრიალებების გზით განდევნეს დიქტატორები, მაგრამ ამ ქვეყნებს სიმშვიდე მაინც არ ეღირსათ და დღესაც სამოქალაქო ომის ქარცეცხლში არიან გახვეულები. მიზეზი ერთია – ამ ქვეყნებში არ გამოიძებნა ავტორიტეტული პოლიტიკოსი, რომელიც დაჯერებდა საზოგადოებას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ობიექტურობაში, ამიტომაც წამოვიდნენ წინა პლანზე უფერული ფიგურები, რომელთაც სურთ იარაღისა და ტერორის ძალით დაამტკიცონ საკუთარი უპირატესობა, რაც, როგორც წესი, ყოველთვის უდანაშაულო ხალხის სისხლისღვრით მთავრდება. საშიშია, რომ ამ დაავადებით ჩვენც არ დავსნეულდეთ მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი ქართული პოლიტიკიდან წავა და ... ბურთი და მოედანი აშკარად უფერულ პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ ძალებს დარჩებათ. სწორედ ასეთ საზოგადოებაში მძლავრობენ ის ანჩხლი მდედრები და მამრები (სამწუხაროდ, სამეგრელო ამ ხალხის სიმრავლითაც გამოირჩევა), რომლებიც ხმაურითა და დავიდარაბით უშხამებენ სადილს სააკაშვილს და ამ გზით ცდილობენ საზოგადოების ყურადღების მიპყრობას, რადგან სხვა პოლიტიკური **“ბაგაჟი”** მათ არ გააჩნიათ!

დავახასიათოთ თითოეული პოლიტიკოსი ან პოლიტიკური ძალა, საქართველოს მიერ უკანასკნელი დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან.

ერთადერთი მმართველი, რომელსაც საქართველო თავდავიწყებით უყვარდა და ქართული სულის ასაღორძინებლად იბრძოდა, გახლდათ სულგანათლებული ზვიად გამსახურდია, მაგრამ მას მასონებმა არ მისცეს შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის საშუალება. გასაკვირი ამაში არაფერია, მსოფლიოს მასონურ ძალებს, რომელთაც დიდძალი თანხა გაიღეს საბჭოთა კავშირის დასანგრევად, ამ ნანგრევებზე ხელის მოთბობა ჰქონდათ წინასწარ გამიზნული, საქართველო კი სათავისოდ **“გახაზირებული”**, ამიტომ, მათ ხელს არ აძლევდა კავკასიის ამ მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ სივრცეში მდებარე ქვეყნის სათავეში პატრიოტი პოლიტიკოსის ყოფნა, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას ბედი უკვე მაშინ იყო გადაწყვეტილი, როცა იგი საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა, დემოკრატიული არჩევნების შედეგად. ედუარდ შევარდნაძემ და მის მიერ ნაყიდმა **“ქართულმა ინტელიგენციამ”** მძლავრი **“შავი პიარი”** აუგორეს ეროვნულ ხელისუფლებას და იარაღის ძალით დაამხეს იგი (ამ დამღუპველ მოვლენას არაერთი საგაზეთო ინტერვიუ მიუძღვნა ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ). შევარდნაძის გათვლა აქაც მარტივი და **“გენიალური”** გახლდათ – **“რევოლუციის”** სათავეში ის ოდიოზური პიროვნებები აღმოჩნდნენ, რომელთა თავიდან მოცილება **“თეთრ მელას”** არ უნდა გასჭირვებოდა. მართლაც, შევარდნაძემ ჯერ კიტოვანი მოიშორა თავიდან, შემდეგ სიგუა, ბოლოს კი კანონიერ ქურდს ჯაბა იოსელიანს გაუთხარა სამარე. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ამ ტრიუმვირატში ყველაზე ჭკვიანი მაინც ჯაბა იოსელიანი აღმოჩნდა, რადგან მას **“ქურდული წრთობა”** ჰქონდა მიღებული და მენტალურად მეტნაკლებად კარგად ერკვეოდა მასისა და ცალკეულ პიროვნებათა ფსიქოლოგიაში, მაგრამ ყველა უბედურებებში დახელოვნებული შევარდნაძის წინაშე ისინი ვერაფერს გახდნენ და ბედს დამორჩილდნენ. შევარდნაძის **“გენია”** იმაშიც გამოიხატა, რომ მან ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე დაამკვიდრა საქართველოში ე.წ. **“ხავერდოვანი დიქტატურა”**.

როცა შევარდნაძე დაბერდა და ძველებური შემართებით ვეღარ ანგრევდა საქართველოს, ამერიკელებმა იგი **“დამსახურებულ პენსიაზე”** გაუშვეს და ყველა შედავათი შეუნარჩუნეს, ე.წ. **“ვარდების რევოლუცია”** გაითამაშეს და ქვეყნის სათავეში მოიყვანეს მოქალაქეთა კავშირის ახალი თაობა, რომელიც ზედმეტი დამაჯერებლობისათვის **“ახალგაზრდა რეფორმატორებად”** მონათლეს. მაგრამ ეთნიკურად არაქართველმა, შეურაცხადმა სააკაშვილმა 9 წელიწადში უიმედოდ გაფლანგა საზოგადოების ნდობა და, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა მისი პოლიტიკური არენიდან ჩამოშორების საკითხი. თავიდან ხალხმა ნიჭიერ პოლიტიკოსად ჩათვალა სააკაშვილი, რადგან იგი თავისუფლად ფლობდა ხუთ ენას, მაგრამ, ისიც აღვნიშნეთ, რომ საქართველოში მცხოვრები ქურთი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი, რომელსაც კლასიკური განათლება არ გააჩნია, თავისუფლად ფლობს 5-6 ენას. ამრიგად, სააკაშვილის **“პოლიგლოტობა”** მხოლოდ ყოვლად უსარგებლო მაკიაჟი აღმოჩნდა და არა დიდი პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი.

ეს კი იგივეა, მიცვალებული რომ ყვავილების გვირგვინით გაალამაზო! ამით ხომ გარდაცვლილს არაფერი ეშველება?!

შედარებით უკეთესია, თუ დიქტატორი ჭკვიანი მაინც არის, თუნდაც ისეთი, როგორიც პინოჩეტი იყო, რომელმაც 18-მილიარდდოლარიანი საგარეო ვალის მქონე ჩილე ჩაიბარა და სამხრეთ ამერიკის ერთერთ ძლიერ სახელმწიფოდ აქცია იგი. მაგრამ თუ დიქტატორი სააკაშვილივით ნარკომანი და შერიკინებულია, როგორც იტყვიან, ღმერთმა დაგიფაროთ!

ამერიკელებმა, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ ქართველმა ხალხმა სრული უნდობლობა და ზიზღი გამოუცხადა სააკაშვილსა და მის ბანდას, კიდევ ერთხელ გაითამაშეს პოლიტიკური აფიორა, ივანიშვილს მოქკავშირის მეორე ახალგაზრდული ფრთა **“რესპუბლიკელები”** აჰკიდეს, რომელთა პოლიტიკური რეიტინგი ნულის ტოლი გახლავთ და არჩევნებით ისე შეცვალეს საქართველოში მმართველი ძალა, რომ ფაქტობრივი ხელისუფლება არ შეუცვლიათ. ქართველმა ხალხმა კიდევ ერთი ემოციური (არაპოლიტიკური) არჩევანი გააკეთა...

სწორედ ამიტომ აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა, რომ პრემიერ-მინისტრობიდან წასვლის შემდეგ მძლავრ არასამთავრობო ორგანიზაციას შევქმნი, რათა ხალხში პოლიტიკური განათლება ავამაღლოთ, რომელიც დღეს ფაქტიურად არ არსებობს! ამას კი ზუსტად ისეთი რეაქცია მოჰყვა, როგორიც რუსი მწერლის ასტაფიევის ნაწარმოებს **“ჭიჭყინების ჭერა საქართველოში”**, რომლის ავტორი ამტკიცებდა, რომ ქართული საზოგადოება ავად არის და მას მკურნალობა ესაჭიროებაო. უტყუარი დიაგნოზი დაგვისვა ამ მართლაც ნიჭიერმა ჰუმანისტმა მწერალმა და ნაცვლად იმისა, რომ მისთვის მადლობა გვეთქვა და საფუძვლიანად გვემკურნალა, ლამის მიწის ქვეშ ამოვდეთ ასტაფიევი.

შედეგი, როგორც იტყვიან, სახეზეა!

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად სამართლიან შენიშვნას აკეთებს ქართული საზოგადოების პოლიტიკურ უმწიფრობაზე, რადგან ჩვენი არჩევანი, როგორც წესი, გახლავთ არა ღრმა პოლიტიკური ანალიზის შედეგი, არამედ ყოვლად საძრახის უმარტივეს ფორმულას ბრმად გამოდევნება: **“ოღონდ ეგ ნუ იქნება და ვინც გინდა ის იყოს”**. სწორედ ამით სარგებლობენ საქართველოს გადასანსვლის მსურველები და საკუთარ ნებაზე გვათამაშებენ. ამგვარი ბრმა არჩევნის დამღუპველი შედეგი კი არაერთგზის ვიწვნიეთ საკუთარ თავზე, მაგრამ, როგორც იტყვიან: **“ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ”!**

ამრიგად, როცა ქვეყნის მმართველ ძალას არ გააჩნია პოლიტიკური რესურსი, იგი მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსის ამარა რჩება, რაც ნებისმიერი პოლიტიკური პრობლემის ძალის მეთოდებით გადაწყვეტას ნიშნავს. შევარდნაძისა და სააკაშვილის გამოცდილებიდან გამომდინარე, კარგად იცით, სადამდეც შეიძლება მიგვიყვანოს ამ მეთოდებით ქვეყნის მართვამ.

დიახ, დიქტატურამდე!

თუმცა, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვარწმუნებს, რომ დიქტატურის დამყარებას დიდი სიბრძნე, პოლიტიკური გამჭრიახობა, ასკეტიზმამდე დასული პირადი თავშეკავებულობა, დიდი ცოდნა, რკინისებური ნებისყოფა, ემოციის მიჩქმალვის უნარი, ცბიერება და პოლიტიკური ინტრიგების ხლართვის განუმეორებელი ნიჭი სჭირდება (როგორც ხედავთ, უნებლიედ შევარდნაძის პორტრეტი **“შემომეხატა”**. მიუხედავად ჩემი დიდი ანტიპათიისა ამ პოლიტიკური ავანტიურისტისა და საქართველოს დაუძინებელი მტრის მიმართ, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ იგი გახლდათ ბოროტი, მაგრამ მაინც გენიალური სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც სარფიანად მიჰყიდა ამერიკელებს ჯერ საბჭოთა კავშირი, შემდეგ კი საქართველო!!!). მაგრამ, აბა მითხარით, ნამდვილ დემოკრატ ივანიშვილის წასვლის შემდეგ დარჩენილ პოლიტიკოსთაგან (თუ მათ საერთოდ შეიძლება პოლიტიკოსები ვუწოდოთ) რომელ ერთს გააჩნია დემოკრატის ან დიქტატორის თვისებები? ინტრიგებსა და დაუნდობლობაში შეიძლება დიქტატორის კლასიკურ ტიპს ოდნავ მიუახლოვდეს მიხეილ სააკაშვილი (რომელმაც შევარდნაძისაგან ტიპიური ტოტალიტარული მმართველის პოსტი ჩაიბარა), მაგრამ მისი უკულტურობა, ნარკომანია, ღორმუცელობა, მექალთანეობა და უზნეობა აშკარად ვერ ჩააყენებს მას დიდ დიქტატორთა რიგში, რაც მისმა უსახელო პოლიტიკურმა აღსასრულმაც დაადასტურა! მოკლედ, ქვეყანას ან დიქტატურა უნდა მართავდეს, ან დემოკრატია, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ქვეყანაში, პოლიტიკური ვაკუუმის წარმოქმნის შედეგად, ქაოსი და განუკითხაობა დაისადგურებს, რომელსაც სათავეში აუცილებლად მოექცევა ახალი ტიპის ყვარყვარე თუთაბერი...

გადახედეთ საპრეზიდენტო კანდიდატების სიას და იოლად დარწმუნდებით, რომ ერთ ყვარყვარეს მაინც ვერანაირად ვერ ავცდებით!

ჩვენზე კარგად კი არც ქაოსი და განუკითხაობა იცის ვინმემ, რადგან მთელი ეს ანარქიული კოქტეილი მწარედ ვიწვნიეთ საკუთარ თავზე, წლების განმავლობაში!

ამიტომ აყენებდა სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”**-ს აქტივი დღის წესრიგში ქართული პოლიტიკური სპექტრის განახლებისა და გაძლიერების საკითხს და სთხოვდა ერთადერთ ძლიერ, გამჭრიახ და ყოველი დადებითი თვისებებით გამორჩეულ გამოცდილ პოლიტიკოსსა და ანალიტიკოსს ბატონ **ალექსანდრე ჭაჭიას**, რომ მას კენჭი ეყარა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე.

და ვიდრე ბატონი ალექსანდრე არ დათანხმდება ფართო საზოგადოების აღნიშნულ მოთხოვნას, მანამდე საქართველოში უამრავი გადაუჭრელი პრობლემა გვექნება!

როლანდ ჯალაღანია,
მთავარი რედაქტორი

აფხაზეთის კონფლიქტის შეფასებისათვის – ზოგიერთი იურიდიული ასპექტი

ბევრი დაიწერა აფხაზეთის საკითხზე, კიდევ ბევრი დაიწერება, მაგრამ ალბათ აუცილებელია შევისწავლოთ საკითხი პოლიტიკურ, სამართლებრივ, ისტორიულ და ფსიქოლოგიურ პლანში და ამის შემდეგ დავიწყოთ რეალური ნაბიჯების გადადგმა.

ძნელია გააკეთო შეფასება აფხაზეთში 1992-1993 წლებში განვითარებულ მოვლენებზე.

შეიძლება ითქვას, რომ არსებობდა აფხაზეთის კონფლიქტის წარმოშობის როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ წლებში, ალბათ, ყველაზე საუკეთესო შესაძლებლობა იყო გადაგვეწყვიტა აღნიშნული საკითხი. ეს იყო შესაძლებლობა, როდესაც აფხაზებს და ქართველებს შეეძლოთ გარკვეულწილად დამოუკიდებლად მოელაპარაკებინათ და მიეღწიათ რაღაც შეთანხმებისათვის, მაგრამ არ არსებობდა ამის სურვილი.

ამიტომ არსებობს კითხვები და ამ კითხვებზე გაუცემელი პასუხები. აუცილებელია შეფასება იმ პოლიტიკური მოვლენისა, რომელსაც **"აფხაზეთის ომი"** ჰქვია, ზოგადად აფხაზეთის საკითხი, 1992 წლის 6 იანვრიდან 1993 წლის 30 სექტემბრამდე. საქართველოში არცერთი მოწვევის პარლამენტს არ შეუქმნია საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლიდა აფხაზეთის ომის დაწყების, ამ ომში დამარცხების საკითხს.

თუ ომი იძულება იყო, ვის მიერ იყო თავსმოხვეული ეს ომი საქართველოსათვის. ვინ შეუკვეთა ომი და ეს შეკვეთა ხომ არ მოდიოდა იმ ინერციით, რაც საქართველოში ომის დაწყებამდე 7-8 თვით ადრე მოხდა – მხედველობაში გვაქვს 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება.

ეჭვსგარეშეა, რომ ომის დაწყებას ჰქონდა იურიდიული წინაპირობა. ამ შემთხვევაში საჭიროა განვხილოთ ის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა აფხაზეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. კერძოდ, 1992 წლის თებერვალში სამხედრო საბჭომ გააუქმა საქართველოს მაშინ მოქმედი 1978 წლის (შესწორებული) კონსტიტუცია და გამოაცხადა 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რაც, შესაძლოა ითქვას, აბსოლუტური იურიდიული ნონსენსი იყო. ეს განახორციელა ე.წ. სამხედრო საბჭომ კიტოვანის, იოსელიანისა და სიგუას შემადგენლობით.

მიუხედავად იმისა, რომ დეკრეტში აღნიშნული იყო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსი არსებული რეალობის გათვალისწინებით, ამ დოკუმენტს აკლდა ყოველგვარი სამართლებრივი ლეგიტიმაცია.

პრაქტიკულად საქართველო დარჩა კანონიერი ხელისუფლების გარეშე, დარჩა ძირითადი კანონის გარეშეც, სადაც დაფიქსირებული იყო საქართველოს ტერიტორიული მოწყობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი. აღნიშნული ქმედებით შესანიშნავად ისარგებლა ვლ. არძინბას ხელისუფლებამ. 1992 წლის 23 ივლისს გამოაცხადა 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის ამოქმედება. საფუძველი იყო შემდეგი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა 1921 წლის კონსტიტუციაში **"საერთოდ არ იყო მითითებული"** (თუმცა მითითებული იყო 107-ე მუხლში, მაგრამ არ იყო განსაზღვრული იურიდიული სტატუსი). შესაბამისად **"გაწყდა"** იურიდიული ურთიერთობა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის.

1978 წლის კონსტიტუციის გაუქმებით შეიქმნა სამართლებრივი ვაკუუმი, ვინაიდან არ არსებობდა სხვა იურიდიული აქტი გარდა გაუქმებული კონსტიტუციისა, რომელიც მოაწესრიგებდა საქართველოს ტერიტორიულ მოწყობას და ეს იურიდიულად სწორი მოსაზრებაა. ნურავინ იტყვის, რომ ის კონსტიტუცია უკანონო იყო, ვინაიდან დღესაც მოქმედებს საქართველოში 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, სათანადო შესწორებებით.

უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იყო იურიდიული შეცდომა საქართველოს მხრიდან და პრაქტიკულად ომის დასაწყისისათვის მზადება. ამის საუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ თავად სამხედრო საბჭოს დოკუმენტში იქნა გათვალისწინებული არსებული რეალობა (სტატუსი) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებით. კერძოდ, დეკრეტში არსებობდა დათქმა, რომ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი რჩებოდა იგივე, რაც განსაზღვრული იყო 1978 წლის კონსტიტუციით. ისმის კითხვა: რატომ გახდა საჭირო, რომ ეს ჩაწერილიყო სამხედრო საბჭოს 1992 წლის თებერვლის დეკრეტში, მაშინ, როდესაც ის ეწერა კონსტიტუციაში?

1992 წლის 12 აგვისტოს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ, კერძოდ ვლ. არძინბამ მიმართა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, სადაც ის აღნიშნავდა, რომ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენით აფხაზეთსა და საქართველოს შორის შეიქმნა იურიდიული ვაკუუმი და საჭირო იყო ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები მოწესრიგებულიყო სახელშეკრულებო საფუძველზე, რასაც ქართული მხარის მიერ პასუხი არ მოჰყოლია. უბრალოდ, დაიწყო საომარი მოქმედებები, შემდეგი მიზეზით – უნდა დაგვეცვა რკინიგზა.

შესაძლოა გვითხრან, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შეეძლოთ ქართულ შეიარაღებულ ძალებს გადაადგილებაო. რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ ნორმალურ სახელმწიფოში, სადაც არსებობს რეგულარული ჯარი და კანონიერი ხელისუფლება. 1992 წლის 14 აგვისტოს როგორი სამხედრო ფორმირებები გვყავდა, ალბათ ამაზე კამათი არ ღირს და როგორ დაიცვეს ამ სამხედერო ფორმირებებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზა, ესეც, არა გვგონია საკამათო იყოს.

არძინბას ხელისუფლების მხრიდან ეს თითიდან გამოწოვილი საკითხი იყო, რომლითაც ისარგებლა აღნიშნულ მომენტში. რა თქმა უნდა, თითიდან გამოწოვილი იყო, მაგრამ, ამ შემთხვევაში, დგება მეორე საკითხი: რა ორგანო იყო სამხედრო საბჭო, რომელსაც შეეძლო თავისი 1992 წლის თებერვლის დეკრეტით გაეუქმებინა საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია? რამდენად ჰქონდა ამ დეკლარაციას იურიდიული ძალა? იმ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ არძინბას რეჟიმის მიერ არაკანონიერი იყო 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის შემთხვევაში საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას სამართლებრივი ვაკუუმის წარმოშობა?

საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა სამართლებრივ ვაკუუმშია მოქცეული. ფაქტია, რომ სამხედრო საბჭოს აღნიშნულმა სამართლებრივმა აქტებმა წარმოშვეს იურიდიული პრობლემა, რომელმაც ომამდე მიგვიყვანა და სეპარატისტულ რეჟიმს მისცა საშუალება შეექმნა იურიდიული ბაზისი თავისი მოქმედებისათვის. დღეს მოქმედი კონსტიტუციაც ვერ აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიულ მოწყობას, საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნამდე. (1995 წლის კონსტიტუციის მე-2 მუხლი). შესაბამისად, დღეს მოქმედი კონსტიტუცია ირიბად აფიქსირებს სამხედრო საბჭოს მიერ 1992 წლის დეკრეტით 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმებას და გრძელდება საქართველოს კანონმდებლობაში ის სამართლებრივი ვაკუუმი აფხაზეთთან მიმართებაში, რომელიც ამ დეკრეტის შემდეგ წარმოიშვა, მაშინ, როდესაც 1978 წლის კონსტიტუციაში აღნიშნული საკითხი მოგვარებული იყო, ანუ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განსაზღვრული იყო. საუბარი გვაქვს მხოლოდ იურიდიულ ნიუანსებზე და არა ფაქტობრივ მდგომარეობაზე.

აბსოლუტურად გაუგებარია 1992 წლის სამხედრო საბჭოს თებერვლის დეკრეტის სამართლებრივი მნიშვნელობა. აღნიშნულმა დეკრეტმა პრაქტიკულად შექმნა იურიდიული მარცხი აფხაზეთთან მიმართებაში, რაც შემდგომში განვითარებული მოვლენების წინაპირობა იყო. ამიტომ არის აუცილებელი 1991-92 წლების, როგორც სამხედრო გადატრიალების, ასევე აფხაზეთის ომის და ამ ომის დაწყების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება.

რატომღაც დღესაც არ არსებობს პოლიტიკური ნება, რათა საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. რამ გამოიწვია აფხაზეთის ომი, რა სამართლებრივი წინამძღვრები ჰქონდა ამ ომს, შეფასდეს თავად ომის პერიოდში განვითარებული მოვლენები, რამ გამოიწვია მარცხი, და რა შეცდომები დაუშვა საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდლობამ, რომელმაც საშინელი შედეგები მოიტანა. განხორციელდა ქართველი და აფხაზი ხალხის გენოციდი და ამ ხალხის **"სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს"**. ეს სამართალი უნდა დადგინდეს. უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც დასასჯელია. უნდა დადგეს ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც დაუშვა ეს ომი, როგორც იურიდიულად, ასევე ფაქტობრივადაც.

აფხაზეთის კონფლიქტის წარმოშობაში დიდი დაინტერესება რუსეთს ჰქონდა. შესაბამისად, ადვილი სავარაუდო იყო, რომ თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიწყებოდა საომარი მოქმედებები, რუსეთი კონფლიქტში ჩაურევლობის განცხადებების ფონზე აუცილებლად ჩაერეოდა ამ ომში, რაც განხორციელდა კიდეც. მეტიც, ის ფაქტობრივად დაფიქსირდა ამ ომში ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის სახით, ასევე რეგულარული საზღვაო-სამხედრო და საავიაციო ძალების სახით. აფხაზეთის ხელში ჩაგდებით რუსეთი დღესაც აკონტროლებს კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეს და ჩვენს შეცდომას დღესაც წარმატებით იყენებს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ზვიად გამსახურდიას მიერ აფხაზეთის საკითხის მოწესრიგებისათვის მიღებული იყო რიგი ღონისძიებები. კერძოდ, 1991 წლის ზაფხულში მიღებულ იქნა კომპრომისული კანონი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ, რომელზედაც მუშაობდა ცნობილი იურისტი, დოქტორი ლევან ალექსიძე.

მოგვიანებით, 1992 წლის 6 იანვრიდან, აღნიშნულ კანონს ეწოდა **"აპარტეიდული"** კანონი, თუმცა აღნიშნული კანონით საქართველომ თავიდან აიცილა იმჟამად სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან. ანუ კონფლიქტი დროებით მოწესრიგდა. მით უმეტეს, რომ 1989 წელს სახეზე გვქონდა შეიარაღებული დაპირისპირება, სადაც 17 საქართველოს მოქალაქე დაიღუპა – 11 ქართველი, 5 აფხაზი და ერთ ბერძენი, ხოლო ოთხასამდე ადამიანმა სხეულის დაზიანება მიიღო.

1991 წლის საარჩევნო კანონით აფხაზებს არ ჰქონდათ საშუალება მიეღოთ საკონსტიტუციო გადაწყვეტილება, ანუ ვერ აგროვებდნენ კვორუმს საკონსტიტუციო ცვლილებებისათვის. სამხედრო გადატრიალებიდან დაწყებული შეცდომები, აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში, გახშირდა.

გარდა 1992 წლის თებერვლის დეკლარაციისა, რომლითაც გაუქმდა საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, 1992 წლის 25 მაისიდან აფხაზეთის უმაღლესი საბჭო დატოვა ქართულმა დეპუტაციამ, რომლებიც 26 ადამიანის შემადგენლობით იყვნენ წარმოდგენილი უმაღლეს საბჭოში. ეს სხდომა ბოლო სხდომა იყო, რომელსაც ქართული დეპუტაცია დაესწრო. მოხდა აფხაზეთის კონფლიქტის ესკალაცია, როგორც იურიდიულად, ასევე ფაქტობრივად და მოხდა მხარეების (აფხაზები და ქართველები) პოზიციების რადიკალური პოლარიზაცია, რასაც მოჰყვა საქართველოს პოლიტიკური კოლაფსი. რატომ განხორციელდა ეს ქმედება, დღემდე ბურუსითაა მოცული. რა პოლიტიკური შედეგი მოიტანა ქართული დეპუტაციის მიერ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ბოიკოტმა, გაუგებარია, მით უმეტეს, რომ სწორედ ქართული დეპუტაციის მიერ უმაღლესი საბჭოს დატოვების შემდეგ მოახერხა არძინბამ საკონსტიტუციო გადაწყვეტილებების მიღება და აღადგინა 1925 წლის აფხაზეთის სს რესპუბლიკის კონსტიტუცია.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს იმჟამინდელი სახელმწიფო საბჭოს მიერ ყველა ნაბიჯი გადაიდგა ომისაკენ და მთელი 7-8 თვის განმავლობაში არავის ჰქონია სურვილი მომხდარიყო მოლაპარაკება, თუნდაც უშედეგო, მაგრამ არ მივსულიყავით ომამდე. ამის სურვილი ნაკლები იყო მაშინდელ სახელმწიფო საბჭოში.

სიტუაცია დაიძაბა, როგორც თბილისში, ასევე აფხაზეთში, ადგილობრივი ქართველი პოლიტიკური ფიგურების მიერ. მიზეზი ბევრი იყო. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ საჭირო იყო დევნილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრე ძალების განეიტრალება, რასაც თბილისშიც და შემდეგ სამეგრელოშიც მოჰყვა ეგზეკუციები.

შეიძლება ითქვას, აფხაზეთში ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერდა დევნილ პრეზიდენტს. სწორედ ამით უნდა აიხსნას სახელმწიფო საბჭოს და მისი თავმჯდომარის მიერ აფხაზეთის საკითხის აბსოლუტური იგნორირება. ყველაფერი გადაწყდა ვიწრო პოლიტიკური კლანის ინტერესების შესაბამისად. ხელისუფლების შენარჩუნების მცდელობამ მეორეხარისხოვანი გახადა სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ინტერესები ისეთ უმნიშვნელოვანეს რეგიონში, სადაც ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ჩვენს დიდ მეზობელს საკმაო სამუშაო ჰქონდა ჩატარებული, ათწლეულების განმავლობაში, სეპარატიზმის გაღვივებისათვის, რაც კარგად ჩანს მათ მიერ დაწერილ პოლიტიკურ-ისტორიულ მასალებში, რომლითაც დღეს სავსეა აფხაზურ-რუსული ინტერნეტ საიტები.

მაშინდელ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ომისათვის მზადება რომ მიმდინარეობდა და გამორიცხული რომ იყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, ეს შეიძლება დავინახოთ მოვლენების შემდეგ ქრონოლოგიაში: სამხედრო გადატრიალების შემდეგ თბილისში დევნილი პრეზიდენტის მხარდამჭერი მასობრივი მიტინგების დახვრეტა, სამეგრელოში დევნილი პრეზიდენტის მომხრეების მასობრივი განადგურება და ძარცვა, სამხედრო საბჭოს 1992 წლის თებერვლის დეკლარაცია 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმებაზე და 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, სამხედრო საბჭოს ძალების გადაადგილება აფხაზეთში 1992 წლის თებერვალ-მარტში დევნილი პრეზიდენტის მხარდამჭერების დასასჯელად, 1992 წლის მარტ-აპრილის სადამსჯელო ღონისძიებები სამეგრელოში. **მეორე,** 1992 წლის 25 მაისს ქართული დეპუტაციის მიერ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დატოვება, რომელიც მითითების გარეშე ვერ მოხდებოდა, 1992 წლის 14 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს შენაერთების გადაადგილება აფხაზეთში და ომის დაწყება, 1992 წლის 15 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე შევარდნაძის გამოსვლა, სადაც ის ამბობს: **"როგორც ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, ჩვენ არაფერზე არ შევჩერდებით. ამიტომ, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მოვკვდეთ თავად, მაგრამ გავანადგუროთ ყველაფერი, რაც შესაძლოა იყოს ჩვენი სახელმწიფოს გაყოფის მიზეზი..."**

აი, ეს არის ქრონოლოგია მოვლენებისა, რომელმაც აფხაზეთში ომამდე მიგვიყვანა, რამაც გამოიწვია ქართველი ხალხს გენოციდი.

აფხაზეთის ომი დაიწყო საქართველოს მოქალაქეების გაღატაკებისა და უკანასკნელი თანხების წაგლეჯვის ხარჯზე. სიგუას მთავრობამ 1992 წლის ივნისში გამოაცხადა უპრეცედენტო საანაბრო პოლიტიკა. როგორც ვიცით, მაშინ საქართველო ისევ მანეთის სივრცეში იმყოფებოდა. საანაბრო პოლიტიკა მდგომარეობდა შემდეგში – თუ შემნახველ ბანკში შეიტანდი 1 მანეთს, ერთი წლის შემდეგ 100-პროცენტიან დივიდენდს მიიღებდი. 8 მილიარდი მანეთი შევიდა ბანკში, რითაც, პრაქტიკულად, შევარდნაძის სახელმწიფო საბჭომ აფხაზეთის ომის დაფინანსება შესძლო. 1993 წლის აპრილიდან საქართველოში კუპონის ფულადი ერთეული შემოვიდა ბრუნვაში. ეს კი პრაქტიკულად იყო მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო აფიორა, რომელიც შევარდნაძის მაშინდელმა კლანმა განახორციელა. არაერთი პირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რომ აფხაზეთში ომის დაწყება წინასწარ გამიზნული იყო.

აფხაზეთის ომს 30.000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა – როგორც სამხედრო, ასევე მშვიდობიანი მოსახლისა. 300.000 ადამიანი ლტოლვილად იქცა. 2.000 კაცამდე დაიღუპა ომის დამთავრების შემდეგ. და დღეს, 20 წლის შემდეგ კიდევ პასუხგაუცემელი რჩება მთავარი კითხვა: რატომ და რისთვის?

მარინა იზორია,
პოლიტილოგი, პროფესორი

ამბები სამეგრელოდან

რა შემთხვევაში დატოვებს "ქართული ოცნების" წევრთა უმრავლესობა წალენჯიხის შტაბს?

კოალიცია **"ქართული" ოცნების"** პრეზიდენტობის კანდიდატის წინასაარჩევნო შტაბები თითქმის ყველა რეგიონში დაკომპლექტდა, მათ შორის სამეგრელოშიც. როგორც **"ქართული ოცნების"** სამეგრელოს რეგიონის კურატორმა, ხვიჩა ჯიშკარიანმა საინფორმაციო სააგენტო **smo.ge**-ს განუცხადა სამეგრელოშიც თითქმის დასრულებულია ეს პროცესი და წინასაარჩევნო შტაბები ისევ პარტიის ხელმძღვანელებმა შეითავსეს. რაც შეეხება ზუგდიდსა და წალენჯიხას, ჯიშკარიანის განცხადებით წინასაარჩევნო შტაბის ხელმძღვანელების ვინაობა აქაც ორ-სამ დღეში გახდება ცნობილი.

"მიმდინარეობს საკონკურსო შერჩევა ძირითად შტაბში და განიხილება ხუთი კანდიდატურა. გადაწყვეტილება, თუ ვინ გახდება შტაბის ხელმძღვანელი ზუგდიდსა და წალენჯიხაში, ორ-სამ დღეში იქნება ცნობილი" – განაცხადა ხვიჩა ჯიშკარიანმა.

ზუგდიდსა და წალენჯიხაში ახალი შტაბის ხელმძღვანელს თავად ამ შტაბებში დიდი ინტერესით ელოდებიან, თუმცა ზუგდიდისგან განსხვავებით წალენჯიხაში წინასწარ გათვლებსაც აკეთებენ. **"ქართული ოცნების"** წალენჯიხის ოფისში აცხადებენ, რომ დიდი ეჭვი აქვთ საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბელქანიას მიერ ხელდადებული კანდიდატურა შემოაპარონ, რასაც არ დაუშვებენ და სათანადოდაც გააპროტესტებენ.

"ბევრჯერ იყო მცდელობა, რომ სწორედ დავით ბელქანიას მიერ რეკომენდირებული კანდიდატურა შემოგვაპარონ, თუმცა ეს გადაწყვეტილებები მთავარმა შტაბმა ბევრჯერ შეცვალა. ახლა ნამდვილად არ ვიცით საბოლოოდ რომელ კანდიდატზე შეჯერდებიან, თუმცა ერთი რამ დანამდვილებით გვაქვს გადაწყვეტილი. არაფრით არ დავუშვებთ დავით ბელქანიას მიერ რეკომენდირებული პიროვნების შტაბში შემოშვებასაც კი. თუ ეს მაინც გაკეთდა, მაშინ აბსოლიტური უმრავლესობა დატოვებს "ქართული ოცნების" შტაბს წალენჯიხაში" – აცხადებენ **"ქართული ოცნების"** აქტივისტები.

ზუგდიდის სოფლებში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დაფინანსებული პროექტების ფარგლებში სოფელ ყულიშკარში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო.

სოფელ გრიგოლიშის წყალსაცავიდან ყულიშკარის მოსახლეობა სასმელ წყალს უწყვეტ რეჟიმში მიიღებს. რეგიონალური განვითარების ფონდიდან ყულიშკარის წყალმომარაგების რეაბილიტაციაზე სულ 132.540 ლარი დაიხარჯება.

ამავე ფონდიდან გარემონტდება ხიდი რომელიც ყულიშკარის თემს ახალსოფლის თემთან აკავშირებს. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით კი ყულიშკარში სატრანსპორტო მოსაცდელების რებილიტაცია უკვე დაიწყო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ზუგდიდში პროექტების განხორციელება გრძელდება

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფელ კახათში, სათოლორაიოს უბანში ახალი ბეტონის სატრანსპორტო ხიდი გაიხსნა, რომელიც სოფლის ორ უბანს ერთმანეთთან დააკავშირებს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან ახალი ხიდის ასაშენებლად 18.000 ლარი გამოიყო. აგრეთვე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოხდა მინი საფეხბურთო სტადიონის განათება. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფელ კახათში გაკეთდება სანიაღვრე არხები, 5 ხიდ-ბოგირი, ახალი მინი სტადიონი ქვემო კახათის უბანში და მოხდება სოფლის შიდა გზების მოხრეშვა.

რეგიონალური განვითარების პროგრამით კი სოფელ კახათში საგუგუჩიოს უბანში აიგება 9 მეტრი სიგრძის ახალი სატრანსპორტო ბეტონის ხიდი, რომელიც ამავე პროგრამის ფონდიდან დაფინანსებულია 32.000 ლარით.

სოფლის რწმუნებულმა ადგილობრივი მაცხოვრებელი სცემა

ინციდენტი მოხდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში. სოფლის რწმუნებულმა და მისმა მოადგილემ ადგილობრივი მაცხოვრებელი მათთვის არასასურველი კითხვის დასმისთვის სცემეს. როგორც თვითმხილველები აცხადებენ ადგილობრივმა ჯამბულ შონიამ სოფლის რწმუნებულს ვახტანგ კვირკველიას კითხვა გაუცემელ სასოფლო-სამეურნეო ბარათებზე დაუსვა, პასუხად კი წიხლი მიიღო.

"თავიდან მათ შორის საუბარი წარიმართა იმაზე, თუ რატომ არ დარიგდა სოფელში სასოფლო-სამეურნეო ბარათები. ჯამბულ შონია ეკითხებოდა, რა დავაშავე ასეთი, რომ ბარათი არ მაღირსეთ და წელს უშემოსავლოდ დამტოვეთო. ამის თქმა იყო და რწმუნებულმა ფეხი მოუქნია, წიხლებს ურტყამდა. ჩხუბში მოგვიანებით მისი მოადგილეც ჩაერთო." – აცხადებენ ადგილობრივები.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაზარალებულმა ჯამბულ შონიამ პოლიციაში განაცხადა და საქმეც აღძრულია, თუმცა ამის შესახებ ჯერჯერობით კომენტარები არ კეთდება.

შეგახსენებთ, რომ წალენჯიხის რაიონის სოფელი ლია, ერთ-ერთი სოფელია, სადაც სასოფლო-სამეურნეო ბარათებთან დაკავშირებით დიდი პრობლემები შეიქმნა. ადგილობრივების განცხადებით წალენჯიხის თვითმმართველმა ორგანოებმა მოსახლეობის დიდ ნაწილზე ბარათები საერთოდ არ გასცა, რასაც ხალხის პროტესი მოჰყვა. აღნიშნული პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

ანაკლიაში 44 სართულიანი ბიზნეს ცენტრი და სასტუმრო აშენდება

ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი პროექტი. სწორედ ასე უწოდებენ პროექტს, რომლის განხორციელებაც 2013 წლის დეკემბრიდან დაიწყება და 2016 წლის დეკემბრისთვის დასრულდება.

ზუგდიდის რაიონში, კონკრეტულად კი ანაკლიაში 44 სართულიანი სასტუმრო და ბიზნეს ცენტრი ერთდროულად აშენდება. ყველაზე მაღალი ტყუპი შენობების ასაშენებლად ინვესტიციებს ანაკლიაში ქართველი და უცხოელი ბიზნესმენები ჩადებენ. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო **smo.ge**-ს საკუთარმა წყარომ ექსკლუზიურად შეატყობინა.

სასტუმროს და ბიზნეს ცენტრის აშენების იდეა ქართველ ბიზნესმენს, თემურ ქარჩავას ეკუთვნის. მასთან ერთად ინვესტიციებს უცხოური კომპანიებიც ჩადებენ. თემურ ქარჩავა სასტუმროსა და ბიზნეს-ცენტრს ანაკლიაში სწორედ იმ ადგილას ააშენებს, სადაც მას სააკაშვილის ხელისუფლების დროს კუთვნილი მიწის ნაკვეთები წაართვეს.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ბიზნესმენმა წართმეული მიწის ნაკვეთები სასამართლოს გზით ისევ უკან დაიბრუნა. 44 სართულიანი ახალი ბიზნეს ცენტრი და სასტუმრო **"ანაკლია პორტის"** ტერიტორიაზე აშენდება.

მშვენიერი წალენჯიხა

სამეგრელოს ულამაზეს ადგილებს ამშვენებს წალენჯიხის სანახები. ერთი თვალის შევლებითაც კი სამარადჟამოდ მოგნუსხავთ აქაური ბუნება.

"ლაკადა" მთისწინა სამეგრელოს აღნიშნავს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩქვალერს სამკაულად მორგებია მდინარე ინწრა – 35 მეტრის სიმაღლიდან ეშვება მდინარის ჩანჩქერი და ხავსების საუფლოში, ბზის ათასწლოვან კორომთა შორის მირაკრაკებს. აქ ყველაფერი მისტიკური ეჩვენება ადამიანს, ვიწრო ბილიკი ალპური მინდვრებისკენ უხმობს თავგადასავლის მოყვარულს. ყოველი ნაბიჯი ყვირას მასივს გაახლოებს.

მსოფლიოს ერთ-ერთ იშვიათობას "ქუაქანცალიას" აქ ნახავთ. აი, რას გვიყვება მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა: "ქვაცანცალა – მოქანავე ლოდი, მდებარებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 1800 მ. სიმაღლეზე, მთა ყვირას უტყეო ზონაში. ნიადაგზე "ზის" კირქვული ლოდი, რომლის სიგრძე 2 მ აღემატება, ხოლო წონა 10-12 ტონას. "ქუაქანცალას" ლოდი, მის რომელიმე წიბოზე თუნდაც სუსტი მიწოლით (ხელის მიბჯენით) იწყებს ქანაობას და თან კაკუნის ხმას გამოსცემს."

ყვირას მასივი კარსტული გახლავთ და ამდენად სპელეოლოგებისთვის მეტად საყურადღებოა. სამეცნიერო ლიტერატურაში (დოკუმენტი, სამეგრელოს დაცული ტერიტორიების შესაქმნელად) ამგვარ ინფორმაციას ვკითხულობთ: "წულიშის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ყვირას კირქვული მასივი, რომელიც მდ. მაგანასა და ჭანისწყლის წყალგამყოფის დასავლეთ დაბოლოებს ქმნის. ყვირას მასივი სამკუთხედის ფორმისაა, რომლის მახვილი მაღალი დაბოლოება ზღვის დონიდან 2037 მ-მდეა ამაღლებული. ყვირას მასივის ჩრდილო ფერდობი კირქვებით აგებული ქარაფებით არის წარმოდგენილი. სამხრეთი ფერდობის ზედა, ტყის საფარს მოკლებული ნაწილი მდიდარია სხვადასხვა სიდიდისა და სიღრმის კარსტული ძაბრებით, ხოლო შუა ნაწილი, რომელიც ტყით არის შემოსილი, სუსტად არის დანაწევრებული. მდ. ინწრასა და მორჟას შენაკადებით ყვირას მასივი კარსტული რელიეფის ინტენსიური განვითარებით გამოირჩევა. აღსანიშნავია ამ მასივზე განვითარებული ცოტნე დადიანისა და ალბოვის ღრმა კარსტული ჭები, რომლებიც ზედაპირიდან მხოლოდ 50-80 მეტრ სიღრმემდე არის შესწავლილი."

შეიძლება სულ მალე საქართველოს უძველესი ისტორია ახალი ფურცლით შეივსოს

სამეგრელოს ულამაზეს, მაღალმთიან სოფელ კირცხზე მკითხველს ადრეც მოვუთხრეთ. ჩვენი ყურადღება სოფლის ტერიტორიაზე უძველეს ნამარხებში აღმოჩენილმა არტეფაქტებმა მიიპყრო. ამავე სოფლის მკვიდრი, აწგარდაცვლილი ქალბატონი ვალია ბეჭვაია არამარტო სოფლის ეთნოისტორიას შეისწავლიდა წლების განმავლობაში, არამედ თანასოფლელთა მიერ შემთხვევით ნაპოვნ უძველეს ნივთებსაც აგროვებდა, აღწერდა და რუდუნებით ინახავდა. ქალბატონ ვალიას მიერ დაწყებული მამულიშვილური საქმე შვილისშვილმა თამთა ჭითანავამ და მისმა თანამოაზრეებმა განაგრძეს. სასკოლო მუზეუმი, სადაც წლების მანძილზე გროვდებოდა და ინახებოდა 2 ათასზე მეტი ექსპონატი, რომელიც მიეკუთვნება არქეოლოგიას, გეოლოგიას, მინერალოგიას, პალეონტოლოგიას და ეთნოგრაფიას, 2003 წლიდან, გრანტის მოპოვების შემდეგ სასკოლო მუზეუმად და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის ფილიალად გადაკეთდა. მადლიერმა შთამომავლებმა მუზეუმს ვალია ბეჭვაიას სახელი მიანიჭეს.

მუზეუმში განთავსებული მასალები შესწავლილი და დათარიღებულია პროფესორ დავით ლომიტაშვილის მიერ და ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულიდან იწყება. სწორედ ბატონი დავითი უხელმძღვანელებს სოფელ კირცხში დაგეგმილ არქეოლოგიურ გათხრებს რომლის დაწყებაც უახლოეს მომავალში იგეგმება.

მუზეუმში, რომელსაც 2011 წლიდან სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა, დაცულია უძველესი დროის საფხეკები, წვეტანები, კაჟის ნამგლები, ორპოტომიანი სტილიზებული ვერცხლის ქანდაკებები, სხვადასხვა საკულტო ფიგურები, ბრინჯაოს სამაჯურები და საყოფაცხოვრებო ნივთები. აქვე ნახავთ პირველყოფილი ადამიანების მუხლის ძვალს, სარმატულ სატევარს და სხვა.

ახლახან, მუზეუმის ხელმძღვანელის თამთა ჭითანავას ინიციატივითა და ორგანიზებით მუზეუმში სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა ხუთი მუზეუმის წამყვანმა თანამშრომლებმა მიიღეს. მოწვეული იყვნენ ნოქალაქევის, ზუგდიდის დადიანების, ჩხოროწყუს ისტორიული მუზეუმის და მარტვილის მუზეუმის თანამშრომლები. საკონფერენციო თემები წარმოადგინეს **"მუზეუმის მცველების"** კლუბის წევრმა მოსწავლეებმა **ბადრი ოკუჯავამ, ეკატერინე გოშუამ და სალომე არახამიამ.**

მეტად საინტერესო თემები წარმოადგინეს მონაწილეებმა: **"გამყინვარების ეპოქიდან XXI საუკუნემდე", "სახლები ისტორიას ჰყვებიან", "ნოქალაქევი. ციხე-გოჯი. არქეოპოლისი", "დადიანების მუზეუმები"** და სხვა.

კონფერენციის მთავარი მიზანი იყო მუზეუმების პოპულარიზაცია და საქართველოს სხვა მუზეუმებთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება.

სულ მალე არქეოლოგიური გათხრებიც დაიწყება და არამარტო მუზეუმი შეივსება ახალი ექსპონატებით, არამედ გამორიცხული არაა, რომ ჩვენი ხალხის უძველესი ისტორიაც ახალი ფურცლებით შეივსოს.

ავთანდილ ბექაური,
ჩხოროწყუ

“ილოცონ მაგ უბედურებმა, რომ ვერ გადავრჩე...”

— მაინც მაჯობეთ და გადამძალეთ. ეს მერამდენედ უკვე... არადა, სათქმელი ძალიან ბევრი მაქვს, მაგრამ გააჩნია, ვის ეტყვი მას და როგორ გაიგებენ... მე გირჩევთ, გაემიჯნოთ იმას, ვინც ამ ქვეყანას ანგრევს და თავს ჟურნალისტს უწოდებს... ახლა კი ჩემს სათქმელს რამდენიმე პუნქტად დავყოფ და მოვითხოვ, არც ერთი სიტყვა არ შემიცვალოთ. ლაპარაკს ვერავინ მასწავლის, — ამბობს ჩვენთან საუბრისას პოეტი რეზო ამაშუკელი.

— ამას წინათ ტელევიზიით ვნახე მკვლელი, რომელსაც გულთან ყვავილი ეკეთა. ვინ არის, რა მნიშვნელობა აქვს, მკვლელი მკვლელია, გინდა, გულთან გაუკეთე ყვავილი და გინდა, გვირგვინი დაადგი, ანგელოზად ვერავინ აქცევს და დანაშაულს ვერ გამოისყიდის.

— რას გულისხმობთ, ყაყაჩო ეკეთა?

— ყაყაჩო არ იყო ის, ყაყაჩოსი არაფერი უგავს იმას... ეს არის ფარისევლური თვალთმაქცობა. ყველაფერთან ერთად, აფერისტები არიან. დავანებოთ მაგათ თავი, თუ კარგად ვიქნი, მე მოვუვლი...

— რას აპირებთ?

— მაგასაც ვნახავთ... ახლა რაღაც ჯანმრთელობის პრობლემები მაქვს და ილოცონ მაგ უბედურებმა, რომ ვერ გადავრჩე, თორემ, ვერც ამერიკა უშველით და ვერც მაკკეინი. მაგათი საქმე დამთავრებულია. ისინი უნდა წავიდნენ. თუ ასე არ მოხდა, პირველი ვიქნები, ვინც ხალხს ქუჩაში გამოიყვანს. ამის პირობას გაძლევთ... არ შეგვჭამეს ამ კობიტაციით, არ გვინდა, ბატონო, მოგვაშორეთ, ნუ გადაგვაყოლეთ! არ უნდა ქართველ ხალხს ეს უბედურება და თუ თავად ძალიან უნდათ, დაახვიონ და გაიკეთონ ყურებში, აქეთაც და იქითაც. ეს ერთი, ახლა სხვა საკითხები, რაზეც მინდა გესაუბროთ, — ამას წინათ ტელევიზიით მოვისმინე ერთი, ვითომ საპრეზიდენტო კანდიდატი ქალბატონის საუბარი, ირაკლი ღარიბაშვილს კბენდა. ვაფრთხილებ მას, მეტი აღარ გააგრძელოს და თავის ბიოგრაფიას მიხედოს მაგ უბედურმა, თორემ, მაგის **“უმწიკვლო”** წარსულის შესახებ ყველაფერი ვიცი და ისეთ რაღაცებს შევახსენებ, პრეზიდენტობა კი არა, ხალხში თავი არ გამოეყოფოდეს...

— ვის გულისხმობთ, ბატონო რეზო?

— მიხვდება თავად. იცით, რახან ქალია, მაინც არ მინდა, ბოლომდე გავწირო და არ დავაკონკრეტებ, მაგრამ თუ მაინცდამაინც იწიკვინებს და მეზობლის კურდღელივით შემომახტება, მერე კი გადავხედავ მის **“ქალწულებრივ და მოწამეობრივ”** ცხოვრებას. ვნახოთ მერე, როგორ აპრიხავს წარბებს და როგორ ისაუბრებს დაყენებული ბავშვური ხმით. იმედია, თავადაც მიხვდება, ვისაც ვგულისხმობ. ველოდები ერთი, შემომეპასუხოს, გავაბრტყელებ მიწასთან ისე, რომ ვეღარასდროს წამოდგეს.

— რატომ, პრეზიდენტობის კანდიდატს შს მინისტრის გაკრიტიკების უფლება არ აქვს?

— გააჩნია ვინ აკრიტიკებს და ვის აკრიტიკებს. ირაკლი უაღრესად პატიოსანი ბიჭია და თავის საქმეს მშვენივრად უძღვება... მეორე, რაზეც მინდა ვილაპარაკო, არასამთავრობოების თემას მინდა შევეხო, სოკოებივით რომ ყოველ ჯიხურში გამოჩნდნენ, ეს გარეწრები უსაქმურ ყაყანში იღებენ ფულებს, მე მაგათ **“მთლად უფროსები”** დავარქვი. ჩიტი თუ გადაფრინდა ხიდან ხეზე, იმ წუთში გამოცვივდებიან და ბრიყვულად სერიოზული სახეებით დაიწყებენ მსჯელობას, იცით, აი, იმ ადგილას არასწორად მოიქნია კუდიო. ეს ამერიკული ფულით გამაძღრები. ასე დაწერეთ ზუსტად. სხვაზე კარგად ვიცი, რომ არსებობს სიტყვა დანაყრებული, მაგრამ მაგათზე გამაძღრები ითქმის. დაჯიჯგნეს საქართველო. არ დატოვეს არც ერთი სფერო და არც ანებებენ თავს. ყვავის ბახალებივით აფჩენენ პირს და არც ერთ მათგანს კარგი არ დასცდება, ქვეყნისთვის კარგი, თორემ სხვების ლანძღვა რომ მათი საქმეა, ეგ ვიცით უკვე. არ გამოუვათ საქართველოში ერთსქესიანი ქორწინების დამკვიდრება. ვერ მოესწრებიან მაგას. ამას წინათ მანანა კობახიძეს ვუსმენდი, სიამაყითა და ბედნიერებით აღსავსე ვიყავი. გუნდისა და პარლამენტის დატოვებამაც რომ მომიწიოს, ერთსქესიანთა ქორწინებას არ დავეთანხმებიო, თქვა. გიხაროს მისმა გამზრდელმა... ერთ-ერთი ჟურნალისტი, **“ნეტფილმის”** გამოსახულებას რომ ჰგავს, გააფთრებული იცავს ამ ინიციატივას. ან მშობლები არ ჰყავს, ან ბებია-ბაბუა ან ნათესავები? როგორ და რის ფასად კადრულობს ამის გაკეთებას. განსხვავებულობის იმიჯის შესაქმნელად შეიძლება, ახალგაზრდამ ყელაფერი გააკეთო?.. რა გიხარიაო და რა გწყინსო, მკითხეთ, რა უნდა მიხაროდეს, მეტყვის ვინმე, რომ ჩვენ დღეს თავისუფლები ვართ?..

— არა ვართ თავისუფალი?

— ასეთ რამეებს რომ გვტენის ამერიკა, როგორ გამოვდივართ თავისუფალი?.. მერამდენედ ვთქვა, მეზიზღება ამერიკა-მეთქი, არ უნდა მეზიზღებოდეს? კაცი კაცთან დაწვესო, გვასწავლიან... სანამ ასეთი რამეების პროპაგანდა იქნება, ჩვენ თავისუფალი ვერ ვიქნებით.

— ალბათ თვალყურს ადევნებთ ქვეყანაში მიმდინარე სამართლიანობის აღდგენის პროცესს...

— ყველა შემთხვევაში, ოქტომბერს ველოდები. თუ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ყველაფერი ისე არ გადაწყდა, როგორც საჭიროა, რასაც მთელი ჩემი ცხოვრება შევწირე თავი, ისევ იმას გავაგრძელებ. ნურავის ეგონება, რომ მე მარტო ვარ ასეთი მოტივაციით. ასაკის მიუხედავად, საკმარისი ადამიანური რესურსი მაქვს იმისთვის, რომ ერთი დავიღრიალო და ქუდზე კაცი გამოვიჯვანო, მთელი საქართველო თუ არა, მთელი ქალაქი მაინც დადგება ფეხზე. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, მათგან ზოგი ჩემი მეგობარია, მაგრამ მათი უმრავლესობა ისე მერიდება, გეგონება, რაღაც გადამდები სენი შემეყარა.

— რატომ გერიდებიან?

— იმიტომ, რომ იციან, სიმართლეს ვლაპარაკობ და მათაც ამის გაკეთებას მოვთხოვ. მათ კი მართალი რომ თქვან, ფულს სად იშოვიან მაშინ... იციან, რომ მეზიზღება ეს კობიტაცია და პირში მივახლი, რამდენი წელი უნდა ვითმინოთ კიდევ გიგა ბოკერია, შურდულიდან გაცვენილი კენჭებივით რომ დაურბის თვალები, ან გოკა გაბაშვილი, კედელზე მიხეთქებული მექანიკური თოჯინასავით რომ ატრიალებს თავს... ტელევიზორის ჩართვა აღარ მინდა. საინფორმაციო გამოშვებები შემაძულეს. **”რუსთავი-2”**-ის ყველა ჟურნალისტს თავის დროზე პასუხს ვაგებინებ, თავიანთი ახლად გამოჩეკილი პინგვინიანად, გვარამიას ვგულისხმობ. დადგება დრო და იმ აპარატურას თავზე დავამსხვრევ ყველას. მერე დადგნენ და მიკითხონ ნოტაციები, რომ თურმე ვიღაცის ხელით შეხება არ შეიძლება. შეხება კი არა, ჩემი ქვეყანა გაანადგურეს ამ გარეწრებმა.

გვარამია ტელევიზიას კი არ უნდა მართავდეს, ციხეში უნდა იჯდეს ყველა თავის თანამოაზრესთან ერთად. პირველ რიგში კი, მწვანეშარვლიან გიჟს უნდა უკრან თავი ციხეში.

— მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობის ბოლო თვეებს ლაშქრობებში ატარებს. მისი თანაგუნდელების თქმით, ის პოლიტიკაში დარჩენას აპირებს...

— ის გიჟია, ჯერ კიდევ როდის ვთქვი, აფრენს-მეთქი... არ ეტყობა, რომ აკლია? ქალთევზასავით რომ იყო გაწოლილი სამეგრელოში იმ ტბის პირას. გიჟთან ერთად აფერისტიც არის. ახლა გაახსენდა ტობავარჩხილი და საქართველოს კუთხეებისადმი სიყვარული მოეძალა, ეს მართლა ლურჯი სახედარი, რა იცის მან ქვეყნის სიყვარული, ან საერთოდ სიყვარული. ამას წინათ იხუმრა ვითომ, **“ჩემზე ამბობენ, ვითომ ძუძუებს ვჭამო”**, ვაი, მის პატრონს, სრულიად გაუნათლებელი და ავადმყოფი უწიგნური კაცი, თან ნარცისიზმით შეპყრობილი, ყველაზე საშიშია. ამათი ქუჩაში გაშვება არ შეიძლება, უნდა იმკურნალონ, ყველა ერთად უნდა დააწვინო საგიჟეთში. არა, ყველა ერთად არ შეიძლება, ერთმანეთს უფრო მეტად გააგიჟებენ...

— ბატონო რეზო, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში “ნაციონალების” ლიდერის გამარჯვებაზეც ლაპარაკობენ...

— იმ დღესვე გადავბუგავ მთელ ქვეყანას, ეგ თუ მოხდა. მაგათ ისე ცუდად აქვთ საქმე, რომ ვერც ბოლო დროს შემოცვენილი ამერიკელები უშველიან, ბოლო დროს კიდევ შემოიყვანა ნორლანდმა... ის პატარა, ჰალსტუხიანი ხელიკი რომ არის, თავს კონტუზიანივით რომ აქიცინებს, ვითომ იპოვა და აიტაცა ახალი იდეა, ერთსქესიანი ქორწინებების წინააღმდეგი ვარო. გიორგი თარგამაძეზე ვლაპარაკობ, ის ისეთივე ქრისტიანია, როგორიც მე მაო ძე დუნის ბიძაშვილი. დამთავრდა ამათი დრო. ახლა ჰაერში რომ ახტნენ და გაიკვანძონ, მაინც არ აქვთ შანსი, რომ მხარდაჭერას მიიღებენ. აფერისტებითაა ეს ქვეყანა გატენილი, მაგრამ მე მაგათ მივხედავ ყველას. შორს არ არის იქამდე, თუ გადავრჩი...

— “სახალხო მოძრაობის” დაწყება იგეგმება, რომელსაც ირაკლი კაკაბაძე და გია კორკოტაშვილი ჩაუდგებიან სათავეში. გსმენიათ ამაზე?

— ვინც საქართველოსთვის წესიერ ნაბიჯს გადადგამს, მის გვერდით დავდგები და ჩემი შვილი, ბაია ამაშუკელი რომ იყოს, მასაც გავწირავ, თუ ჩემს სამშობლოს ცუდად მოექცევა. გამოხტებიან ვიღაცები და ჭყავიან, არაფერი შეცვლილაო, დაავიწყდათ მაგ უბედურებს, სად იყვნენ. ამათ რომ არ წაეგოთ, 2 ოქტომბერს ნახევარი საქართველო გაულეტილი იქნებოდა. პირადად მე, ნამდვილად გადავურჩი სიკვდილს. ყველამ იცის, რომ ჩემს ცხოვრებაში კოჭი არავისთვის გამიგორებია და არც არავის ვეფერები, სხვებისგან განსხვავებით, ხან ერთს რომ ეკრიჭებიან და ხან მეორეს, მაგრამ დაუნახაობა არ შეიძლება.

გიორგი მარგველაშვილი ამოიჩემეს, პრემიერ-მინისტრთან მეგობრობს და ეს არის მისი ერთადერთი დადებითი თვისებაო, არადა, ძალიან ჭკვიანი და განათლებული ახალგაზრდა კაცია. რატომ არ არიან კმაყოფილი, შურთ? თავად გიჟებისა და ავადმყოფების თავშესაყარი აქვთ და აბა, რა იქნება?.. ვისით არიან კმაყოფილი, ბაქრაძით?.. ჯვარი გვწერია. ერთი სული მაქვს, როდის გაიწმინდება ქვეყანა ამ მანქურთებისგან. ერთი დღეც იყოს, ოღონდ ამ გველებისგან გაწმენდილ საქართველოში ვიცხოვრო. თუ ივანიშვილი ისე წავა ქვეყნიდან, რომ ამას არ გააკეთებს, მაშინ თავად იქნება ქვეყნის პირველი მოღალატე. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამას არ იზამს. მერე პრობლემებიც მოგვარდება და ყველაფერს ეშველება. ივანიშვილი ისე არავის ანდობს საქმეს, თუ მისი იმედი არ აქვს... ხომ ხედავთ, ირაკლი ღარიბაშვილს ყველა მხრიდან ებრძვიან, როგორც შიგნიდან, ისე გარედან, იმიტომ, რომ ძლიერია. შურთ მისი... ყველამ თავის კუდს მიხედოს. კუთხე-კუთხე რომ პუტუნებენ და ჩურჩულებენ, თორემ გავშიფრავ მაგას ყველაფერს...

— თქვენ არ ეთანხმებით შეფასებას, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაცია გაურესდა?

— საზოგადოება საეჭვოდ ჩუმად არის და ხალხი თუ არ დაუდგა გვერდში, ვერაფერს იზამენ... ეს ყველაფერი თავს მოიყრის ოქტომბერში და იმ დღეს გაირკვევა, სად დავდგები და რას გავაკეთებ. თუ სააკაშვილი ციხეში არ ჩაჯდა და მის კისერზე ყულფი არ ვნახე, არავის შევურიგდები და არც არავის გვერდით დავდგები. ახლა გაპრანჭულად კითხულობენ ვიღაცები, შეიძლება, პრეზიდენტი გაასამართლონო, შეიძლება, ჯალალ-ედდინზე ასეთი შეკითხვა ვინმემ დამისვას?!. ეს გიჟი რითია მასზე ნაკლები. ნაკლები დანაშაული ჩაიდინა?..

ლ. პაპასკირი

რუსეთმა საქართველოს სირიიდან მოქალაქეების გამოყვანაში დახმარება შესთავაზა

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა საქართველოს პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელს **რფ**-თან ურთიერთობის დარეგულირების საქმეში ზურაბ აბაშიძეს სირიაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხო გამოყვანაში დახმარება შესთავაზა. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, — იუწყება **„რია-ნოვოსტი“.**

„ზურაბ აბაშიძის კოლეგამ გუშინ საღამოს დარეკა და დახმარება შესთავაზა სირიიდან საქართველოს მოქალაქეების გამოყვანაში“, — განაცხადა ივანიშვილმა ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც აღნიშნა, რომ ეს ძალიან დადებითი ნაბიჯია რუსეთის მხრიდან.

კონფლიქტი სირიაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის 2011 წლის მარტიდან გრძელდება. გაეროს მონაცემებით, ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში 100 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 7 ათასი ბავშვი.

საქინფორმი

P.S. დღეს არავისათვის დასამალი არა, რომ დიდია ქართველთა წყენა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის გამო, მაგრამ, როგორც ამბობენ, **“დრო ყველაფრის მკურნალია”** და თუ ჩვენ სწორ პოზიციას დავიკავებთ ჩრდილოელი მეზობლის მიმართ, უეჭველია, რომ ჩვენს შორის არსებული პრობლემები იმაზე ბევრად უფრო მალე გადაწყდება, ვიდრე ისინი იქმნებოდა.

სიძულვილსა და ღია თუ დაფარულ აგრესიას არასოდეს სარგებელი არ მოუტანია არცერთი ქვეყნისა თუ ხალხისათვის. დღეს არც იმაში ეპარება ეჭვი ვინმეს, რომ სააკაშვილის ნაციონალური ბანდის მიერ დათესილი სიძულვილი დიდი მეზობლის მიმართ გახლდათ არა რაიმე ადამიანური ემოციის **“პროდუქტი”**, არამედ ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული წინასწარგამიზნული ბინძური პოლიტიკა, რომელსაც არ უნდა დაეშვა ურთიერთობათა დათბობა საქართველოსა და რუსეთს შორის, რაც გაურკვეველი ვადით ახანგრძლივებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ისედაც გახანგრძლივებულ საკითხს. სამწუხაროდ, რუსეთშიც უხვად არიან (აშკარად არარუსული) რეაქციული ძალები, რომლებიც ყოველი საძრახისი მეთოდების გამოყენებით ეწინააღმდეგებიან საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენას. მიზანი აქაც ნათელია — საქართველოსა და რუსეთის დაახლოება პოლიტიკური ინტრიგებითა და სპეკულაციური გარიგებებით **“მოპოვებულ”** ლიდერის როლს დააკარგვინებს მათ სამშობლოს კავკასიაში, ეს როლი კი ყოველთვის საქართველოს ეკუთვნოდა და სწორედ საქართველოს მხარდაჭერითა და თანადგომით ინარჩუნებდა რუსეთი მყარ პოზიციებს კავკასიის რეგიონში, მაშინაც კი, როცა იქ პანთურქიზმი მძვინვარებდა.

ეს ჩვენი საერთო ისტორიაა და ყველამ კარგად იცის, რომ კავკასიაში მანამდე არ დაისადგურებს სიმშვიდე, ვიდრე არ აღდგება ისტორიულად მეგობრული ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის. ამიტომ არის მისასალმებელი ის, რომ ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ხელოვნურად შექმნილი განხეთქილება თანდათან სუსტდება და ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება.

„პელაზგები – უძველესი კოლხები"

გამარჯობათ. იმედი მაქვს სტატია საინტერესო იქნება თქვენთვის და ვიმედოვნებ რომ გაზეთ "ილორში" გამოაქვეყნებთ. ჩემთვის დიდი პატივი იქნება ჩემი სტატიის ხილვა თქვენს გაზეთში...

პელაზგები, რომლებმაც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს და შექმნეს უდიდესი ცივილიზაცია მოსახლეობდნენ ძირითადად: თესალიაში, პელეოპოლისში, კუნძულ კრეტაზე და სახელგანთქმულ ქალაქ კნოსოსში. დღეს ამ ადგილებში ელინური ტომების შთამომავლები ცხოვრობენ. ა. ურუშაძე წერს: **„ელინთა ტომები,რომ ეგეოსის ზღვის რაიონის ავტოქტონები არ ყოფილან, ამას თვით ბერძნული ტრადიციაც აღიარებს. ძველი ბერძენი მწერლები, ჰომეროსით მოყოლებული,ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში,რომ ამ რაიონის უძველესი მოსახლეობა არაელინური იყო, რომ ამ მოსახლეობას შეადგენდნენ აღმოსავლური წარმომავლობის ტომები: პელაზგები, ლელეგები, დრიოპები და სხვა ეგრეთ წოდებული „ბარბაროსული" (არაელინური) ტომები".** ჰელანიკე მიტილინელი (VI-ძვ.წ) თხზულებაში **„ფორონიდი"** რომელშიც არგოსის ისტორია იყო გადმოცემული, საბერძნეთის მკვიდრ მოსახლეობად თვლიდა პელაზგებს. იგი წერს: **„ნანას მეფობის დრო ელინების მიერ პელეზგები განდევნილ იქნენ. მაშინ, მდინარე სპინეტთან, იუნიის უბეში, მათ დატოვეს ხომალდები და აიღეს ქვეყნის შუაგულში ქალაქი კროტონი, მერე აქედან დაიძრნენ და დაასახლეს ახლა ეგრეთ წოდებული ტირსანია".** ბერძენ ლოგოგრაფოსთა უფროსი თაობის წარმომადგენელი ჰეკატე მილეთელი (VI-ძვ.წ) პელეოპონისის შესახებ ამბობს, რომ ელინებზე უწინ მასზე მოსახლეობდნენ ბარბაროსები, სტრაბონის თქმით კი მთელი ელადა ბარბაროსთა სამკვიდრებელი იყო ძველად.

ცნობები პელეზგებზე მრავალ წყაროშია დაცული თუმცა აქ რამდენიმე მათგანს დავიმოწმებ.

რა ენაზე ლაპარაკობდნენ პელაზგები ჯერჯერობით დაუდგენელია, მაგრამ მათი სალაპარაკო ენა, რომ ბერძნული არ იყო, ფაქტია.

ჰეროდოტე წერს: **„რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ პელეზგები არ შემიძლია დაზუსტებით ვთქვა: ხოლო თუ შესაძლებელია მიხვედრა იმ პელეზგების მიხედვით, რომლებიც ახლაც არიან და ცხოვრობენ ტირსენის ზემოთ ქალაქ კრიტონში და რომლებიც ოდესღაც ემეზობლებოდნენ ეხლა დორილებად წოდებულებს და თუ შეიძლება მიხვედრა იმ პელეზგების მიხედვით რომლებიც პელესპონტში ცხოვრობდნენ, პლაკიასა და სკილაკეში, რომლებიც ათენელებთან იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებული და, ასევე, სხვა პელეზგებით დასახლებული პუნქტების მიხედვით რომლებმაც სახელები გამოიცვალეს, თუ ამის მიხედვით შეიძლება მიხვედრა, მაშინ პელეზგები ლაპარაკობენ ბარბაროსულ ენაზე".**

ანტუან მეიესი წერს: **„ყველაზე უფრო საიმედო გზა წინაბერძნული მოსახლეობის ენის გასაცნობად მცირე აზიის ძველი ენებისა და კავკასიური ენების შესწავლაა. ეს საშუალებას მოგვცემს ძველი ბერძნული ენის ლექსიკაში ავხსნათ ის, რისი ახსნაც ინდოევროპულ ენათა გარემოში შეუძლებელი ჩანს, უწინარეს ყოვლისა საჭიროა ნათესაობის დადგენა კავკასიური ენების შიგნით, კერძოდ, ქართველ და ჩრდილო კავკასიურ ენათა შორის".**

XX საუკუნის მეორე ნახევარში პელეზგთა ეთნოგენეზის საკითხი მწვავედ დაისვა, მკვლევართა უმრავლესობისთვის პელეზგთა არაინდოევროპელობას გარკვეულად მიიჩნევს, ნაწილი მკვლევართა კი პელეზგებს უძველეს კოლხურ ტომად მიიჩნევს.

აკაკი ურუშაძე წერს: **„წინაბერძნული მოსახლეობის პელეზგების ეთნოგენეზის საკითხს კვლევის დროს არსებითი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ მითებიდან თქმულებებიდან მომდინარე და ბერძნულ წყაროებში დაცულ ცნობებს, პელეზგების გენეტური კავშირის შესახებ იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომებთან, ქართველურ კოლხურ ტომებთან"**, და იქვე აგრძელებს: **„ძველ ბერძენ და რომაელ ავტორებთან, რომლებიც თავის მხრივ უძველეს გადმოცემებს ეყრდნობოდნენ, ხშირად ვხვდებით არაპირდაპირ მითითებებს და ზოგჯერ მინიშნებებსაც პელეზგებისა და კავკასიურ კოლხური ტომების იდენტურობის შესახებ. პელაზგი თესალიელები მცირეაზიელი როელები, კუნძულ ლემნოსის მკვიდრი პელაზგი სანიტები ანუ სინტები, ფეაკიების ტომი და სხვებიც კოლხთა მონათესავე ტომადაა მიჩნეული".**

ედუარდ დემოლენსი წერს: **„პელაზგი, პელაზგები უთუოდ კოლხური (მეგრული) სიტყვაა წარმომდგარი პელაგონიდან რაც ჩქარ ადიდებულ მდინარეს ნიშნავს, როცა მდინარე ადიდდება, სამეგრელოში იტყვიან „პელაგონ მოსოფუნსია" ანუ უძლეველი, უშველებელი, დაუოკებელი ძალა მოდის, მოქუხსო"**. იქვე აგრძელებს: **„ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს, ეს ადგილები ეკავათ ინერებს. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები. ეტრუსკები ისევე, როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულნი და კოლხეთმა დაუდო სათავე მედიტერიანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას"**. დიონისიოს პერიეგეტის (ძვ.წ I-II) თხზულებაში **„დასახლებული სამყაროს აღწერილობა"** ჰენიოხები ძიგებთან (ჯიქებთან) ერთად პირდაპირ პელაზგური წარმომავლობის ტომადაა გამოცხადებული. იგი წერს: **"სავრომატების შემდეგ არიან მიჯრიტარიანი სინდები, კიმერიელები და ევქსინის, მახლობლად მოსახლე კერკეტები, ტოსეტები და ძლიერი აქაველები, რომლებიც ტროას ბრძოლის შემდეგ გამოყვნენ მეფეს არეტეს ძეს. სამხრეთისა და დასავლეთის ქარებმა ოდესღაც გადმოხვეწეს ქსანთესა და იდეს სიმონეტის ნაპირებთან, ამას შემდეგ ცხოვრობდნენ მომიჯნავე მიწის მპყრობელნი: პელაზგური ქვეყნის ნაშიერი ჰენიოხები და ძიგები".**

ისტორიოგრაფიაში ჰენიოხები ქართველურ ტომადაა აღიარებული და იგი მეგრულ-ლაზურ შტოს განეკუთვნება. ი. ჯავახიშვილი ჰენიოხების შესახებ წერს: **"ბიჭვინთის ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ ზღვის პირას იქ, სადაც თითქმის არც ერთი ნავსადგური არ მოიპოვება და ქვეყანა მეტად მთიანია, რადგანაც ქვეყანა კავკასიონის ქედის ნაწილს შეადგენს, ჰენიოხები სახლობდნენ. სტრაბონის თქმით, სხვა მეზობლებსავით, ისინიც ზღვაზე ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს. ასე 25 კაცამდე თავიანთ პატარა და ვიწრო ნავებში ჩასხდებოდნენ და გზას გაუდგებოდნენ ხოლმე, ხან ხომალდს დაეცემოდნენ და გაძარცვავდნენ ხან რომელსამე ქალაქს ან დაბას, ზღვაზე ისინი თავისუფლად ბატონობდნენ. შინ დაბრუნებისას ნავს მხარზე გადაიდებდნენ და ტყეში შეინახავდნენ ხოლმე. ამრიგად ჰენიოხები ნახევრად ძარცვა-გლეჯით ირჩენდნენ თავს ნახევრად მიწის მცირე მოსავლით."**

ასევე საინტერესოა ბერძნულ წყაროში დაცული ცნობა, რომელიც უძველეს გადმოცემას ეყრდნობა და კოლხური მოდგმის მაკრონებს პელაზგებად აღიარებს. ბერძნული წყაროების მიხედვით, მაკრონები ქართველურ ტომთა დასავლურ გაერთიანებაში შემავალი ერთ-ერთი კოლხური ტომია. სტრაბონი მათ მაკროპოგონებად, ე.ი. **"გრძელწვერიანებად"** მოიხსენიებს. აპოლონიოს როდოსელი პოემაში არგონავტიკა წერს: **"იფიქრეს, მაკრისელთა პელაზგური ლაშქარი მოგვადგაო ე.წ მაკრონების, რომლებიც გადმოსახლებულნი არიან, ევბეელთაგან სადაც მაკრონები ეწოდათ".** აკაკი ურუშაძე წერს: **"აპოლონიოს როდოსელის ხანაში (III-საუკ.ძვ. წ), როგორც ეს არგონავტების მარშუტიდან ჩანს, მაკრონების ადგილ-სამყოფელი ტრაპეზუნის სანახებით განისაზღვრება. ეს მითითება ემთხვევა ანტიკური ხანის სხვა ავტორთა ცნობებს კოლხური ტომების განსახლების შესახებ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მაგრამ ეს, გვიანდელი მდგომარეობაა.სქოლიასტის განმარტება მაკრონების განსახლების უძველესი ვითარების ამსახველი კონკრეტულ სურათს გაგწვდის. იგი საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ რომ მაკრონები, ისევე როგორც ქართველთა სხვა წინაპარი ტომები, უძველეს ხანებში მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროებზე კი არ ცხოვრობდნენ, არამედ შორს დასავლეთითაც, ეგეოსის ზღვის რაიონში და მჭიდრო გენეტიკური კავშირი ჰქონდათ ამ რაიონის ავტოქტონ პელაზგებთან".**

დროა ქართველმა ერმა გაითავისოს თავისი დიადი წარსული, ის ფასეული კულტურა, რაც მსოფლიოს ცივილიზაციას გააჩნია, შექმნილია ქართველური რასის აქტიური მონაწილეობით.

თემო სახურია

ქრისტიან ქალს სიკვდილს უსჯიან, რადგან იმავე ჭიქიდან დალია წყალი, საიდანაც მუსულმანები სვამდნენ

პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკაში, პენჯაბის პროვინციაში მცხოვრები 46 წლის ქრისტიანი ქალი, ასია ბიბი მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს, რომ წყალი იმავე ჭიქიდან დალია, საიდანაც მუსულმანი ქალები სვამდნენ.

5 შვილის დედა ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, რომ ამ ინციდენტის გამო მას სიკვდილით დასჯა შეუფარდეს. ასიამ ციხეში 4 წელი გაატარა და ახლა სასჯელის უმაღლეს ზომას ელის.

პაკისტანის მოსახლეობის 97% მუსულმანია და ქრისტიანების მიმართ მტრული განწყობა აქვთ. მთავრობა ქალის გათავისუფლებაზე უარს ამბობს, რადგანაც ექსტრემისტთა ჯგუფის ხმაურიანი საპროტესტო აქციები არ წყდება. მთავრობის ორი ოფიციალური პირი, რომლებიც ასიას გულშემატკივრობდნენ, მოკლეს. ასია ამბობს, რომ არ იცის, რამდენი ხნის სიცოცხლე დარჩა.

"მე, ასია ბიბის სიკვდილი მხოლოდ იმიტომ მომისაჯეს, რომ მწყუროდა. მე პატიმარი ვარ, რადგან იგივე ჭიქა გამოვიყენე, რომელიც მუსულმანმა ქალმა", – ამბობს ის.

მომზადებულია dailymail.co.uk-ის მიხედვით.

გაზეთ "ილორის" კომენტარი – ნურავინ იფიქრებს, რომ ამ წერილით ჩვენ რელიგიური შუღლის ჩამოგდებას ვაპირებდეთ, ან ვცდილობდეთ საზოგადოებას შევაძულოთ მუსულმანები. უბრალოდ, გვინდა ეს წერილი ჩვენმა ძმებმა მუსულმანებმაც წაიკითხონ და დაფიქრდნენ, როგორ ექცევიან მათ ქრისტიანები და როგორ ექცევიან ისინი ქრისტიანებს! იქნებ ამის შემდეგ მაინც ნაკლებ პრეტენზიულები გახდნენ და თავზე არ დაგვაშენონ მინარეთები!

პოეზიის კუთხე

წიმოხინიშ მედ

ბფიქრენქ მა, მუ ოხვარ ამ-
დღანერ დღას,
თე ჩქინი ოდაბადე უციდირ
შხვას,
სკუა ღურელ დიდა იხოკუნს
ღვას –
ბრელ დიდაშ ჩილამურ აკათუ
ზღვას...
უჯინე ჩქიმი უგამას ჟინშე ცა,
ტანჯეს გონერიშ და უგამუშ
ყვა.
მოთმახოლანს რინაშ დო ოჭუე
ძგა,
დო თაშ ინწალუაფ ჩილათუში
გა.
მენდ მიღ ხვამირ იუაფ მუმალ
დღა,
დო ბედნერაშ ფალუ მიმაგრენს
ცუას,
თაშ აიალა გოჭკირუნს ფურ
ტყას,
ჯგირი დო ბონ შარა გაა-
წორენს გას.

ოფალიში მარდ

მარდ სი ოფალე, იეშუა ხრისტე,
თელ ქიანას რდას სკან ხვამირ
ფორა.
ეშუას დო გეახალას ნიტე,
დო მემაჩან ჩქი წესიერ ჯღონ-
აქ,
ოფალ მესიალათ სი ოცხონე,
– მიწო თელეფიში თეშ
ღურელეფიშ შურ.
კეთირა დო რწმუნათ მათ მოჩ-
ქონე,
დო მარდით გაანოთერ ჯვეშშე
ჯვეშ თურ!

* * *

დია ბძირ ბჟაშენერ,
თოლგორგოტე, შვენიერ.
რინა თისი ოხიოლუდ,
რდ ართო ბედინერი.
შვეშვერია ოდარეს,
კუჩხის დგუნდუ გოლურსილო,
შხერებს ორწყედ მოდიარეს,
გინორჩელო გერდეს რდილო.
ვეს ირწყებე ჭითა ტატა,
ოარიკეთ მეჯინელ.
ალიშ მანტუ ხანტირ მახა,
ჭითა ფერსუ გერჯგინელ.

მალხაზ ბრიგოლია,
აბაშა

ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **"ლიბერთი ბანკში"** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-236

ფინიკიელთა ატლანტიდურ მითებში (ფინიკიელებს მიიჩნევენ ატლანტიდიდან მოსულ ერად) პირველი კაცის სახელი არის „აიონი", რაც აშკარად გავს „აიას" (კოლხეთს). აიას („აიონის") შვილს ჰქვია „ფურ", რაც ატლანტიდურ-ფინიკურ ენაზე ნიშნავს „ცეცხლს". კოლხურად ეს სიტყვა ნიშნავს „ცხელს"; „ფურე" კოლხურად (მეგრულად) ნიშნავს „მხურვალეს" (აქედან ქართული „ფურნე"). ატლანტთა ენაზე „ფურ" არის ცეცხლის აღმომჩენი – ცეცხლის აღმოჩენა ატლანტებს მიეწერება. კოლხურში არის აგრეთვე „ფურ-კი" – „კვამლი". როგორც აღინიშნა, ატლანტი პრომეთეს ძმაა, პრომეთე კი აიეტის ნათესავი.

მაიას კალენდარში ერთ-ერთ თვეს „მოლი" ჰქვია. ეს ხომ არ არის ის „მოლი", რომელიც გვხვდება „არგონავტიკაში" და ეს ის „მოლი" ხომ არ არის, რომლითაც მედეა ავადმყოფებს მკურნალობდა? – ეს წარდგნამდელი ქართული (კოლხური) სიტყვაა. „მოლი" ფინიკურად ზღვაში ნავსადგურის შესასვლელთან აგებულ გრძელ კედელს ნიშნავს.

აცტეკურ მითებში ლაპარაკია ორ ადამიანზე რომლებიც გადაურჩნენ წარღვნას: „ტატა" და „ნენა". ესენი უძველესი მეგრული სიტყვებია. „ნენას" დღესაც დედას უწოდებენ სამეგრელოში („ნენა", „ნანა"), ხოლო „ტატა" („ტატა-ლი") სამეგრელოში ამჟამადაც ჰქვია „ლამაზს", „საუცხოოს", „მშვენიერს". მითების თანახმად ღმერთები სწორედ „ლამაზებს", „საუცხოოს", „მშვენიერს" – არჩევდნენ წარღვნის შემდეგ კაცთა მოდგმის გასაგრძელებლად.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ატლანტიდიდან მოდის ფინიკური ალფავიტი და მაიას ტომის ანბანი („კოლხუას ანბანი"). თუ ეს ასეა, მაშინ ფინიკიელების პირველი ანბანი შექმნა „თააუთ-მა". „თაუთს" ეგვიპტელები მთვარის ღმერთს „თოთს" უწოდებენ. კოლხურში „თოუთი" – „თიუთა", „თუთა", „მთვარის ღვთაებაა" („დამწერლობის ღმერთი"). როგორც ითქვა, ძველ კოლხეთში ეს ნიშნავს „მთვარეს", „თვეს", კვირის პირველ დღეს – „თუთა – აშხა-ს" (ორშაბათი)... მთვარის ეგვიპტური სახელი ეტყობა მეგრელებმა საკუთრებად გაიხადეს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ კვირეულის შვიდ დღეთა სახელები მეგრულად მთვარის სახელით იწყება „თუთაშდღა" – მთვარის დღე. გავიხსენოთ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხაა" – მთვარის პერსონაჟის გვარის ფუძე და ძირი „თუთაშხაა". ეს წარღვნამდელი სიტყვაა.

ფინიკიელებს და ეგვიპტელებს მიაჩნდათ, რომ მათი დამწერლობა მესამე ფუძე-წყაროდან მოდის. ამ მესამე „ფუძე-წყაროდ" მეცნიერთა ნაწილი ატლანტიდურ ანბანს მიიჩნევს. ატლანტიდაზე დამწერლობის არსებობას პლატონიც ადასტურებს („ტიმეოსი" და „კრიტია"). კოლხუას ხალხმა მაიას ტომს ჩაუტანა ანბანი და კულტურის სხვა მონაპოვრები.

„ამ" ფინიკურად დედას ნიშნავს („ამ" მეგრულად არის „ეს"), ფინიკური „ბობო" არის პაპა, „ბენ-ბენი" – შვილიშვილი, „რაფა" კი მკურნალს ეწოდება.

ფინიკია მდებარეობდა მცირე აზიის დასავლეთით ზღვის სანაპიროზე. ფინიკიელები თავიანთ თავს „ანაკის შვილებს" ეძახდნენ. ქვეყნის მთავარი ქალაქები იყო ტირი და სიდონი. ფინიკელები განთქმული ზღვაოსნები იყვნენ. ჰეროდოტეს მტკიცებით ფინიკელები გაემგზავრნენ წითელი ზღვით, შემოუარეს „შავ კონტინენტს" (აფრიკას), გაცურეს ჰერკულესის სვეტებამდე (ჰიბრალტარამდე) და შემდეგ ხმელთაშუა ზღვით კართაგენში ჩავიდნენ. ფინიკური მეზღვაურები თავიანთი პატარა იალქნიანი და ნიჩბიანი ხომალდებით ევროპასაც უვლიდნენ და შედიოდნენ ბალტიის ზღვაში, მის ნაპირებზე ვაჭრობდნენ უცხოელებთან, განსაკუთრებით დაეძებდნენ „ელექტრონს", ასე ეძახდნენ მაშინ ქარვას, რომელიც სამკურნალო თვისების მქონე ძვირფასეულად ითვლებოდა. დასავლეთში, ჰერაკლეს (ჰიბრალტარის) სვეტებს იქით მდებარეობდა ბედნიერი, ანუ ბედნიერების კუნძულები, რომლებშიც სიკვდილის შემდეგ ნათელმოსილი გმირების აჩრდილები სახლდებოდნენ სადაც უშფოთველად ცხოვრობდნენ და ტკბებოდნენ მარადიული ბედნიერებით. ამ კუნძულების მიწა-წყალს „ელისეის ველები" ეწოდებოდა. ამას იხსენებს ჰომეოროსი თავის „ოდისეაში", ასევე ჰესიოდე, პინდარი და სხვები. ამ კუნძულებს ახსენებდნენ უძველესი არაბებიც ზღაპრებში და ლეგენდებში და მათ „სამარადისოს", „ბედნიერს" უწოდებდნენ (ჯეზალ ელ-ხალიდადი) შემდეგ ამ კუნძულებს კარიბის კუნძულები ეწოდა.

არსებობს მეცნიერთა მოსაზრება, რომ კანარისა და მადეირის კუნძული დიდი ატლანტის კონტინენტის უკანასკნელი ნარჩენებია, რომელიც წინაისტორიულ ხანაშიც ატლანტის ოკეანეში აფრიკისა და ამერიკის შუა მდებარეობდა. მეცნიერები იმაზეც მიუთითებენ, რომ ამ კუნძულზე მცხოვრები ხალხი – უანჩები (ან გუანჩები) – ატლანტის იმ დიდი ხალხის უკანასკნელი შთამომავლები არიან, რომლებიც ცხოვრობდნენ ატლანტიდაზე და მათთან ერთად ოკეანის უფსკრულში დაიღუპნენ.

„უანჩები (გუანჩები) – ბედნიერი კუნძულის მკვდარი მოსახლეობაა,– წერს ვ. იანი, – რომელთა წარმოშობა აქამდე საიდუმლოებით არის მოცული, გარდა იმ შეხედულებისა, რომ უანჩები დაღუპული ატლანტელებიდან წარმოიშვნენ". არსებობს კიდევ ასეთი აზრიც – აგრძელებს ვ. იანი, – რომ უანჩები უძველესი ეგვიპტელების და ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერების მონათესავები იყვნენ. ისიც ცნობილია, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ბერბერები მეგრული ტომები არიან, რომ მათ მნიშვნელოვან ნაწილს შენარჩუნებული აქვთ ქართული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი, ადათ-წესები, ქართული ცეკვის მანერები და ქართულ-მეგრული სამზარეულო. „უანჩებში შემორჩენილი სიტყვები ჩრდილოეთ აფრიკის ტომების ბერბერების სიტყვებს გავს", რომ ბერბერები თავისუფლად, გასაგები ენით ესაუბრებოდნენ უანჩებს.

ვ. იანს აღწერილი აქვს ფინიკიელთა მოგზაურობა გემით კართ-ხადაშტიდან, რომ ამ მოგზაურობის მონაწილე მოხუცმა ბრძენმა ფინიკიელმა, თიხისგან ქოთნების ვაზების ფილების მომზადებისა და გამოწვის სპეციალისტს დაემზადებინა და გამოაწვევინა მრავალი თიხის ფილა, რომელშიც ჩაწერა ამ მოგზაურობის ისტორია. აღნიშნული ფილები „მან გამოქვაბულში ჩაფლა სადაც უანჩების წინაპრებს" ეცხოვრათ.

მოხუცი ბრძენი ფინიკიელი თავის მონათხრობს ასე ამთავრებს: „მთელი ჩემი სიცოცხლე ვეძებდი ხალხს, უსამართლოდ რომ არ ექცევა და არ ჩაგრავს სხვას – თავისზე სუსტს, და აი მივაგენი მათ (ლაპარაკია უაჩებზე, ბერბერებზე, ბარბერების მონათესავეებზე როგორც გარკვევით ჩანს, მეგრულ ტომებზე.). თუმცა დღითი დღე ძალღონე მაკლდება. ოდესმე დადგება ბედნიერი დღე, ეს იქნება ერთი, ორი ან სამი ათასი წლის შემდეგ. მაშინ, რასაკვირველია, ხალხთა შორის ომი აღარ იქნება, აღარ იქნება მონობა, ძალადობა და მკვლელობა. ხალხი შეისწავლის ქვეყნიერებას. გათხრიან მიწას, რომ გაიგონ რა არის მის წიაღში, მაშინ იპოვიან ჩემს ფილებს, წაიკითხავენ და გაიგებენ, როგორ უსამართლოდ და უნუგეშოდ ცხოვრობდა ხალხი ჩვენს დროში და რა ძნელი იყო ბედნიერი ცხოვრების მოწყობა".

უფრო კონკრეტულად: ვასილ გრიგორის ძე იანის წიგნში „ფინიკური ხომალდი", რომელიც თარგმნა თინათინ ჯავახიშვილმა, აღწერილია: სიძველეთა მოყვარულმა ექიმმა ვიქტორია მარტინმა, მცირე აზიაში, საიდში გათხრების დროს, პატარა ბიბლიოთეკა იპოვა. ამ ადგილას ოდესღაც ფინიკური ქალაქი სიდონი მდებარეობდა. ნაპოვნი „წიგნები", თანაბარი ზომის უამრავი თიხის ფილებისაგან შედგებოდა; ფილებზე ასოები იყო გამოხატული. წიგნები დაწერილია სამი-ოთხი ათასი წლის წინათ.

მეცნიერებმა ამოიკითხეს და თარგმნეს ფილებზე ნაწერი უძველესი სამედიცინო, ასტროლოგიურ და ისტორიულ თხზულებათა ნაწყვეტები, მათ შორის წააწყდნენ ზღვაოსნის დეტალურ ჩანაწერებს, რომელიც მეზღვაურმა სხვადასხვა ზღვებზე მოგზაურობის დროს საკუთარ თავზე გადამხდარი საოცარი ამბები, საოცარი ისტორია აღწერა. ისინი (მათ), ძირითადად ეს ჩანაწერები დაედო საფუძვლად – ვ. იანის რეალურ ისტორიას.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ „უანჩები (ანუ გუანჩები) ბედნიერების კუნძულის მკვიდრი მოსახლეობაა". რომ ამ კუნძულზე მცხოვრები „უცნაური ხალხი – უანჩები, როგორც აღინიშნა, ატლანტის იმ დიდი ხალხის უკანასკნელი შთამომავლები არიან, რომლებიც ცხოვრობდენენ ატლანტიდაზე და მათთან ერთად ოკეანის უფსკრულში დაიღუპნენ. უანჩების რამდენიმე შემორჩენილი სიტყვა ჩრდილოეთ აფრიკის ტომების, განსაკუთრებით კი ბერბერების სიტყვას გავს" (ამიტომ, რადგან ბერბერები მეგრული ტომებია, უანჩებიც მეგრული ანუ მათი მონათესავე ტომებია)... „უნაჩი მამაკაცი მაღალი, ახოვანნი და ძლიერები იყვნენ. ისინი მამაცურად იბრძოდნენ და თავგანწირვით იცავდნენ თავის სამშობლოს, როდესაც თავს ესხმოდნენ მეკობრეთა ბანდები". შემდეგ: „ბიგვაიამ (ბიგვამ-ბიგვავა უძველესი მეგრული გვარია – კ.მ) ბერბერულად დაუწყო ლაპარაკი უანჩს" (მსგავსი მაგალითები მრავლად აქვს მოტანილი ვ. იანს თავის შრომებში).

XV საუკუნის დასაწყისიდან კანარის კუნძულებს ესპანელები მიაწყდნენ, რომლებთან ბრძოლაში მრავალი უანჩი დაიღუპა, ზოგი მონებად გაიხადეს, დანარჩენებმა კათოლიკური სარწმუნოება მიიღეს და ესპანელებს დაუნათესავდნენ. მიტომ დაიკარგა უანჩების ცალკე ტომის ყოველგვარი კვალი. ამჟამად კუნძულებზე ესპანურ ენაზე ლაპარაკობენ.

ვ. იანი წერს: „კლდის უკან ჩრდილოეთით, ბედნიერი იბერიის მზიანი ნაპირები სამხრეთით, განიერი სრუტის იქით, აფრიკის მოვარდისფრო-ყვითელი მთები და კლდეები მოჩანდა. ამბობენ, უწინ აფრიკისა და იბერიის ნაპირები ყელით იყო შეერთებული, მაგრამ ღმერთმა მელკარტმა ნაპირები ერთმანეთს დააშორა და გარეგანი და შიდა ზღვა სრუტით შეაერთაო".

შემდეგ აგრძელებს: „სიხარულისგან, როგორც ჩანს, ხტუნვა დავიწყე. ნავსადგურის უფროსმა მითხრა:

– შენ, კუნტრუშა, რა გიხარია?

– ის მიხარია, რომ ხოფერ-ბობო შენს ხომალდებთან ერთად გაემგზავრება და ჩვენ კანარის ქვეყანაში მოვხვდებით, სადაც მიწის მაგიერ ოქროს ქვიშაა" (გვ. 110).

თავისი წიგნის თითქმის ბოლოს, ვ. იანი აღნიშნავს: როცა ქარმა აფრიკის მიმართულებით დაუბერა, ბენკადეხმა ყველას ჰკითხა: ხომ არავის გინდათ კუნძულზე დარჩენაო, მაგრამ ხოფერის მეტმა არავინ ინდომა უანჩის ხალხთან ცხოვრება (უანჩები – უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ თავსეწირული მებრძოლები არიან).

როდესაც ხომალდი ნაპირს გასცილდა და ქარმა იალქანი გაბერა, ნაღვლიანად გავხედე ნაპირს: იქ, უანჩებს შორის იდგა ხოფერი – ყველაზე საოცარი, ბრძენი და კეთილი ადამიანი, ვინც კი ამქვეყნად შემხვედრია (გვ. 150).

ძველი ფინიკიელების დროიდან 3-4 ათასმა წელმა გაიარა, მაგრამ სამწუხაროდ, კაცობრიობის საუბედუროდ, ვერ განხორციელდა ბრძენი მოხუცის სურვილები, რომ ჩვენს სამყაროში არ იყოს ომი და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა; ამ, უძველესი დროიდან კაცობრიობამ უამრავი ომი გადაიტანა, მათ შორის მსოფლიო ომები ატომური იარაღის გამოყენებით... მოსახლეობის ზრდის მარეგულირებელი ომები კი არ უნდა იყოს, არამედ მეცნიერული დასკვნები, თორემ გამართლდება მალთუსის თეორია ჭარბი მოსახლეობის შესახებ. ჩარლზ დარვინის შვილიშვილი, ფიზიკოსი, დალტონ დარვინი, შემთხვევით არ ამბობდა, რომ ხუთასი წლის შემდეგ, თუ მოსახლეობა თანამედროვე ტემპით გაიზარდა, ადამიანები რომ თევზებივით დააწყო ერთმანეთზე ხმელეთიდან ზღვაში გადაცვივა. უკანასკნელი მონაცემებით (2008 წ. ბოლო) ჩვენს პლანეტაზე 213-215 მილიონი ადამიანი შიმშილობდა, მოსალოდნელია უარესი.

კაცობრიობა უსათუოდ, როდესმე მივა იმ შეგნებამდე, რომ ომები და ადამიანის ჩაგვრა, არ უნდა იყოს, მაგრამ, ვაი თუ, ამას კვლავ 2-3-4 ათასი წელი დაჭირდა.

ომი უნდა მოისპოს, მაგრამ ის ვერ მოისპობა თუ არ მოისპობა ქვეყნების განვითარება ოლიგარქიული გზით. ოლიგარქია ომებისა და ყველა უბედურების მიზეზი და წყაროა. კაპიტალისტი, მდიდარი ადამიანი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ჩაგრავს და მათ ხარჯზე ხდება მილიონერი, მილიარდელი. ადამიანები მივლენ სოციალიზმის, სამართლიანობის, თანასწორობის ადიარების აუცილებლობამდე. მაგრამ ამისთვის ვერ გამოდგება ვერც რუსული ყაზარმული სოციალიზმი და ვერც დასავლეთ ევროპული სოციალისტური თეორიები. კაცობრიობას რეალური სოციალიზმი ჭირდება, ადამიანთა სრული თანასწორუფლებიანობა.

ეს ზემოთ აღნიშნული მასალები იმიტომ მოვიტანე, რომ კიდევ ერთხელ მეჩვენებინა ძველი კოლხეთის ისტორიული წარსულის ერთი მაგალითი და კოლხურ-მეგრული და ფინიკური სიტყვების დამთხვევის ზოგიერთი ფაქტი.

აკად. სიმონ ყაუხჩიშვილს „გეორგიკაში", როგორც აღვნიშნეთ, მოცემული აქვს ძველი ბერძნული ცნობები იმის შესახებ, რომ უძველეს დროში კოლხებს ჰქონდათ „კვირბები" – ხელნაწერი წიგნები და რუკები. კოლხები კრავის ტყავზე წერდნენ ისე, როგორც სხვები პერგამენტზე, პაპირუსზე – ეს საყოველთაოდ ცნობილია. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ, კოლხები მამა-პაპათა განძს თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ და სათუთად ინახავდნენ წიგნებს (კვირბებს), რუქებს და სხვა (ჰქონდათ წიგნსაცავები).

გასარკვევია, რომელ პროტოქართულ ანბანზეა საუბარი: „კვირბებზე" თუ ატლანტიდელ „კოლხუას" ანბანზე? თუ გავიზიარებთ იმ ვერსიას (თვლის ვლ. ალფენიძე), რომლის მიხედვით ერთსა და იმავე ანბანზეა საუბარი, მაშინ საკითხი გარკვეულია. „კოლხუას ანბანი", რომელიც „მაიას ანბანშია" შემონახული, ჩანს წარღვნამდელი ქართული ანბანის ფრაგმენტებია.

ზემოთ აღვნიშნეთ იგნატიოს დონელის, დიეგო დე ლანდას, ბ. დე ბურბოს შეხედულებები უძველესი – წარღვნამდელი საქართველოს – კოლხუას და მაიას ტომის ხალხების ურთიერთობის შესახებ და, აქედან გამომდინარე, ვლ. ალფენიძისეული ანალიზი, კონცეფციები ამ საკითხზე. მთავარია რამდენად შეესაბამებიან ისინი რეალობას. არის სხვა კითხვაც: XVI და XIX საუკუნეების მეცნიერ-მკვლევარებმა, მწერლებმა, რა საფუძველზე შექმნეს აღნიშნული კონცეფციები, შეხედულებები? – არ შეიძლებოდა რაიმე სერიოზული საფუძვლების გარეშე შექმნილიყვნენ ისინი.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

იაშვილის კლინიკის თურქი ინვესტორი – "კაბინეტებსა და პალატებში ხატების ჩამოხსნის გადაწყვეტილება სტამბოლშია მიღებული"

(ანუ ამერიკულ გზას გათურქებისაკენ მივყავართ!)

იაშვილის კლინიკის მედპერსონალსა და **"უნივერსალ ჰოსპიტალ გრუპ"**-ის წარმომადგენელს თექინ ატიკს შორის სიტყვიერი დაპირსპირება მოხდა.

იაშვილის სახელობის კლინიკის მედპერსონალმა საავადმყოფოს ეზოდან სააქტო დარბაზში გადაინაცვლა, სადაც თექინ ატიკს უნდა შეხვედროდა, თუმცა, მან ექიმებთან შეხვედრაზე უარი განაცხადა და ჟურნალისტებთან შეხვედრა ისურვა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას თექინ ატიკმა განაცხადა, ის 31 აგვისტოს იაშვილის სახელობის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში არც ნასვამ მდგომარეობაში და არც ნარკოტიკული საშუალებების თრობის ქვეშ არ ყოფილა და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია. თექინ ატიკმა განაცხადა, რომ მედპერსონალმა თურქული ენა არ იცის მისი ხმამაღალი საუბარი ვერ გაიგო.

როგორც თექინ ატიკი აცხადებს, იმ პერიოდში როდესაც ის რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფებოდა, გორიდან მიიყვანეს მძიმე ავადმყოფი, რომლის ახლობლებსაც თან ჰქონდათ კომპიუტერული დისკი, სადაც ჩაწერილი იყო ავადმყოფის მონაცემები, თუმცა აღნიშნული დისკი არ ჩაირთო და მისი გაღიზიანება სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია.

ზუსტად იმ დროს როდესაც თექინ ატიკი ჟურნალისტებთან განცხადებას აკეთებდა, მის კაბინეტში იაშვილის კლინიკის თანამშრომლები შემოვიდნენ და იგი ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულეს. კაბინეტში აღმოჩნდა ის პიროვნებაც, რომელსაც თექინ ატიკმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. თანამშრომლები უნდობლობას უცხადებენ თექინ ატიკს და ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებენ.

რაც შეეხება აღნიშნული კლინიკის პალატებსა და კაბინეტებში ხატების ჩამოხსნის ფაქტს, თექინ ატიკმა განმარტა, რომ კაბინეტებსა და პალატებში ხატების ჩამოხსნის გადაწყვეტილება სტამბოლში იქნა მიღებული. როგორც თექინ ატიკმა განაცხადა, იგი სამლოცველოების მოწყობას კლინიკის თითოეულ სართულზე აპირებს, თუმცა ხატები და ჯვრები კაბინეტებში არ იქნება გამოფენილი.

თექინ ატიკმა ჟურნალისტებს თავის კაბინეტიც დაათვალიერებინა და ის კედლები აჩვენა, სადაც ხატებია გამოფენილი.

რაც შეეხება მედპერსონალს, ისინი თურქ ინვესტორს უნდობლობას უცხადებენ და კლინიკაში ძველი დირექტორის დაბრუნებას ითხოვენ.

ამასთან, იაშვილის კლინიკაში გამოკრულია განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ 2 სექტემბრიდან თანამშრომლებისთვის იხსნება თურქული ენის შემსწავლელი უფასო კურსები.

ამასაც მოვესწარით, ვიდაც თურქმანის შთამომავალი წვირიანი არსება გვიწესებს, ოთახებში ხატები და ჯვრები უნდა გვეკიდოს თუ არა, ჩვენ კი ენის მოჩლექით ველაპარაკებით მინარეთის აღმართვის დაუშვებლობის თაობაზე. ჩვენი ბრალია ყველაფერი! არა და, როგორ ჰგვანან თურქები და სააკაშვილი ერთმანეთს – რაც უფრო წავუყრუებთ მათ არაკაცობას, მით უფრო გვასხდებიან თავზე. ეტყობა, ეს თვისება სააკაშვილმა დედიმისის თურქი **"პატრნიორისაგან"** ისწავლა...

იქნებ დროა, წინ აღვუდგეთ ამ უმსგავსოებას?

ბოლო ინფორმაციით უზრდელი თურქი ბიზნესმენი გამოპანღურებულია იაშვილის კლინიკიდან!

საპ. ინფ.

The Independent – საქართველოს ახალი ლიდერი დასავლეთს ანერვიულებს

"საქართველოს ახალი ლიდერი დასავლეთს ანერვიულებს", – ამ სათაურით ეხმაურება ბრიტანული გამოცემა **The Independent** საქართველო-დასავლეთის ურთიერთობებს.

როგორც სტატიის ავტორი ჯიმ არმიტიჯი აღნიშნავს, საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უფრო წინდახედული უნდა იყოს.

"როცა ბანკში 6 მილიარდი დოლარი გიდევს, ადვილია იმის თქმა, რასაც ფიქრობ, მაგრამ საქართველოს მილიარდერი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უფრო წინდახედული უნდა იყოს", – აღნიშნავს ჯიმ არმიტიჯი და დასძენს, რომ სამშობლოში დაბრუნებამდე ბიძინა ივანიშვილმა ქონება რუსეთში დააგროვა. სამშობლოში დაბრუნებულმა კი გამარჯვება მოიპოვა მისი კოალიციის მიერ პროდასავლური პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პარტიის დამარცხებით.

"დასავლეთში, ხელისუფლებების ზოგიერთ წარმომადგენელი შიშობს, რომ ივანიშვილს ქვეყნის უკან, დედა-რუსეთში დაბრუნება სურს. თუმცა, თავად აცხადებს, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეგობრობა და საქართველოს ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება სურს, მაგრამ მისი მთავრობა კორუფციის ბრალდებით სააკაშვილის ხელისუფლების ათობით წარმომადგენელს აპატიმრებს", – წერს სტატიის ავტორი და დასძენს, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, შესაძლოა, თავად პრეზიდენტიც მიხეილ სააკაშვილიც დააპატიმრონ.

ჯიმ არმიტიჯი ასევე აღნიშნავს, რომ **აშშ**-მ უკვე ღიად გამოთქვა შეშფოთება ამ დაკავებებზე.

"თუ ბიძინა ივანიშვილი მართლაც ფიქრობს დასავლეთთან ურთიერთობის შენარჩუნებაზე, მან უნდა შეწყვიტოს მისი ოპონენტების გასაჩუმებლად სასამართლოთი მუქარა. ასეთი საუბრები შესაძლოა, მოსკოვის საამებლად გამოდგეს, მაგრამ დასავლეთს შესაძლოა, სხვა შეხედულება ჰქონდეს ამაზე", – წერს ჯიმ არმიტიჯი.

ქართულ საზოგადოებას უკვე ეჭვი არ ეპარება, რომ სწორედ ამერიკელებისაგან აქვს ხელები გაკოჭილი ბიძინა ივანიშვილს და მათ მიერ შემოჩეჩებული ავადსახსენებელი **"კოაბიტაციის"** გამო ვერ ახერხებს ქართველი ხალხისადმი შეპირებულ **"სამართლიანობის აღდგენას"**, რაც საბრალდებო სკამზე მიუჩენს ადგილს ნაციონალთა აბსოლუტურ უმრავლესობას და მათ ნირწამხდარ შეურაცხად **"ბელადს"** სააკაშვილს! ამიტომაც იქცევიან ნაცები თავხედურად და კიდევ აქეთ გვმოძღვრავენ, რაც ქართული საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

დასავლეთს თავში ქვა უხლია და ნურც სანერვიულო გამოულიოს ღმერთმა, მაგრამ ჩვენ როდემდე უნდა ვინერვიულოთ?

საპ. ინფ.

სააკაშვილი: "მსურს გადავცე ზოოპარკის დირექტორს: ფრთხილად იყოს!"

ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტად წოდებული მიხეილ სააკაშვილი ბათუმის პიაცაზე მის წინააღმდეგ ჩატარებულ საპროტესტო აქციას (როცა ყოფილმა პოლიტპატიმარმა მელორ ვაჩნაძემ და მისმა მხარდამჭერებმა მიშას **"მკვლელი და ნარკომანი"** უძახეს) გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ხელისუფლებას არ მოსწონს მოსახლეობის კეთილგანწყობა მისდამი და ამიტომაც უწყობს პროვოკაციებს.

"ასეთი კეთილგანწყობა, რაც მე ბოლო დღეებში ბათუმში მხვდება, არ შემხვედრია 2004 წლიდან მოყოლებული, ეს ალბათ ნახა ერთმა კაცმა, ზოოპარკის დირექტორმა და არ მოეწონა, შემდეგ გამოუშვა ერთ-ერთი გალიიდან ჩაცუცქული ელემენტები, ჩამოვიდა გუშინ მთელი ბრიგადა, გადაუხადა სასტუმროს ფული, სასამართლო ხარჯები (100 ლარი ღირს პრეზიდენტის შეურაცხყოფა, რუსი დეპუტატის – ათასი ლარი, რუსი დეპუტატის, რომელიც აფხაზეთის ომში ჩვენ წინააღმდეგ იყო).

მე მსურს ვუთხრა ზოოპარკის დირექტორს, რომელსაც შესაძლოა ნერვები ეშლება იმით, რომ ხალხი მეფერება, ტაშს მიკრავს და ეს ტელევიზორში აჩვენეს, მსურს ვუთხრა, რომ ყველაფერს აქვს თავისი ფასი, თუ შენ ჩაცუცქული ელემენტებით აპირებ პოლიტიკის კეთებას, თუ შენ აპირებ სრულიად გაუმართლებელი ქმედებებით, როგორიც მოხდა ადიგენში, პოლიტიკის კეთებას, მეორეგან დეპუტატების ცემით, მესამეგან ამეების გამოშვებით, ეს ყველაფერი იკვრება ერთ სურათში და მერე ექმნება საზოგადოებას პრობლემა. ის თავის თავს უშველის, ზოოპარკს უშველის და წავა, მაგრამ საზოგადოებამ რა ქნას? როგორ უნდა დავალაგოთ ეს ყველაფერი? როგორ უნდა დავაბრუნოთ ტურისტები, რომლებსაც ეს გააქცევს და შემოსავლები, რომელსაც ეს დააკლებს? პრობლემა ექმნება ქვეყანას, ბევრი ქაოსის დანერგვით. ამას ყველაფერს აქვს კონკრეტული ფასი, გაჩერებული წარმოებები და შემოსავლების კლება. ამას წინათ რაც მოხდა – ხალხმა გააძევა ისინი, ერთი პოლიციელი არ იყო გარშემო სპეციალურად, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ეს არის სახელმწიფო ორგანოების მიერ გაკეთებული აქცია და ხალხი აიძულეს, რომ სამართალი თავიანთ თავზე აეღოთ, ამიტომ, მსურს ზოოპარკის დირექტორს გადავცე, ფრთხილად იყოს, ასეთი რაღაცები არ შეიძლება", – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

რაც შეეხება საკაშვილს, იგი მართლაც გასამწესებელია ზოოპარკში, მაგრამ ამას ცხოველთა დაცვის საზოგადოება არ დაუშვებს, რადგან გიჟის ცხოველთა შორის ყოფნა ნამდვილად დამღუპველად იმოქმედებს ბუნების უტყვ შვილებზე, რომელთაც არაფერი დაუშავებიათ საიმგვარო, რომ ყოველი შესაძლებლობისთანავე ისეთ სიმახინჯეს და ბიოლოგიურ მუტანტს შეადარონ, როგორიც სააკაშვილია!

აქვე, ჩვენი გაზეთის მკითხველებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ბათუმის პიაცაზე პრეზიდენტ სააკაშვილის შეურაცხყოფისთვის ყოფილი პოლიტპატიმარი მელორ ვაჩნაძე დააკავეს, რომელიც სასამართლომ 100-ლარიანი ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლა.

საპ. ინფ.

ილია ჭავჭავაძე – მაჰმადიანთ გაქრისტიანება

შემოგვიერთდნენ თუ არა ბათომის მაზრის მაჰმადიან ქართველები, ზოგიერთებმა იმთავითვე ქადაგება და დამტკიცება დაიწყეს, რომ ყველაზე პირველად ჩვენ ის მაჰმადიანი ქართველები უნდა მოვნათლოთ, გავაქრისტიანოთო; მხოლოთ როცა მოინათლებიან, მაშინ შეიქნებიან ისინი ნამდვილ ჩვენ მოძმეებად, მხოლოთ მაშინ ქრისტიანობას შეუძლიან ამათი დამშვიდება და ჩვენთან მოთავსებაო.

ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ ახლად ქართულს ენაზე გამოცემული წიგნი მღვდლის სიმეონ ბეგიევისა, სახელად **"პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოთ ეფენდისთან"**. მთელი ამ წიგნის აზრი არის, დაამტკიცოს, რომ ქრისტიანობას უპირატესობა აქვს მაჰმადიანობაზედაო, ჩვენი სახარება სჯობიან თქვენს ყორანსაო, ერთის სიტყვით, ვისაც სააქაოს კეთილი ცხოვრება ჰსურს და საიქაოს ცხონება, უნდა ქრისტიანი იყოსო და ამიტომ ჩვენებურ მაჰმადიანებს ურჩევს, გაქრისტიანდითო. ავტორი პირდაპირ ასახელებს ინგილოებსა და ბათომის მხარის მაჰმადიან ქართველებს,– ამათთვის დავწერე ეს წიგნიო.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი უმაღლესი მთავრობა ამ აზრის არ არის. იმას კარგათ ესმის, ქადაგება, ლაპარაკი და ცდა, რომ მაჰმადიანი ქართველები გააქრისტიანონ, ვნების მეტს, არაფერ სიკეთეს არ მოიტანს.

ახლადდაპყრობილ საქართველოს ნაწილში უიმისოთაც გავრცელებულია ცრუ ხმა, რომ რუსები ძალათ გაქრისტიანებას გვიპირებენო, და ახლა რომ მართლა ჩვენ იქ ქრისტიანობის ქადაგება დავიწყოთ, ხელში სახარება მივაჩეჩოთ და ამ **"პოლემიკურ საუბრის"** მსგავსი წიგნები, ისინი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ რასაც ამბობდნენ, მართალი ყოფილაო, მართლა გაქრისტიანება ნდომებიათ ჩვენიო. და რა მოქმედება ექმნება ამგვარ ხმის გავარდნას მაჰმადიან ქართველებში, ამის გამოცნობას ბევრი ჭკუა და მახვილგონიერება არ ეჭირება; ჩვენ დარწმუნებული ვართ, პირველი შედეგი ამისი ის იქნება, რომ ვინც დარჩენილან ჯერ კიდევ თავის ქვეყანაში, ისინიც ოსმალეთისაკენ გარდაიხვეწებიან.

ვერ გაგვიგია, რად ზრუნავენ ეს ზოგიერთი პირები ასე ერთგულად, ასე წინდაუხედავათ, რომ ყველაზე პირველად სარწმუნოებას შეეხონ, რჯული გამოუცვალონ მაჰმადიანებს? იქნება ქრისტიანობა უფრო წინწამწევია კაცობრიობის ცხოვრებისა, უფრო ეთვისება ეხლანდელ განათლებულ დროის მოთხოვნილებასა და სწავლას. მაგრამ განა მარტო სარწმუნოებაზედ, რჯულზედ არის ახლანდელი კაცობრიობის ცხოვრება დამყარებული? განა არ შეიძლება კაცი ანუ ხალხი არც ქრისტიანი იყოს, არც მაჰმადიანი, არც კერპთაყვანისმცემელი, მაგრამ კარგი კაცი ანუ კარგი ხალხი იყოს, კარგს განათლების გზაზედ დამდგარი და ცხოვრებაში ყოველმხრივ წარმატებული?

ჩვენი აზრი ეს არის, რომ ქადაგებას და ცდას ამგვარ შემთხვევაში არავითარი სიკეთის მოტანა არ შეუძლიან. გაქრისტიანებას კი არ უნდა ვცდილობდეთ ჩვენ ახლა ბათომის და სხვა მაზრების ქართველ მაჰმადიანებისა, არამედ, თუ გვინდა, რომ იმათი გული მოვიგოთ, თუ გვინდა, რომ იმათის მხრით თანაგრძნობა და სიყვარული დავიმსახუროთ, რომ კარგ, სასარგებლო რუსეთის ქვეშევრდომებად გავხადოთ, ყველაზე პირველად იმათ გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობა უნდა გავაუმჯობესოთ, სიღარიბე შევამციროთ, უმეცრება მოვსპოთ, სკოლები (და არა მედრესეები – **"ილორი"**) გავმართოთ, ძმური სიყვარული და შემწეობა აღმოვუჩინოთ ყოველ საქმეში, სწორ, ნამდვილ გზაზე დავაყენოთ ცხოვრებაში, კარგი მოსამართლე და ადმინისტრატორები დავუყენოთ და სხვ. და სხვ

სარწმუნოების საქმე სინდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა – ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც ჰსურს, იმ რჯულზე იყოს; მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და ქვეყნისათვისაც სასარგებლო. თვითონ ჩვენი მადალის და უზენაესის მოძღვრის იესო ქრისტეს სიტყვაა, რომ რჯული არ შეიქმს კაცს, არამედ საქმეო.

ურიგო არ იქნება, რომ ამ ქრისტეს სიტყვებითა და ზემოხსენებულ მოსაზრებით იხელმძღვანელონ ყველა იმათ, ვისაც ბათომის მაზრის ქართველ მაჰმადიანებთან ექნებათ საქმე.

ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტომი XV: "ილიას ფონდი": თბილისი, 2007, გვ. 167-169.

არნო ხიდირბეგიშვილი: „ასლან მარგოშვილის მამამ ჩემი ვერსია დაადასტურა – ლაფანყურში ბიჭები იმიტომ დახოცეს, რომ მათ ივანიშვილის მოკვლაზე უარი თქვეს! დღეს საქართველო – სამოქალაქო ომის ზღვარზეა!“

ბატონო საქართველოს პრემიერ–მინისტრო! ღრმად პატივცემულო ბატონო ბიძინა! გუშინ, 2013 წლის 28 აგვისტოს, საქართველოს ტელეარხების საღამოს საინფორმაციო გამოშვებებმა აჩვენეს ლაფანყურის სპეცოპერაციისას მოკლული ასლან მარგოშვილის მამის კომენტარი, რომელმაც განაცხადა, რომ ხეობაში განადგურებულ შეიარაღებულ ჯგუფს, რომელიც ჩეჩნეთის და საქართველოს მოქალაქეებისგან შედგებოდა, ევალებოდა დესტაბილიზაციისა და ქაოსის ორგანიზება თქვენი გამოსვლის დროს თელავში 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე.

არადა, ჯერ კიდევ 2012 წლის 7 სექტემბერს, გაზეთ **„ასავალ–დასავალისთვის“** (№37) მიცემულ ინტერვიუში **„დოშუევი და დანარჩენები დახოცეს იმიტომ, რომ ივანიშვილის მოკვლაზე უარი თქვეს?!“**, საქინფორმის მთავარი რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი გაფრთხილებდათ:

„პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩრდილოკავკასიური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა ივანიშვილის ლიკვიდაციის თაობაზე, რაზეც ისინი არ წავიდნენ:

– ან პოლიტიკური მოსაზრებებით (მათთვის ბოლომდე უცნობი, უბრალოდ, ზაკაევმა აუკრძალა, დაურეკა რა თავის ყოფილ მცველს, დოშუევს, რომელიც შემდეგ სპეცოპერაციის მსვლელობისას მოკლეს);

– ან პირობებმა არ დააკმაყოფილა (არასაკმარის ფულს ან შემდგომი უსაფრთხოების გარანტიებს სთავაზობდნენ);

– ანდა კავკასიური ღირსების კოდექსიდან გამომდინარე (ივანიშვილი ჩრდილოეთკავკასიელებს პატივს სცემს და მისი მოკვლა არაკაცურია).

ამიტომ, მერე რამე რომ არ წამოსცდენოდათ, სააკაშვილმა მათი ლიკვიდაციის ბრძანება გასცა“.

ბატონო პრემიერ–მინისტრო!

დამეთანხმეთ, რომ ჩემს პროგნოზებს ერთი **„უსიამოვნო“** თავისებურება აქვთ – ისინი სრულდება... ამიტომ, მინდა ჩემი კიდევ ერთი პროგნოზი შეგახსენოთ, რომელმაც უკვე დაიწყო ახდენა, რისი შედეგებიც ბევრად უფრო საშინელი იქნება, ვიდრე უამრავი სხვა საქმესავით **„მიჩქმალული“** ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიების.

2013 წლის 18 თებერვალს, ჩემს ინტერვიუში **„ქართული ოცნება ქართულ გაზაფხულს მიიღებს, ნაცმოძრაობა სამოქალაქო ომს ამზადებს“** და 2013 წლის 1 მარტს, ექსკლუზიურ ინტერვიუში Disput.az-ს **„სააკაშვილს უნდა, საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს და საქართველოში მშვიდობისმყოფელებად ნატოს ჯარები შემოიყვანოს!“**, მე გაფრთხილებდით, რომ:

1. 2012 წლის 1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებზე **„ქართული ოცნების“** გამარჯვებით არაფერი დამთავრებულა, ყველაფერი მხოლოდ იწყება. დღეს დავამტკიცებ, რომ არაფერი დამთავრდება 2013 წლის 28 ოქტომბერსაც, საპრეზიდენტო არჩევნებზე თქვენი კანდიდატის შთამბეჭდავი გამარჯვების შემთხვევაშიც კი.

2. საქართველოში შესაძლებელია მოვლენათა განვითარება არაბული გაზაფხულის სცენარით – ანუ ხელისუფლების ორი, ერთმანეთის მიყოლებით, ცვლილება სამოქალაქო ომის ფონზე (რასაც დღეს ვხედავთ, მაგალითად, ეგვიპტეში, სადაც მურსის ახალმა ხელისუფლებამ ვერ დაიკავა მკაფიო პოზიცია ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის საკითხში, რის შედეგადაც არმიის მიერ დამხობილი იქნა). დღეს დავამტკიცებთ, რომ საქართველოს ახალ მთავრობას ასევე არ გააჩნია რუსურსი, რომ სამაგალითოდ დასაჯოს დამნაშავეები, აგრეთვე თავის მხარეს მიიზიდოს ექს-მმართველი **„ნაცმოძრაობის“** უდანაშაულო წარმომადგენლები (მაგალითად, პროფესიონალები დედაქალაქის მერიაში, ქალაქის და რაიონის მუნიციპალიტეტებში, სამინისტროებში).

3. სააკაშვილი და **„ნაცმოძრაობა“** რამდენიმე პროვოკაციას ამზადებენ, რომლებიც უახლოეს ხანებში, მათი ჩანაფიქრით, სამოქალაქო ომში უნდა გადაიზარდოს.

იქნება ეს ლოკალური კონფლიქტები, რომლებსაც პროვოკაციების ჯაჭვი გამოიწვევს უმცირესობებთან შეჯახებების ფონზე:

– ეროვნულ უმცირესობებთან (უკვე არაერთხელ იყო სამცხე–ჯავახეთში);

– სექსუალურ უმცირესობებთან (უკვე იყო 2013 წლის 17 მაისს რუსთაველის გამზირზე თბილისში);

– რელიგიურ უმცირესობებთან (უკვე იყო სოფლებში – ნიგზიანში, წინწყაროში, სამთაწყაროში, 2013 წლის 26 აგვისტოს კი დაიწყო და გრძელდება ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში), მნიშვნელობა არა აქვს – ყველა შემთხვევაში ეს სახელმწიფო გადატრიალების მასშტაბურ მცდელობაში გადაიზრდება, სისხლი დაიღვრება და **„ქართული ოცნება“ „ქართულ შემოდგომას“** მიიღებს!

4. სირიაში ახალი ომის ფონზე სააკაშვილი წამსვლელია იმაზე, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს და დასახმარებლად ნატოს უსაფრთხოების ხელშემწყობი საერთაშორისო ძალები (ISAF) ან გაეროს სამშვიდობო კონტინგენტი მოიხმოს **„კონსტიტუციური წესრიგის დასაცავად და საქართველოში სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად, სტრატეგიული ობიექტების – ნავთობ- და გაზსადენების, გზების, ხიდების, აეროპორტების და სხვა, ახლო აღმოსავლეთში პროცესების გათვალისწინებით, ნატოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის დაცვისთვის, აგრეთვე, თბილისის მახლობლად – დასახლება ალექსეევკაში მდებარე აშშ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიისა (CPHRL) თავისი ვირუსის შტამების საცავით, რომლებიც შესაძლოა ბაქტერიოლოგიური იარაღის შესაქმნელად იქნეს გამოყენებული, როგორც სირიაში“.**

როგორც ჩანს, სააკაშვილის განწირულ ყვირილზე – **„დემოკრატიის შუქურა საფრთხეშია! კოჰაბიტაცია ჩაიშალა! იხსენით საქართველო!“** – აქ პირველი თურქეთის (ნატოს წევრი უახლოესი ქვეყნის) ჯარი შემოვა.

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

მიმდინარე მოვლენების ანალიზი საფუძველს მაძლევს ვამტკიცო, რომ თქვენ არანაკლებ სახიფათო არაკეთილმოსურნეები გყავთ, ვიდრე შეშლილი სააკაშვილი, რომელიც უკვე ღიად ემუქრება საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მას ზოოპარკის დირექტორს უწოდებს. მაგრამ აქ უკვე იმ ზღვარს მივუახლოვდით, რომლის მიღმა გამოქვეყნებისათვის არასასურველი ინფორმაცია იწყება. ამიტომ, დასაწყისისთვის, უფრო ყურადღებით დააკვირდით თქვენს უახლოეს გარემოცვას და გაუთვითცნობიერებულთათვის შეუმჩნეველ ბობოქარ პროცესებს ზოგიერთი ქართული მედია საშუალების ირგვლივ – თქვენ აუცილებლად შეამჩნევთ მათ შორის ფარულ კავშირს...

ღრმა პატივისცემით,

არნო ხიდირბეგიშვილი
საინფორმაციო–ანალიტიკური
სააგენტო საქინფორმის მთავარი
რედაქტორი

გიგი უგულავა: “ბაჩო ახალაიასთან პირადად ბევრი კითხვა მაქვს”

“არანაირი სამართლიანობის აღდგენა არ მიდის, ეს არის ჩვეულებრივი შურისძიება უმრავლესობის სახელით. ერთი წელია წარსულის ქექვით ვცხოვრობთ”, – აცხადებს თბილისის მერი გიგი უგულავა. როცა **“ნაცმოძრაობა”** ხელისუფლების სათავეში იყო, მაშინ ქალაქის მერს დაგროვილ კითხვებზე პასუხის გასაცემად არ ეცალა; სჯობს გვიანო, ნათქვამია...

– რა ფუნქცია ჰქონდა თბილისის მერს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს?

– სრული აბსურდი და სისულელეა გავრცელებული აზრი, თითქოს მე სამხედრო გადაწყვეტილებებს ვიღებდი. ეს კითხვები, ალბათ, იმიტომ გაჩნდა, რომ ყოველდღე ცხელ წერტილში ვიყავი. აბა, სად უნდა ვყოფილიყავი, როდესაც მთელი თბილისის სასწრაფო დახმარება და სამაშველო სახანძრო სამსახური საომარ პროცესებს ემსახურებოდა?

– მაშ, რატომ გაახმაურეთ ცნობილი მორატორიუმის ტექსტი, რომელმაც რუსებს მანევრირების საშუალება მისცა?

– ეს განცხადება მე კი არა, სანაკოევმა გააკეთა.

– სანაკოევი ჯეთ საკითხებს ვერ გადაწყვეტდა. თქვენ არ გამართეთ ბრიფინგი?

– სანაკოევი ჩემ გვერდით იდგა და ვინაიდან ქართულად ვერ ლაპარაკობდა, რუსულად გააკეთა განცხადება. მე მას მეგობრულად დავეხმარე და იგივე განცხადება ქართულად გავაკეთე. თარჯიმნები უნდა გვეძებნა?

– როგორც ცნობილია, თქვენ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ საკითხებს აგვარებდით. ცხინვალში ყველაფრის დასრულების შემდეგ აქცია უნდა ჩატარებულიყო, რისთვისაც დროშები და პლაკატები ყვითელი ავტობუსებით გქონდათ მობილიზებული.

– არ ვიცი, რა გიპასუხოთ, რომელი ქანთარია მე ვარ, დროშა სადმე ჩამერჭო. ეს ჭორია და მეტი არაფერი.

– ავტობუსებსა და პიკაპებში დროშები არ გქონდათ?

– მსგავსი არაფერი ყოფილა. როცა ამხელა ტრაგედიაზე ვლაპარაკობთ, ამაზე კომენტარები არასერიოზულია.

– თქვენი გუნდის წევრებისგან მომისმენია, რომ ცხელ წერტილში მედიის მუშაობას უწევდით კოორდინირებას.

– არა, მე რა შუაში ვიყავი, იქ ძირითადად სხვადასხვა უწყების პრესსამსახურები მუშაობდნენ. გორის მედიაცენტრში მხოლოდ ორჯერ მივედი, რომ ინტერვიუ მიმეცა ჟურნალისტებისთვის.

– ჰქონდა თუ არა საქართველოს საომარი მოქმედებების გეგმა?

– მე ამ მოვლენას საბრძოლო მოქმედებებს დავარქმევდი, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარეობდა ჩვენს ტერიტორიაზე. ახლა რა ვქნათ, თავზე ნაცარი წავიყაროთ და ვიძახოთ, დათვო, ბაბაია, ბაბაიაო?! რა მოაქვს ამას? დღეს რამე შეიცვალა რუსეთთან? ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველომ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, არა თუ მავნებლობა, არამედ ღალატია.

– სააკაშვილი ჯიუტად ამბობს, რომ ივანიშვილი რუსეთის პროექტია. თქვენც ასე ფიქრობთ?

– რაღაც კავშირები რუსეთთან, ალბათ, აქვს და არც მალავს. მე მას რუსულ პროექტს არ დავარქმევდი.

– ტერიტორიების სანაცვლოდ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს ნატოსა და ევროპულ ოჯახში გაწევრებაზე უარის თქმა, როგორც ეს სააკაშვილმა განაცხადა?

– ეს შედარება არათანაზომადი და უადგილოა, რადგან ეს საკითხი არ დგას.

– ცდებით, პრეზიდენტმა თქვა, რომ ეს პუტინმა შესთავაზა.

– ნატოში გაწევრება-არგაწევრება არ არის სააკაშვილის, უგულავასა და ივანიშვილის გადასაწყვეტი. თუ პუტინი დათანხმდებოდა რეფერენდუმზე, ხალხი გადაწყვეტდა, რა ჯობდა ქვეყნისთვის. ეს წინადადება სააკაშვილის დიპლომატიური მანევრი იყო. ამით რუსეთს ტესტი ჩაუტარა და საზოგადოებას აჩვენა, რომ პუტინი ამ თემას არც განიხილავს.

– როგორ შეაფასებთ სამართლიანობის აღდგენის პროცესს, რომელიც ქვეყანაში მიდის?

– არანაირი სამართლიანობის აღდგენა არ მიდის, ეს არის ჩვეულებრივი შურისძიება უმრავლესობის სახელით. ერთი წელია წარსულის ქექვით ვცხოვრობთ.

– თქვენი აზრით, ის ადამიანები უდანაშაულონი არიან, რომლებსაც დღეს პანტაპუნტით ამართლებენ?

– მე მოსამართლე არა ვარ... ნამდვილად არა ვარ ბაჩო ახალაიას ადვოკატი და როდესაც ციხიდან გამოვა, პირადად ბევრი კითხვა მაქვს მასთან. მაგრამ თუ ბაჩო ახალაიას ტარიელ ფოცხვერიას ჩვენებით ასამართლებ ციხის ბუნტზე, ეს სისტემის პრობლემაა. იმიტომ არის თემიდა თვალახვეული, რომ უნდა მოიტანო მტკიცებულება და არ მოიყვანო მოწმეები, რომლებსაც შპარგალკები აქვთ ხელზე დაწერილი.

– პროკურორები, რომლებსაც ახლა აკრიტიკებთ, თქვენს დროს დაინიშნენ თანამდებობებზე.

– სხვათა შორის, ბაჩო ახალაიას პროკურორები არ იყვნენ ჩვენს დროს. ჩემს სასამართლოზე ვინც იყო, ისინი მართლაც ჩვენს დროს დაინიშნენ. ამიტომაც სასამართლოდან გარეთ რომ გამოვედი, ადვოკატს ვუთხარი, ნუთუ ეს იდიოტი პროკურორები ჩვენთან მუშაობდნენ-მეთქი? ასეთი იმბეცილი, ერთუჯრედიანი პროკურორები რომ იყვნენ, მივხვდი, რატომაც წავაგეთ არჩევნები და ეს ამბავი დაგვემართა.

– ვიდეოფირებზე გკითხავთ. როგორ ფიქრობთ, თქვენც გითვალთვალებდნენ?

– რა ვიცი, როგორც ამბობენ, ჩემზეც აქვთ ვიდეოფირი.

– რომ თქვით, ბაჩო ახალაიასთან კითხვები მაქვსო, ამ საკითხს ხომ არ ეხება?

– ბევრთან შეიძლება მქონდეს კითხვა, მაგრამ როცა კაცი ციხეში ზის, რა კითხვა უნდა დავუსვა.

– მინდა რიყის თემას შევეხო, რომელიც თბილისის მერიამ ჯერ გაყიდა, შემდეგ ორმაგ ფასად უკან შეისყიდა.

– ვინაიდან სასამართლო განხილვა მიმდინარეობს, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია ახლა ლაპარაკი. სიმართლეს სასამართლოზე ვიტყვი.

– წინასაარჩევნოდ აქტივისტების დასაქმების სკანდალზე რა კომენტარს გააკეთებთ?

– ესეც სასამართლო დავის საგანია და იქ მობრძანდით.

– კუს ტბაზე, რეკრიაციულ ზონაში რესტორანი რომ შენდება, ეს ხომ არ არის სასამართლოს საქმე?

– ბრალდება, რომ მერია ხეებს ჩეხს, არათუ თითიდან გამოწოვილია, არამედ ამორალურიც. რაც შეეხება ამ შემთხვევას, ტყუილების კასკადზე იყო აწყობილი. ამ ტერიტორიაზე ერთი ხე გადაირგო, იქ საოჯახო ტიპის საბავშვო ცენტრი შენდება, ბუნებრივია, კაფეც იქნება. თუ ხელისუფლება თალიბივით მოიქცევა, ბიზნესი მისი პარტნიორი არასოდეს იქნება.

– ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, პრეტენზიები აქვთ თქვენთანაც...

– მე ვაგრძელებ საქმიანობას, ერთი დღე არ შეწყვეტილა არც ერთი პროექტი. თუ იმპიჩმენტზე მეკითხებით, ვერ იქნება, რადგან ეს პრინციპულად რთულია. სტანდარტული იმპიჩმენტი უნდა მოხდეს სასამართლოს თანხმობით და ორმა მესამედმა უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი. ამ ყველაფრის დაწყება, როცა არჩევნებამდე 8 თვეა დარჩენილი, არასწორია.

– თეთრ სავარძელში რომ შესწორდით, გამახსენდა ის ცნობილი ფოტო, რომელიც ინტერნეტში გავრცელდა, სადაც თქვენ კარგად ნასვამი ხართ სტრიპტიზიორ ქალბატონებთან ერთად.

– რა კომენტარი უნდა გავაკეთო ამ ფოტოზე? მეგობრების წრეში დაბადების დღეზე ვიყავი. რატომ ვიყავი? თუ ნასვამი რატომ ვიყავი, ამაზე გავაკეთო კომენტარი?

– თქვენ საჯარო პირი ხართ, საპასუხისმგებლო თანამდებობაც გიკავიათ. საზოგადოების ნაწილს კითხვები გაუჩნდა, ხომ არ იხარჯება ბიუჯეტის ფული უგულავას “გულაობისთვის”?

– მასპინძელი კი არა, სტუმარი ვიყავი იმ დღეს. ვინ როგორ და სად ისვენებს, ეს მისი საქმეა. თქვენ მეკითხებოდით, ფარულად როგორ უთვალთვალებდნენ ხალხს. რა განსხვავებაა იმ ჩანაწერსა და ამ სურათს შორის, ესეც ხომ პირად ცხოვრებას ეხება? ისიც არასწორია და ესეც.

უ. ბიწაძე

“ილორის” კომენტარი: საწყენია, რომ ისეთი არარაობა და უტიფრობის კლასიკური ნიმუში, როგორიც გიგი უგულავაა, ნამდვილ კოლხურ გვარს ატარებს და, სააკაშვილისაგან განსხვავებით, ძირძველი ქართველია. მაგრამ, ვაი რომ, მას წესიერი არაქართველი მირჩევნია, რადგან გიგის უსირცხვილობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება და უცხოელს აფიქრებინებს, რომ სხვა დანარჩენი ქართველებიც მასავით სინდისგარეცხილები არიან!

ციხის კედლები ელოდება ამ არამზადას!

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ირკუტსკში ყოფნის დროსვე ლადო ჯოხაძემ მითხრა — ხვალ ქალაქში, პოლიციის ხელშეწყობითა და ინიციატივით, რევოლუციონერთა დასაშინებლად და ებრაელთა წინააღმდეგ ხულიგნებმა რბევა უნდა მოაწყონ და ამ საქმეში შენი დახმარება გვჭირდებაო. მე სიამოვნებით დავეთანხმე ლადოს და მასთან მყოფ ვიაჩესლავ და ინოკენტი ლაკუციევსკებს და ძლიერად, გაბედულად დავუდექით ბოროტ ხულიგნებს, დიდი წინააღმდეგობა გავუწიეთ. მსხვერპლი მაინც ბლომად იყო. ჩვენ არაერთი ებრაელი და რევოლუციონერთა ოჯახი გადავარჩინეთ დარბევასა და განადგურებას.

ირკუტსკში ყოფნისას, იმ ოცდაოთხი დღის განმავლობაში, როცა ალექსანდრა პოლეტიკას ველოდებოდი, ხშირად დავდიოდი თეატრში, ვესწრებოდი კონცერტებსა და წარმოდგენებს. აღსანიშნავია, რომ მაშინდელი ირკუტსკის თეატრი ერთ-ერთ მოწინავე თეატრად ითვლებოდა და მესამე ადგილზე იყო მთელს რუსეთის იმპერიაში. ერთ დღეს გამოაკრეს აფიშები, რომ რუსულ ენაზე წარმოდგენილი იქნებოდა ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილი პიესა **„ღალატი“**. ამ ფაქტმა იქ მყოფი ქართველები დიდად გაგვახარა, წინასწარ შევიძინეთ ბილეთები; მე ყველა ჩემი მეგობარი მოვიპატიჟე და შევედით თეატრში. წარმოდგენა მშვენივრად იყო გაფორმებული, როლებსაც საუკეთესო მსახიობები ასრულებდნენ. თვით სპექტაკლის მსვლელობისა და, განსაკუთრებით, მოქმედებათა ბოლოს დიდი ოვაციები იმართებოდა. ანტრაქტების დროს მარსელიეზას ამაღელვებელი ჰანგები გაისმოდა. უკანასკნელი მოქმედება არც იყო დამთავრებული, ვიღაცამ ქანდარიდან მჭექარე ხმით დაიძახა, რომ ორკესტრს დაუყოვნებლივ შეესრულებინა სამგლოვიარო მარში სპექტაკლის საყურებლად მოსული გენერალ-გუბერნატორის კუტაისოვის მიმართ. პარტერის უამრავი ხალხი შეშინდა და შეშფოთებულებმა გააფრთხილეს ორკესტრი, რომ ეს მარში არ შეესრულებინა. მაშინ ზემოდან ფურცლები გადმოყარეს. დავწვდით იმ პროკლამაციებს და წავიკითხეთ. იმუქრებოდნენ, რომ თუ სამგლოვიარო მარში არ შესრულდებოდა, მაღლიდან ბომბს გადმოაგდებდნენ და ყველას ამოგვწყვიტავდნენ. სხვა გზა აღარ იყო. კაპელმეისტერმა იმ წუთშივე ანიშნა ორკესტრს და სამგლოვიარო მარშმაც დაიგუგუნა. გენერალ-გუბერნატორი კუტაისოვი, თავისი ამალითურთ, გაფითრებული იჯდა სამთავრობო ლოჟაში. სამგლოვიარო მარშის დამთავრების შემდეგ ტაშის გრიალი და კიდევ მარსელიეზა გაისმა...

მეორე დღეს, საქციელწამხდარმა, შეშინებულმა გენერალმა კუტაისოვმა თავისი თანამდებობა მოადგილეს გადააბარა და ოჯახით სასწრაფოდ პეტერბურგს გაემგზავრა. ამ შემთხვევის შემდეგ მე კიდევ ორი დღე დავრჩი ქალაქში. გამოვეთხოვე იქაურ მეგობრებს, თან წამოვიყვანე ორი ახლობელი ადამიანი — ნიკო მარღანია და მალხაზ ჩაჩიბაია — და დავტოვე ირკუტსკი. მანამდე ისიც უნდა ავღნიშნო, თუ რა დიდის ამბით გამომაცილეს სადგურში. მთელი ქართველობა შეიკრიბა და ბუფეტში გამართეს დიდებული სუფრა. თამადობა დავით დიმიტრის ძე ახმეტელაშვილმა გასწია.

რევოლუციის ქარიშხალმა თუმცა საგრძნობლად შეარყია მეფის ჟანდარმერია, მაგრამ თვით ჟანდარმები ჯერ კიდევ ამჟღავნებდნენ თავიანთ ძალასა და უფლებამოსილებას. ბუფეტში შემოსულმა ერთ-ერთმა ჟანდარმმა გვითხრა, შეგვეწყვიტა სიმღერა და ქეიფი. დავითმა ყურადღება არ მიაქცია ჟანდარმის გაფრთხილებას და განვაგრძეთ ჩვენი ლხინი. გამოიძახეს კომენდანტი. კომენდანტის გამოჩენისთანავე ახმეტელაშვილმა დიდი ბოკალი აიღო და თვალის ასახვევად ნიკოლოზ მეფის სადღეგრძელო წარმოსთქვა, ჩვენ კი გადმოგვხედა — ბიჭებო, ერთი მრავალჟამიერი სჭექეთო. ნიკოლოზის ხსენებისას ჟანდარმი სმენაზე დადგა და გამოგვეჭიმა, თამადამ კი ამ დროს სავსე სასმისი მიაწოდა. მან უხმოდ გადაყლურწა ღვინო. დავით დიმიტრის ძემ ხელისუფლების წარმომადგენელთ განუმარტა, რომ ჩვენ ქართულად ვიმღერეთ „Многие лета“. კომენდანტმა, მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, გვთხოვა ქეიფი მალე დაგვემთავრებინა და გაგვშორდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ირკუტსკში ყოფნის დროს ვანო ჯორჯაძის სანახავადაც გავემგზავრე. ვანო დიდი სიხარულით შემეგება. ისა და მარია ინოკენტიევნა გაშორებულიყვნენ. ქალი იქ არ იყო. ამის მერე ე.წ. **„სტანოვოი პრისტავთან“** — უბნის ბოქაულთან გამოვცხადდი. მან კარგად, ხალისით მიმიღო. მის მიერვე მოცემული ძველი საბუთი გამომიცვალა.

ასე და ამგვარად, ირკუტსკის სადგურზე დიდი სიყვარულით გამოვემშვიდობე ჩემს მეგობრებს და გამოვემგზავრე; ნიკო და მალხაზი ისე მომყვებოდნენ, თითქოს ჩემი მხლებლები ყოფილიყვნენ. სამშობლოში დაბრუნების უფლება არც მათ ჰქონდათ. მე საუკეთესოდ ვიყავი ჩაცმული — ძვირფასი ჩოხა-ახალუხი, ძვირფასი მასრები, წითელი ყაითანით და სირმებით გაწყობილი. უძვირფასეს ქურქს (ისეთს მხოლოდ დიდგვაროვანი და ჩინოსანი ხალხი იცვამდა) წითელი მაუდის საყელო და სარჩული ჰქონდა გამოკერებული. მატარებლის გამცილებელთა შემადგენლობა მეტად თავაზიანად მეპყრობოდა. ფული საკმაოდ მედო ჯიბეში. მგზავრობა უსიამოვნო იყო, უფრო იმის გამო, რომ ჩვენი სამგზავრო მატარებელი ძალიან ნელა მიდიოდა, მიზოზინობდა. დემობილიზებული ჯარისკაცებით სავსე სამხედრო ეშელონებს ჩვენზე უწინ უშვებდნენ. ჩელიაბინსკში რომ ჩამოვაღწიეთ, სადგურსა და მის მიდამოებში უამრავი ვინმე ირეოდა, საშინელი გუგუნი გაგაყრუებდა, ყურთასმენა აღარ იყო. ვინაიდან მატარებელი რამდენიმე საათს უნდა მდგარიყო, ბაქანზე გადმოვედით.

ერთ ადგილას დიდძალი ხალხი მოგროვილიყო და ვიღაცას უსმენდა. მივუახლოვდი შეკრებილთ და ვხედავ — დიდ მაგიდაზე ასულა მღვდელი და ხმამაღლა გაჰყვირის, ქადაგებს: ძმებო და შვილებო! რუსეთის მეფე — იმპერატორს ღალატობენ ებრაელები და კავკასიელები. ამიტომაც, ქრისტეს ჯვრისა და მეფის სახელით, ყველას მოგიწოდებთ, გაჟლიტეთ ებრაელები და კავკასიელები!..

ამაზე იქვე მდგარმა ერთმა ახოვანმა ოფიცერმა, რომლის გვარი ალიხანი იყო, ბოროტად მოქადაგე კაცთმოძულეს ირონიული რეპლიკა ესროლა: წმინდა მამაო, განა სახარებაში ხალხის ხოცვა-ჟლეტა გიწერიაო? მღვდელი გაცეცხლდა და ხალხს გადასძახა: აი, ერთი მათგანი, მეფის მოღალატე, ვინც ღირსია სიკვდილისაო. ამის თქმა კი მოასწრო მღვდელმა და ჩვენ თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით, რომ ოფიცრის ხელში იელვა ხმალმა და მღვდლის თავი, მისივე ქუდიანა მიწაზე გაგორდა. ამან საშინელი წივილ-კივილი და პანიკა გამოიწვია, შეშინებულები იქეთ-აქეთ გარბოდნენ. მალე შემთხვევის ადგილზე ჟანდარმერია გამოცხადდა. ალიხანმა იარაღი ჩააბარა ჟანდარმებს და მორჩილად გაჰყვა მათ. ამ ოფიცრის ბედზე მეტი არაფერი გამიგია.

განვაგრძეთ ჩვენი მგზავრობა და პენზაში ჩავედით. აქ მატარებელი თოთხმეტ საათს გაჩერდა. გადმოვედი ვაგონიდან და ნიკოსა და მალხაზთან ერთად თამამად დავიწყე სეირნობა. მოვიხმე ბაქანზე მდგომი ჟანდარმი და ვუთხარი — მე ფრონტიდან სამშობლოში მივემგზავრები, ბუფეტში მინდა დავისვენო, მატარებლის გასვლის დრო როცა მოვა, ჩაძინებული თუ ვიქნე, გამაღვიძე-მეთქი. სახელოში თუმნიანი ჩავუდე, იგი სმენაზე დაგვიდგა და გაგვშორდა. ბუფეტში აუარება ხალხი მოძრაობდა. მაკვირდებოდნენ, მათვალიერებდნენ. საღამოს ზუსტად მოვიდა ჩემი გაფრთხილებული ჟანდარმი და მითხრა, შეგიძლიათ ვაგონში წაბრძანდეთო. მე და ჩემი მხლებლები ჩავსხედით ვაგონში და პენზიდან გავემგზავრეთ. გზაში ყველა რევოლუციასა და მანიფესტზე ლაპარაკობდა. ზოგი დიდ იმედებს გამოთქვამდა, ზოგიც ხელს აქნევდა, უიმედობის ნიშნად.

ამასობაში ნოვოროსიისკს მოვადექით. აქ მე და ჩემი მხლებლები მშვიდობიანად დავსხედით გემზე. აქვე ამოვიდნენ ორმოც კაცამდე, ყუბანიდან მომავალი მეგრელები, რომლებიც მწყემსებად ყოფილიყვნენ წასულები. გამოველაპარაკე მათ და ვაამბობინე, რა ხდებოდა ჩემს სამშობლო კუთხეში. შემდეგ ისიც ვკითხე, იცნობდნენ თუ არა გვანჯი ჩიქოვანს. მათგან ბევრმა იცოდა ჩემი თავგადასავალი, გადასახლების ამბები... როცა ვუთხარი, მე ვარ გვანჯი-თქო, დიდად გაიხარეს, გულით მომილოცეს მშვიდობით დაბრუნება.

გემი გაგრას რომ მიუახლოვდა, მე, ნიკომ და მალხაზმა მოვილაპარაკეთ — ვინ საით წავსულიყავით. მე ვთქვი, რომ გაგრაში დავრჩებოდი, რადგან იქ ნათესავები მყავდა. ნიკომ და მალხაზმა ოჩამჩირეში წასვლა გადაწყვიტეს. გემი გაგრას მიადგა და ფელუკებიც მოაყენეს. მე ჩემი ბარგით გემის ბაქანზე ვარ და ვხედავ — იქვე დგას ჩემი პროკურორი, ივან გეორგიევიჩ მალინოვსკი. არ მესიამოვნა მისი დანახვა და მომაგონდა ჩემი სიზმარი (ალექსანდროვკის კატორღაში გველი რომ მეზმანა). მცირე ხანს ვიყოყმანე და მერე გამოველაპარაკე, თავაზიანად ვკითხე:

— Иван Георгевич! Вы не помните меня?

მალინოვსკი თვალებში შემომაჩერდა და მიპასუხა:

— Не вспоминаю.

მე მოვაგონე, არ გახსოვთ ქუთაისის ციხეში გვანჯი ჩიქოვანი-მეთქი.

შეკრთა, შეიშმუშნა, მხიარული სახით ხელი მაგრად ჩამომათრვა და მითხრა:

— Какими судьбами, что случилось?..

მე, რა თქმა უნდა, იძულებული ვიყავი ყველაფერი სხვანაირად მეთქვა და სწრაფად ვუპასუხე — ვიბრძოდი იაპონიის ფრონტზე და სარდალ ლიხევიჩის წარდგენით მომეხსნა სასჯელი და დავბრუნდი-მეთქი. მან ამის გამო დიდი კმაყოფილება გამოხატა, მთხოვა მასთან შევსულიყავი კაიუტაში და გამშორდა. მე საჩქაროდ ჩავჯექი ნავში და გადმოვედი გაგრაში. მივადექი დედაჩემის ბიძის, ივანე ემხვარის ოჯახს.

ეს იყო 1905 წლის 17 დეკემბერს. ნათესავები გაკვირვებულნი მეხვეოდნენ და მკოცნიდნენ, გულში მიკრავდნენ. ჩემი ძმა ლევანი ჩვიდმეტი კილომეტრით იყო მოშორებული, იქ ხელად კაცი გაგზავნეს. მე ვეღარ მოვითმინე და თავადაც ძმის ოჯახისკენ გავეშურე. ძმის სახლში სტუმრად ყოფილიყო დედაჩემი. როცა მივედი, დედა, რძალი და ნათესავები, თეთრად გამოწყობილები, შემოვიდნენ. ძნელია იმ სიხარულის გადმოცემა და ენით აღწერა, რაც დედაჩემსა და ჩემს ნათესავებს ჩემმა დაბრუნებამ და დანახვამ განაცდევინა. მეხვეოდნენ და აღარ მშორდებოდნენ.

იქ ორ კვირას დავრჩი. დღედაღამ, განუწყვეტლივ მოდიოდნენ სტუმრები და გვილოცავდნენ. ჩემი ძმის ოჯახშივე ვნახე პედაგოგი კალისტრატე ალშიბაია, რომელმაც ჩემი დაპატიმრების დროს დიდი დახმარება და თანადგომა გამიწია. მას განსაკუთრებულად გაუხარდა ჩემი მოულოდნელი დაბრუნება. გრძელდებოდა გადაბმული ქეიფი და სროლა. აფხაზური წესის მიხედვით, თავიანთ ოჯახში მპატიჟებდნენ. უსაჩუქროდ არავინ მოსულა. მოჰყავდათ: კამეჩი, ძროხა, ხარი, ცხენი... მოჰქონდათ ნაირ-ნაირი იარაღი. დიდძალი საჩუქარი მივიღე და ყველაფერი ჩემი ძმის ოჯახში დავტოვე.

გაგრიდან წამოსვლამდე თავისი უნაგირიანად ვიყიდე საუცხოო სილამაზისა და ჯიშის ცხენი, სამას ოცდახუთი მანეთი გადავიხადე. თან გამოვიყოლე ორი კაცი — რურუა და ლემონჟავა — ძლიერ გაბედული ბიჭები — და წამოვედი ზუგდიდისკენ, რადგანაც გული მამაჩემისკენ მიმიწევდა. დედაჩემი გემით უნდა გამგზავრებულიყო გაგრიდან. მე ცხენით ვამჯობინე წამოსვლა, რაიმე ხიფათს რომ არ გადავყროდი. პირველ საღამოს მოვაღწიეთ გუდაუთამდე და იქ გავათენეთ. მეორე ღამეს ახალ ათონში ვიყავით. მესამე დღეს სოხუმში ჩამოვედით. ღამით რაღაც არასასიამოვნო სიზმარი ვნახე და ბიჭები გავაფრთხილე, ფხიზლად ყოფილიყვნენ. სოხუმს რომ გამოვცილდი, გადავწყვიტე მდინარე კელასურთან ცხენი გამებანა. ამ დროს მომადგა ორი იარაღიანი კაცი და მეუბნება — თქვენ უნდა ინახულოთ ჩვენი უფროსი, მისი ნებართვის გარეშე ვერ გაგიშვებთო. მიმითითეს ერთი პატარა სადგომისკენ. მივედი იქ და ვხედავ, ზის შეიარაღებული, ჩოხაში გამოწყობილი კაცი. იგი მომესალმა და ვინა ხარო, მკითხა. ჯერ ის მითხარით, თქვენ ვინ ბრძანდებით-მეთქი. ამაზე მიპასუხა — მე ვარ შარმან თურქია და ვებრძვი ქვეყნის ამრევებს, განსაკუთრებით, მეგრელ, იმერელ და გურიის ჩამოსულ ბუნტოვშჩიკებსო. შენც, ალბათ, ამ საქმეს ქადაგებ და იარაღი უნდა ჩაგვაბაროო. მე გულმოსულმა ვუთხარი — ესა და ეს კაცი ვარ (მოკლედ მოვუყევი ჩემი თავგადასავალი) და იარაღს არასდიდებით არ ჩაგაბარებთ-მეთქი. ჩემი ნათქვამი რომ მოისმინა, ამ კაცმა ქუდი მოიხადა, ბოდიშს ვიხდიო, მითხრა. მერე დაატანა — მიბრძანდით და თუ ისურვებთ, კაცსაც გაგაყოლებთ, რადგან შეიძლება ტატაშ მარშანიამ გაგაჩეროთო. მე ვუპასუხე, რომ არ მჭირდებოდა გამყოლი, ვინაიდან კარგი ბიჭები მახლავან და თუ ტატაში შემხვდება, პასუხს თავად გავცემ-მეთქი. განვაგრძე გზა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მეგრული (იბერიული) ენა ქართული ენის დიალექტი, თუ გლოტოგონიური ფენომენი?

(გაგრძელება 235-ე ნომრიდან)

ენობრივი განსხვავებულობის ზრდამ და ამ ფაქტის გარე მტრული ძალების მიერ თავიანთი ეგოისტურ-დამპყრობლური მიზნების მისაღწევად გამოყენებამ; მონათესავე ტომების, მაგრამ ენობრივი განსხვავებულობის ნიადაგზე წარმოშობილმა ბრძოლამ ჰეგემონობისათვის და ასეთი ბრძოლის გასამართლებლად თავიანთი **განსაკუთრებულობის** გაზვიადებულად წარმოჩენის სურვილებმა; „ისტორიული წყაროების", შეიძლება უნებლიე, მაგრამ არასწორმა აღქმამ; ან კიდევ, თავიანთი ტომის „პატრიოტ" წარმომადგენელთა მიერ მოძმე ტომის საკაცობრიო მნიშვნელობის მონაპოვართა მიჩქმალვისა და თავისად წარმოდგენის სურვილებმა; მოკლედ, ქართველი ერის ისტორიის მიზანმიმართულად გაყალბებამ იმდენად ურთულესი პრობლემის წინაშე დააყენა ქართველი ერი, რომ, ჭეშმარიტების შეუცნობლობამ და ეგოისტურმა მიზნებმა, შეიძლება, სრულიად მოკლე დროში ბოლო მოუღოს ქართველთა ერთიანობას და, საბოლოოდ, საქართველოს არსებობას.

რა თქმა უნდა, სიყალბეების ჭეშმარიტების რანგში დამკვიდრებისათვის თავგანწირული ბრძოლა გამოწვეულია, პირველ რიგში, ჭეშმარიტების უძლეველი ძალის შეუცნობლობითა და შედეგად ქართულ მეცნიერებაში გაბატონებულ აზრთა სხვადასხვაობით, მაგრამ, აშკარაა, ასევე, გაუთვალისწინებელი და გაუცნობიერებელია ტენდენციურობასა და სიყალბეებზე დაშენებული ქვეყნის დანგრევის გარდუვალობა. ამიტომ აუცილებლად უნდა გაირკვეს ჭეშმარიტება და დადგინდეს: ვის ერქვა **იბერი**. ცხადია, იგი თანამედროვე ქართულით გასაგები ტერმინი ნამდვილად არაა, მაგრამ საინტერესოა, რას ნიშნავს იგი იმ ენაზე, რა ენაზეც ეს ტერმინი ჩამოყალიბდა და რომელია ის ენა; ვინ არის **ქართი** და ვინ არის **მეგრელი**. არადა, განსაკუთრებით, დღეს მწვავედ დგას მეგრული ენის სტატუსის საკითხი. როგორც ქართული ენისა და ქართველი ერის „ქომაგნი" ფიქრობენ, მართლაც, მეგრული ენის დიალექტად საერთაშორისო აღიარების შემდეგ, გაბედნიერდება საქართველო, თუ, პირიქით, ბოლო მოეღება მას, ბოლოს და ბოლოს, მეგრული ენის დღემდე არსებობა ქართველი ერისათვის და, საერთოდ, კაცობრიობისათვის უბედურებაა, თუ, პირიქით, ბედნიერებაა, რამეთუ მის სიღრმეებში წვდომა თვალს აუხელს ტექნიკური პროგრესით გაამპარტავნებულ, სულიერად დაბრმავებულ და დენთის კასრზე მჯდარ მსოფლიოს.

მეც ტენდენციურობა, რომ არ გამომივიდეს და ობიექტურად იქნეს წარმოდგენილი რეალობა, სჯობია, მოვუხმოთ ავტორიტეტებს, რომელთა აზრიც ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ, ვფიქრობთ, საკითხისადმი ობიექტური მიდგომა, მეცნიერებაში გაბატონებული დოგმებისა და ჩარჩოების გარღვევა; ამასთან, ენისა და მეტყველების საიდუმლოებებში სიღრმისეული წვდომა, რომელზეც მოხსენებების განხილვა 1866 წლიდან აკრძალულია საერთაშორისო საენათმეცნიერო საზოგადოების მიერ და ეს აკრძალვა, სამეცნიერო წრეებში, დღემდე ძალაში რჩება, ნათელს მოჰფენს ბევრ საიდუმლოს, რომლის შემდეგ უფრო დაფასდებიან სიმართლის მთქმელნი და ისინიც, ვინც ამ სიმართლეს, ნებსით, თუ უნებლიერდ, ეწინააღმდეგებიან და გამოიწვიეს ჭეშმარიტების დადგენის ინტერესი.

ამა თუ იმ ერის ჭეშმარიტი ისტორიის დადგენაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ივანე ჯავახიშვილი ენათმეცნიერებას და წერს: „ნივთიერ ნაშთების შემდეგ ერის პირვანდელ ყოფაცხოვრებისა და მის თანდათან განვითარების შესახებ ყველაზე მეტ ცნობებს ადამიანის ენა და ის მეცნიერება გვაძლევს, რომელიც მას იკვლევს; იმიტომ, რომ ენას, რაც უნდა განვითარებული და წარმატებული იყოს იგი, ყოველთვის ის სიტყვები და ანდაზებიც ბლომად შერჩება ხოლმე, რომელიც ეროვნების ცხოვრების უძველესს, თავდაპირველ ხანას განეკუთვნება და მაშინდელ საზოგადოებრივ ვითარებასა და აზროვნებას გვიხატავს" (ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1908, გვ. 7).

„...ქართველებს ენათმეცნიერება სამ უმთავრეს შტოდ ჰყოფს: ერთ შტოს ქართლურად მოსაუბრენი შეადგენენ (ქართლელნი, კახელნი, ფშავ-ხევსურნი, მესხები, აწინდელი იმერლები და გურულები), მეორეს იბერიელნი ეკუთვნიან, ანუ მეგრელ-ჭან-ლაზები; ხოლო მესამეს სვანები" (იქვე, გვ. 18).

აი, კიდევ რას წერს სულმნათი ივანე ჯავახიშვილი: „... ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებულ ქართული მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველ ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინადაც მრავალ საუკუნეების განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურსა, ან სვანურ შტოს" (იქვე, გვ. 19).

იბერთა და ქართებს შორის ტომობრივი სხვაობის დადასტურებისათვის საინტერესოა ამონარიდები წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის სტატიიდან „როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?": **„ერთი ერის, თუნდაც ტომის, გაბატონება მეორეზე ნებაყოფილებით არ ხდება. გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, თითქოს მაგალითად დასავლეთ საქართველოში კოლხებმა თავისი ნებით დაუთმეს ლაზებს ჰეგემონია ან ლაზებმა შემდეგ აფხაზებს. ასეთი რამ ყოველთვის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ხდება. რა თქმა უნდა, ასეთსავე მოვლენას ექნებოდა ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში. როგორც ეტყობა, ქართებსა და იბერებს შორის წინათაც ყოფილა ცხარე ბრძოლა სახელმწიფოს მეთაურობისათვის და ერთხელ ქართები კიდევაც გამოყოფიან იბერებს და შეუქმნიათ სეპარატისტული სახელმწიფო არმაზში. ამ მოვლენის გამოძახილი დაცულია ჩვენს უძველეს ქრონიკაში, „ქართლის მოქცევა"-ში, ეს არის ეგრეთწოდებული „ორმეფობა" აღმოსავლეთ საქართველოში,...**

ცხადია, ქართებმა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მეთაურობა ვერ ჩაიგდეს ხელში, მაგრამ შესძლეს გამოყოფა იბერებისაგან და შექმნეს არმაზის სეპარატისტული სახელმწიფო, ხოლო ექვსი მეფის გამოცვლის შემდეგ იძულებულნი გახდნენ კვლავ დამორჩილებოდნენ მცხეთის იბერთა მეფეებს. ამ აზრს ვერ დაარღვევს ისტორია ლეონტი მროველისა, რომელსაც ქართლის მოქცევის ცნობა თავისებურად გადაუკეთებია და ისე წარმოუდგენია, თითქოს მეფე ადერკიმ განუყო შვილებს თავისი სამეფო „ვიდრე ადერკისამდე – ერთი დაჯდის ქართველთაგანი მეფედ, რაზომაცა [ადრე, კ.ფ.] მრავალნი იყვნიან შვილნი მეფეთანი და ამას ადერკის ესხნენ ორი ძე,...

მაშასადამე, ჰეგემონობისათვის ბრძოლა იბერთა და ქართლელთა შორის წინათაც ყოფილა, მაგრამ მეთაურობა აღმოსავლეთ საქართველოში ქართლელებმა მხოლოდ VI საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოდან ჩაიგდეს ხელში, სპარსელების ვერაგული პოლიტიკის დახმარებით და სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეწირვით" (ჟურნალი „მნათობი", 1948წ. №8; ჟ-ლი „აია", 2001, №9-10, გვ. 26).

საინტერესოა აგრეთვე ექვ. თაყაიშვილის შეხედულება, დაფიქსირებული იმავე სტატიაში: **„თუმცა ენის მხრივ ის (იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება", კ.ფ.) პირვანდელი სახით ჩვენამდის არ მოღწეულა (ტექსტში უსათუოდ ხანმეტი იყო და შემდეგ არის გადაქართულებული) წვრილმანი ნაკლულევანება თუ მიმატება შინაარსსაც ეხება, წარმოშობით ეს ძეგლი უსათუოდ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის და, მაშასადამე, ჩვენი თეზის თანახმად, იბერთა ხანას ჩვენი ისტორიისას" (ჟ-ლი „აია", 2001, №9-10, გვ. 22).**

საყურადღებოა აგრეთვე წმინდა ექვ. თაყაიშვილის იმავე სტატიიდან ამონარიდი: **„... ქართები, რა თქმა უნდა, ქვეშემრდომნი და მონაწილენი იყვნენ იბერთა სახელმწიფოსი, იბერთა ისტორიისა და კულტურისა. მათ ერთი და იგივე წარმართული სარწმუნოება ჰქონდათ, ერთად მიიღეს ქრისტიანობა, მაგრამ როდესაც, მეხუთე საუკუნის დასაწყისში, საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ ლიტერატურას, ეს ლიტერატურა აღმოცენდა გაბატონებულ იბერთა კილოკავზე. ხოლო როდესაც სახელმწიფოს სათავეში იბერების მაგიერ ქართები ანუ ქართლელები მოექცნენ, მათ იბერთა ლიტერატურა თანდათან გადმოაქართულეს და ქართლის კილო გახდა ქართველი ერის სალიტერატურო ენად" (ჟ-ლი „აია", 2001, №9-10, გვ. 19).**

უნიჭიერესმა მეცნიერმა, პროფ. იოსებ ყიფშიძემ ჭეშმარიტი მეცნიერისათვის ჩვეული კეთილსინდისიერებით დაწერა რუსულ ენაზე: Грамматика Мингрельскаго (Иверскаго) языка და ამით ხაზი გაუსვა სათაურშივე იბერიული ენის განსხვავებას ქართული ენისაგან.

ამდენად, ამ დიდი ავტორიტეტების შრომებიდან კარგად ჩანს, რომ **იბერია** და **ქართლი** ენობრივად იმდენად განსხვავებული იყვნენ ერთმანეთისაგან, რომ ქართების სახელმწიფოს სათავეში მოსვლისა და საერთო, სახელმწიფო და სალიტერატურო ენად ქართულის მიღების შემდეგ იბერთა ლიტერატურას თარგმნა დასჭირდა. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან XI-XII საუკუნის მიჯნაზე მოღვაწე იოანე პეტრიწის ენა ძველი ქართული ენის არასპეცალისტებისთვის 50% გაუგებარია და მის შრომას თარგმნა დასჭირდა (თარგმნა პროფ. დამანა მელიქიშვილმა).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართული წყაროები ერთი სიტყვითაც არ ახსენებენ იბერებს და იბერიას. ყველგან იბერებისა და იბერიის ადგილზე ქართველები და საქართველოა მოხსენიებული საზღვარგარეთშიც კი. მაგალითად, პირინეის იბერებისა და აპენინის კელტ-იბერების ნაცვლად ქართულ წყაროებში პირინეის ქართველები და კელტ-ქართველებია მოხსენიებული. ამ ფაქტთან დაკავშირებით თავის დროზე ყურადღება გაამახვილეს ექვთიმე თაყაიშვილმა, შოთა ძიძიგურმა და სხვებმა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მსჯელობა იბერიულ-ქართული ენობრივი ფენომენის შესახებ: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის ცნობილია, რომ უძველეს დროს არსებობდა ქართველ ტომთაშორისი საერთო ენა – ფუძე ენა – პროენა. ქართებს, მეგრელ-ჭანებს და სვანებს ერთ დროს ჰქონიათ საერთო ფუძე ენა, რომელიც შემდეგში დაიყო" (იხ. ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი I, გვ. 58). მეუფე ანანია მიიჩნევს, რომ ენობრივი დაშლის პროცესი დაიწყო II ათასწლეულის დასაწყისისათვის და არა სხვაგან, არამედ კავკასიაში.

ერთ დროს, დღეს ქართველურად წოდებულ ტომებს, რომ ჰქონდათ საერთო ენა სადავო აღარ არის. არც ის უნდა იყოს სადავო, როგორც მეუფე ანანიას და სხვა მეცნიერთ მიაჩნიათ, მეგრელ-ჭანებისა და ქართების ენობრივი სხვაობა ძვ.წ.აღ. VI-IV სს. მხოლოდ კილოკავურ-დიალექტურ დონეზე განისაზღვრებოდა. მაგრამ ძნელი დასადგენია, როდის დაიწყო ამ პროენის დაშლის პროცესი. მართალია, არ ვიცით როდის დაიწყო დიფერენციაცია-დივერგენცია საერთო ენამ, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ეს პროცესი დაიწყო იმ ხანად, როცა თანხმოვნურ მეტყველებაში ხმოვანმა ბგერებმა იწყეს დამკვიდრება და სხვადასხვა კუთხეებში სხვადასხვა ხმოვნებით იწყეს არქაული ფორმის წინადადებათა გახმოვანება. ამას მოწმობს მეგრულ-ქართული ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

როგორც ბევრი სხვა მეცნიერი, მეუფე ანანიაც ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას ფარნავაზ მეფეს მიაწერს და ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა"-ს ეყრდნობა: „ცნობილია („ქართლის ცხოვრება" და შემდეგდროინდელი ისტორიკოსები ამას ხაზგასმით აღნიშნავენ), რომ ქართული ენა ფარნავაზ მეფემ გამოაცხადა სახელმწიფო ენად. მას ეს ღონისძიება მკაცრად გაუტარებია – ქართლის სამეფოში სხვა ენა ქართული ენის გარდა ოფიციალურად არ იხმარებოდა. ამ დროს სხვაობა ქართებისა და ეგრისელების მეტყველებაში თითქმის არ არსებობდა ან დიალექტურ დონეზე იყო. ასე რომ, ქართული ენა ეგრისელებისათვის მშობლიური ენა იყო (ე.ი. მეგრული ენა, მეუფე ანანიას აზრით, ქართულის გვიან წარმოშობილი დიალექტია, კ.ფ.). ქართული ენა იყო კულტის მსახურების, ქვეყნის კულტურული ფენების, არისტოკრატიის, სახელმწიფო მოხელეების, ზედა ფენის ენა, ე.ი. სალიტერატურო ენა, მაგრამ როგორც სხვა ისტორიკოსები, გარდა ივანე ჯავახიშვილისა, მეუფე ანანიაც ბრმად ენდობა ლეონტი მროველის ამ ცნობას და არავითარი ეჭვი არ უჩნდება მის ჭეშმარიტებაში. ხოლო ლეონტი მროველის ეს ცნობა უფრო დათვური სამსახურია ქართველი ერის მიმართ, მაშინ როცა წერს: „... განუყო თარგამოს ქვეყანა და ნათესავი თჳსი რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისა და ნახევარი და უმჯობესი [მიწები, კ.ფ.] ქუეყანისა მისისა მისცა ჰაოსს [სომეხთა ეთნარქს, კ.ფ.], ხოლო შჳდთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგებისაებრ მათისა..." (იხ. „ქართლის ცხოვრება", ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტომი I, 1955, გვ. 4) და კიდევ: „აქამომდის (იგულისხმება ძვ.წ.აღ. მე-6 საუკუნე კ.ფ.) ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური. და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული.

და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა. რამეთუ ცოლქმრობისათჳს არა უჩნდათ ნათესაობა და ყოველსა სულიერსა სჭამდეს: საფლავი არა იყო, მკუდარსა შესჭამდეს" (იქვე გვ. 16) (რა საჭირო იყო საფლავი, როცა ერთმანეთისაგან მოკვდინებულ მკვდრებს ძვალრბილიანად ჭამდნენ თურმე, კ.ფ.). რამდენი დამცირება და ცინიზმია ლეონტი მროველის ამ ცნობაში, მაგრამ ქართლელებმა ეს სიცრუე და ცინიზმი სიამოვნებით შეიწყნარეს, რადგან მან ქართლელების „სასარგებლოდ" ისეთი სასიამოვნო რამ დაარეხვა, რომ მანამდე წარმოუდგენელი ნეტარება იგრძნეს. და რატომ? ამაზე ქვემოთ.

დავუბრუნდეთ მეუფე ანანია ჯაფარიძის ნაშრომს, სადაც მოჰყავს გიორგი მცირეს სიტყვები: „ეგრეთვე დაღაცათუ პირველითგანვე გუქონდეს წერილნიცა და სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი, გარნა... შორის ჩუენსა დათუსულ იყვნეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძილნი და მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გუევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკო, ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, რეცა ცოუნებად გუაზმნობდეს და რომელნიმე წიგნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნილი" და კომენტარს უკეთებს: თარგმნილ ან რედაქტირებულ „რომელიმე წიგნნში" ჩანს, ქართული მატიანეებიც შედიოდა". შემდეგ ვკითხულობთ:

„თანამედროვე გამოჩენილი ისტორიკოსი გ. მელიქიშვილი ამჩნევს „ქართლის ცხოვრებაში" მოციქულთა ეპოქის შესაბამისი ამბების აღწერისას არმენოფილურ გავლენას, კერძოდ, წერს: აშკარაა, რომ „ქართლის ცხოვრების" მონათხრობს ამ ლაშქრობის შესახებ სომხური ტრადიცია უდევს საფუძვლად. ამაზე მიუთითებს აშკარა არმენოფილური ტენდენცია, რომელიც მონათხრობს წითელ ხოლად გასდევს".

სრულიად მართალნი ჩანან გიორგი მცირე და სხვა ძველი ქართველნი მოღვაწენი, როცა წერენ ქართული წიგნების არმენოფილური რედაქტირების შესახებ" (იხ. ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორის, ტომი I, გვ. 32-33). როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში" არმენიფილურ გავლენას, თითქმის, ყველა ქართველი ავტორი ამჩნევს, მაგრამ რაკი მე-11 საუკუნის დასაწყისში, პირველად ქართველი ერის ისტორიაში, საერთო სახელმწიფო ენად გამოცხადებულ ქართულ ენას ფარნავაზის დროიდან დაუდო სახელმწიფო ენის სტატუსი და ამით „შესაძლებელი გახადა იბერიის არსებობისთვის ხაზი გადაესვა", ბევრი ქართველი ავტორი გიორგი მთაწმინდელიდან დაწყებული ამ ყველაფერს პატიობს, არაფრათ აგდებს ქართველ მეცნიერ-ავტორიტეტთა აზრს და ცდილობს იბერიული კვალის წაშლას, ამიტომ ყველგან იბერებისა და იბერიის ნაცვლად ქართველსა და საქართველოს მოიხსენიებენ, ხოლო ზოგიერთი, მაგ. ალ. აბდალაძე, არმენოფილურ ტენდენციას ამჩნევს, მაგრამ ცდილობს გამართლებაც მოუძებნოს მას; არმენოფილურ გავლენას ა. ჯაფარიძეც ამჩნევს, მაგრამ აბდალაძეს და სხვებს არც ის ჩამორჩება და მისი მთავარი დასაყრდენი წყარო ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაა", მიუხედავად იმისა, შეუძლებელია არ იცოდნენ რა ნაღმი დევს ამ დათვურ სამსახურში, რის საფუძველზეა შედგენილი „დიდი არმენიის" რუქა, რა მიზნითაა გადატანილი პარლამენტი ქუთაისში და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას.

კუკური ფიფია,
აკადემიკოსი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გოშაძე-გოშუა-გოშუანთა სახელოვანი საგვარეულოს ისტორია

„წმინდაო გიორგი, დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას და სული
მხნედ არი!
შემუსრე უწმინდურ დრაკონთა
ორგია,
იხსენი სამკვიდრო შენი – გეორგია.
დიდების უფალი მართალთა მწედ
არი.
წმინდაო რაინდო, გველი არ დაინდო.
მოგვმადლე იმედი და უფლის
სვე-დარი“.
ზვიად გამსახურდია

ისტორიული მოვლენის არევ-დარევა, მიჩქმალვა თუ წინა პლანზე წამოწევა, მატიანე-ფოლიანტების შემონახვა თუ უგზოუკვლოდ გაქრობა, პირველ წყაროთა პირუთვნელი შესწავლა-შეფასება თუ ქებათა-ქება. – დიახ, ძვირფასო მკითხველო, ასეთი ვიცი მე ჩვენი სამშობლოს ისტორია – ერთმა ჩვეულებრივმა მკვლევარმა, თქვენმა მონა-მორჩილმა **ᲪᲘᲐᲚᲐ ᲒᲝᲨᲣᲐ-ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐᲛ.**

საქართველოს სახელმწიფო არქივში შემონახულია ჩემი დიდი წინაპრის – კეთილმოწესე-დეკანოზ თომა გოშუას ავტოგრაფები საეკლესიო წიგნებში – მთელი 45 წლის განმავლობაში (1848-1893). შემდგომ მას ენაცვლება შვილი – პეტრე გოშუა, აგრეთვე კეთილმოწესე-დეკანოზი.

მოგეხსენებათ, რომ დეკანოზობა საეკლესიო იერარქიის ერთი მნიშვნელოვანი წოდებაა, ხოლო კეთილმოწესე, ანუ, როგორც რუსული მმართველობის ხანაში იტყოდნენ, **„ბლაღოჩინ-დეკანოზი“** იმ პერიოდის რუსული საეკლესიო მმართველობის დიდი თანამდებობა გახლდათ.

შემონახულია წერილობითი და ზეპირი გადმოცემები იმის შესახებ, რომ მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა და დევნისა, დეკანოზი პეტრე გოშუა ახერხებდა მთელი ზუგდიდის მაზრის ეკლესიათა შემოვლას, რათა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე შესრულებულიყო. საეკლესიო წიგნები გვიჩვენებენ მამა აკაკი გოშუას ხელმოწერებსაც ნათლობასა და ქორწინებაზე. მამა აკაკი იყო დეკანოზ პეტრე გოშუას ხორციელი და სულიერი შვილი. მას მეხივით დაატყდა თავს კომუნისტურ-ათეისტური იდეოლოგია, ყველაზე მთავარსა და ძვირფასს – სულიერებას რომ ემუქრებოდა. მამა აკაკი იყო ჩვენი სათნო და საყვარელი ბაბუა, რომლის სულიერი მრწამსისათვის დაისაჯა ჩვენი ოჯახი.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ოდიშის თავადთა ჩამონათვალში გოშაძე რიგით მესამეა – „ხოლო ოდიშს დადიანი და თავადი თავთ სად მფლობელი ოდიშისა შემდგომად გაყრილებისა. არამედ აწ არს ჩიქოვანი, რომელმან მოწყვდნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი, და მცირე აზნაურობისაგან იქმნა დადიანად აღწერილებისაებრ. არამედ კუალადცა არიან მთავარნი ესენი: გოშაძე, ფაღავა, ჯაიანი, ჩიჩუა და სხუანიცა, და აზნაურნიცა მრავალნი“.

საქართველოში ცნობილი და დაწინაურებული ფეოდალური საგვარეულოს გოშაძე-გოშუა-გოშუანთა წინაპარს სახელად გოშა რქმევია და იგი საფუძველი გამხდარა გვარისა, რომელიც საისტორიო წყაროებში წარმოდგენილია ფორმით: გოშაძე-გოშუანი-გოშოძე-გოშუა.

ქართულ-მეგრული გვარის გოშაძე-გოშუა – ფუძეა გოშ. ამ ფუძის მიხედვით ქართველებს ჰქონდათ მამაკაცის საკუთარი სახელი. სახელი „გოშა“ მსგავსი სახელია დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული მამაკაცის სახელებისა: გოჩა, ხვიჩა, უჩა... თუ გავითვალისწინებთ საქართველოში გვარის აღმნიშვნელი ფორმების დამკვიდრების ტრადიციას – წარმომავლობის მისანიშნებლად მამაკაცს მამის სახელით მოიხსენიებენ ძე ნაწილაკის დართვით: გოშა, გოშას ძე და აქედან – გოშაძე, უჩა, უჩას ძე, ანუ – უჩაძე და ა.შ.

ფუძე ამ გვარისა მსოფლიოს სულ სხვადასხვა მხარეშია გაბნეული: ინდოეთში – **„გოშაკ“** [ფუძე **„გოშ“**], საფრანგეთში – **„გოშე“, „გოშ“ [ფუძე „გოშ“]**, ჰოლანდიაში – „გოშკე“ [ფუძე „გოშ“]. მეზღვაური გოშკე პეტრე პირველისა და ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის მასწავლებელი ყოფილა. რუსეთში ვხვდებით გვარებს **„გოშევ“** და **„გოშკევიჩს“** [ფუძე **„გოშ“**], საქართველოში როგორც ითქვა **„გოშუა“, „გოშაძე“, „გოშხეთელიანი“**. ბატონი თენგიზ გოშაძე სტატიაში **„გოშაძეები“** კითხულობს: **„ნუთუ შესაძლებელია ამდენი დამთხვევა?“**

სხვადასხვა უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით ვახუშტი ბატონიშვილს გოშაძე-გოშუათა გვარი შეტანილი აქვს ოდიშის მთავართა შორის და მიუთითებს, რომ „უწარჩინებულესი და შემძლებელი გვარი იყოო“.

გვარისა და გვარიშვილობის ისტორიას მოგვითხრობს ბატონი ზაურ გოშაძე – გოშაძე-გოშუა-გოშუანთა კავშირის თავმჯდომარე: **„ჩვენი ბაბუა ლადი კაციას ძე გოშაძე (დაბ. 1865), ოდიშიდან რაჭაში ამოსულთა მეოთხე თაობის (გლახუნა, იოსები, კაცია) წარმომადგენელი, გადმოცემის თანახმად უზადო ნიჭით გამორჩეული პიროვნება ყოფილა. ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-ან წლებში, როცა გვარების წარმომავლობას ყურადღება არ ექცეოდა (ზოგიერთებში კი დიმილსაც იწვევდა), მოგიზგიზე ბუხართან ჩამოჯდებოდა საკარცხულზე და ამაყად დაიწყებდა მოყოლას, რომ ჩვენი გვარი ონის რაიონის სოფელ კვაშხიეთში დასავლეთიდან ჩიქოვან-დადიანებთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოსული, ოდიშის თავადების შთამომავლები ვართო. ამ აზრის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენი გვარი კომპაქტურად სოფლის ერთადერთ წყაროსთან იყო დასახლებული. არაჩვეულებრივ ბუნებაში; საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჩვენს გვარს ამბროლაურის რაიონის სოფელ წესში ჰქონდა მამულები და ვენახები. ჩვენი დიდი ბაბუა ასევე ამაყად იხსენებდა საგვარეულო დღესასწაულს – „ზედვაკობას“. ეს დღესასწაული ბრწყინვალე აღდგომიდან 49-ე დღეს იმართებოდა და მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ...“**

სხვადასხვა უტყუარი მასალის მიხედვით, თენგიზ გოშაძე წერს: **„გოშუათა გვარი ჩანს ოდიშში, საიდანაც დადიანებთან უკმაყოფილების გამო მიდიან რაჭაში, გურიაში, იმერეთში”.**

თენგიზ გოშაძე წერს: **„ქართველ გოშაძეთა წინაპარი გიორგი IV დაუსახლებია ოდიშს და იქ შექმნილა გოშაძეთა სათავადო. აქედან მოყოლებული, ეს დიდი გავლენის მქონე გვარი ძალზე აქტიურად მონაწილეობდა ქართული სამეფო კარის ცხოვრებაში XVI საუკუნის ბოლომდე. ეს კი ის დროა, როცა ოდიშს განდიდდნენ თაფლით მოვაჭრენი, აზნაური ლიპარტიები. და განდიდდნენ ისე, რომ აზნაურის მდგომარეობით აღარ კმაყოფილდებიან“.**

„გოშაძე“ მეგრული გოშუას ქართული შესატყვისია, ანუ ერთი და იგივე გვარსახელია, ოდესღაც ფრიად დაწინაურებული, – იყვნენ მთავრები, თავადები, ბევრ სხვა გვართან ერთად არსებობდა გოშუა-გოშაძეთა სათავადო [იხ. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გ. 285, რ. თოფჩიშვილი, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბ., 2011, გ. 94-95].

თავად-აზნაურთა გვარების **„აღწერაში“** კი გოშაძეთა შესახებ ნათქვამია: **„გოშა იყო წელსა 1213 (სა) ქართლიდან წავიდნენ ოდიშში. მეფემან იქ უბოძა მამული და მიიღო თავადვე გოშადვე... ამის ძეთა ეწოდათ გოშაძეები... და მუნიდგან იწოდებიან გოშაძეებად“. ავაგ გოშოიძე მოიხსენიება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპში, ომელიც შედგენილია 1250-იან წლებში [იხ. პ. ინგოროყვა, ტ. I, გ. 725]. მთავარ საადაპე წიგნში, ჩაწერილია გიორგი დადიანის აღაპი, აგრეთვე, აღაპები: გოშოისძე ავაგისა [გ. 31]. გოშოისძის ცოლისა მამქადნისა [გ. 735]. 1250-1274 წლებს შუა აღაპი განწესებულია შემდეგ პირთათვის: 52. საღირ გოშოიძის, 53. ივანე გოშოისძის, 123-127. გოშოისძენი მიცვალებულნი: ზვიადი, ივანე, კეჭე, ბეშქენ და სარგის“** [იქვე, გ. 754].

„სვანეთის კრების მატიანეში“ [XIII ს. II ნახევარი] მოხსენიებულია **„ი. ე. გოშოიძე“**. ო. სოსელიას აზრით, **“შეიძლება ეს იგივე გოშოძე იყოს, მაგრამ რა კავშირშია იგი ოდიშის გოშაძესთან, ძნელი სათქმელია“.**

გოშაძე-გოშუა-გოშუანთა საგვარეულოს გავრცელება-განფენილობის საკითხს მრავალი ავტორი ეხმიანება.

ზემოხსენებული საგვარეულო კავშირის წევრი ზაზა გოშუანი წერს: **„გოშუანები წინათ ჩრდილოეთ კავკასიაში ყაბარდო-ბალყარეთის სოფელ გაგიშში ცხოვრობდნენ. ამ სოფლის მახვშები (მთავრები) იყვნენ და გოშუანები თავად მართავდნენ ყველაფერს. გვარი საკმაოდ მდიდარი და შემძლებული ყოფილა“.**

მათ ჯიბრში ჩაუდგნენ ჩრდილოელი მუსულმანები, მრავალჯერ შემოუთვალეს **„მიიღეთ მუსულმანობა და მოგეშვებითო“.** გოშუანებს მთავარანგელოზების, მაცხოვრისა და ჯგრაგის უარყოფას და ერთიანად ამოწყვეტას გაცლა ამჯობინეს.

ასე მოხვდა რამდენიმე გვარი და სამი ძმის ოჯახი (ბაბდი ორი ვაჟიშვილით, ნაკანი ხუთი ვაჟიშვილით და დიდვილი რვა ვაჟიშვილით) სვანეთში – სოფელ ღეშდერში. სოფელ ღეშდერში მათ მყარად გაიდგეს ფესვები და გამრავლდა სვანეთში გოშუანების გვარი.

სოფელი ღეშდერი გაშენებულია მთა ცალგამულის კალთების ტაფოზე, რომელსაც კაეშს ეძახიან. სვიფში (საფიხვანო) მეშხულის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია დგას და არის ღეშდერელების თავშეყრის ადგილი. ეს ეკლესია მთლიანად ბალს – ქვემო სვანეთს გადმოჰყურებს. ის აშენდა XI-XII საუკუნეებში, და აგებულია შირიმის ქვით, რომელიც მოიპოვება ექვსშვიდი კილომეტრით დაბლა, სოფელ ლახამულაში, თან მანძილი ციცაბოა, გადმოცემის მიხედვით, ეკლესია აშენებულია ერთ დღეში. თურმე ხალხი ჩამწკრივდა დადმართზე და ხელიდან ხელში გადასცემდნენ შირიმის ქვას. ამბობენ, საღამოს ეკლესია უკვე დამთავრებული ყოფილა, მაგრამ იმხელა ჯაფა გაუწევიათ, რომ საღამოს ორი ადამიანი მომკვდარა – ვინც იხრებოდა ქვის ასაღებად და ვინც იხრებოდა დასადგამად.

აი, უკვე ათი საუკუნეა, ზემოდან გადმოსცქერის ეს ეკლესია სოფელ ღეშდერს და სვანეთს.

ისტორიული გადმოცემით, გოშაძეები, [გოშუები] ძლიერი თავადები იყვნენ ჯერ კიდევ ჩიქვანთა გადადიანებამდე.

ვარაუდობენ, რომ გოშუა-გოშაძეთა სათავადო XV საუკუნეში ჩამოყალიბდა. გოშუებს ეკუთნოდათ ვრცელი მიწა-წყალი მდინარე ხობისა და ჭანისწყლის აუზში. ამ საგვარეულოს მფლობელობაში იყო სამი სოფელი: სარაქონი, კირცხი და გაშიფერდი. აგრეთვე მდინარე ხობის პირად მდებარე ფრიად ნაყოფიერი მამული **„ლეტეში“,** რომელიც სამხრეთის მიმართულებით სადადიანო სოფელ ხიბულამდე აღწევდა. როდესაც სამეგრელოს სამთავროში არსებულ სათავადოებზეა საუბარი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ **„დადიანი“** ტიტულია სამეგრელოს მთავრისა.

სამეგრელოში იყო რამდენიმე დინასტია. **„XVII საუკუნეში მთავრობდა ბედიას დინასტია, იმის შემდეგ გოშუა გახდა მთავრად, გოშუას მერე ლიპარტიანი გამთავრდა, მერე ჭილაძე და ბოლოს ჩიქოვანი.**

წარსულს საუკუნეში ჩიქოვანთა გვარის პირველი მთავარი კაცია ჩიქოვანი იყო დადიანად. ყველა ამ გვარს, როცა მთავრებად იყვნენ, დადიანის ტიტული ჰქონდათ“ [იხ. კორნელი ბოროზდინი, **„სამეგრელო და სვანეთი”** 1854-1861“, გამოცემულია თბილისში 1934 და 2004 წელს], თუმცა ისტორიოგრაფიაში ამ აზრს ყველა მკვლევარი არ იზიარებს.

1904 წლის აღწერით, აზნაურ გოშუების 11 საკომლო მკვიდრობდა სოფელ კირცხში (ჩხოროწყუს რაიონი). XIX საუკუნეში გოშუების გვარში უთუთი გოშუას შემდეგ გამოჩენილი ყოფილა ლევან დიმიტრის ძე გოშუა, რომელსაც თავადებთან ერთად პატივი ხვდა წილად, 1888 წელს ქუთაისში, იმპერატორ ალექსანდრე III-ის საპატივცემულოდ გამართულ საღამოზე მიწვეულ პირთა შორის ყოფილიყო.

გოშუების სათავადოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ხობი საზღვრავდა. ეს მდინარე ჰყოფდა მას სადადიანო სოფელ ოჩხომურისაგან. დასავლეთით ჭანისწყალი ჰყოფდა სამთავრო სოფელ ჭაქვინჯისაგან, სამხრეთითაა სადადიანო სოფელი ხიბულა, ჩრდილოეთით – ლეწურწუმე და კვლავ სადადიანო სოფელი ჯაღრა. ამგვარად, გოშუების სამფლობელო ყოველმხრივ სადადიანო სოფლებით იყო გარშემორტყმული. გოშუების აზნაურები იყვნენ ჯიჯიხიები.

გოშუებს სასახლე სოფელ კირცხში ჰქონდათ. ამ სოფლის ცენტრში, მაღალ გორაზე, რომელსაც **„უთუთის ფერდს“** ეძახიან, იყო გოშუათა საგვარეულო ციხესიმაგრე. ფერდობის ძირს, ვაკეზე – სასახლე და კარის ეკლესია. ადგილობრივ მოსახლეობაში დარჩენილი გადმოცემის მიხედვით, უთუთი იყო გოშუათა [გოშაძეთა] მამამთავარი, რომელმაც ააშენა ეს ციხესიმაგრე და ფლობდა ზემოაღნიშნულ ტერიტორიას. ამ გადმოცემის სისწორეს ადასტურებს ტოპონიმიკური მონაცემები: **„უთუთიში ფერდი“ [„უთუთის ფერდი“], რომელიც ამ ფერდის ოდესღაც უთუთისადმი კუთვნი ლების უტყუარი მოწმობაა. ხოლო უთუთი რომ გოშუათა საგვარეულოს სახელი იყო, ეს კარგად ჩანს გვიანდელი ხანის დოკუმენტური მასალიდან“** [მხედველობაშია ერმალოზ ალექსის ძე გოშუას საგვარეულო საბუთები, რომლებშიც იხსენიება უთუთი გოშუა].

XVII საუკუნიდან კვლავ ჩანან გოშუები ისტორიის სარბიელზე. 1611 წელს ფარუხია გოშუა მანუჩარ დადიანის ამალაში ჩანს. **„ზუგდიდს ნადირობასა, ცხენის რბევასა შიგან შეიძგერნენ ბატონი [მანუჩარი] და გოშუა ფარუხია, დადიანის ცხენი წაიქცა და მანუჩარი „ამიერ სოფლით მიიცვალა“. [იხ. არქანჯელო ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, გ. 15]. ფარუხიას თანამედროვეა მისი სახლიკაცი თოდორუხუ გოშუა, რომელიც გიორგი ლიპარტიანთან და სხვებთან ერთად მოწმედ ისხსენიება 1611-1657 წლების „ფიცის წიგნში“.**

XVII საუკუნეში გოშუები [გოშაძეები] ძლიერი თავადები რომ იყვნენ, ამას მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ გურიის მთავარი, ქაიხოსრო პირველი, გოშაძის ასულ ხვარამზესთან არის დაქორწინებული. გურიელი, ცხადია, თავადთა საგვარეულოს დაუმოყვრდებოდა. გოშაძეების ძლიერებას, ისე როგორც ჭილაძე-ქორთოძე-ჯაიანებისას, ბოლო მოუღეს ჩიქვანდადიანებმა. ძირძველი თავადი გოშაძეები [გოშუები] აზნაურთა წრიდან გამოსულ, ახალ დაწინაურე ბულ ჩიქვანთა დადიანობას ვერ ურიგდებოდნენ. ჩიქვან-დადიანები მათ დამორჩილებას და ადგილ-მამულის მიტაცებას ცდილობდნენ. ამ ნიადაგზე მათ შორის დიდ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი. ეს დაპირისპირება XVII საუკუნის II ნახევარში დაიწყო და მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდა. გოშაძეთა თავკაცები ამ ბრძოლაში ამოწყდნენ. სხვებს კიდევ ჩიქვან-დადიანებმა **„აზნაურები და მიწა-წყალი წაართვეს“** და ასე დაიკავეს გოშუათა საგვარეულო ყმა-მამული [ბ. ჯაიანი, ძველი ამბები... გ. 31-32].

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, გოშაძე-გოშუები **„უწარჩინებულესი და შემძლებელი გვარია“** [XVIII საუკუნის I ნახევარი], XIX საუკუნის პირველ მეოთხედში კი, ნიკო დადიანის ცნობით, ეს საგვარეულო უკვე **„დამდაბლებული“** ჩანს.

XIX საუკუნის II ნახევარში გოშუებსა და ნიკო დადიან-მინგრელსკის შორის დიდი დავა ყოფილა ადგილ ლეტეშის გამო. ბოლოს ეს მამულიც დადიან-მინგრელსკის ხელში გადავიდა [იხ. ო. სოსელია. დასახ. ნაშრ. გ. 285-288].

სხვა წყაროებში მოიხსენიებიან: გოშაძეები – დავითი და ლომინა. მათმა შვილებმა გელათის მონასტერს შესწირეს სოფელი კვაშხეთი. გოშაძეების მამულების გარდა [XVII ს-ის II ნახ. შდრ. 2880 – ხიზანა, გოგიტა, თაზიკა, ჟოჟუა, თაზიკა II, გოშაძეები[პირთა ანოტირ. ლექსიკონი, 713].

XVIII საუკუნის შუა წლებიდან გოშუა-გოშაძეებმა, როგორც ირკვევა, თავადის ღირსებაც დაკარგეს და აზნაურებად ჩამოქვეითდნენ. გოშუებს ეკუთვნოდა სოფლები: კირცხი, სარაქონი და გაშიფერდი. ამ სოფლის ნაეკლესიარ ადგილზე დაკრძალული არიან კეთილმოწესე-დეკანოზი თომა უთუთის ძე გოშუა (1827-1893), ასევე კეთილმოწესე-დეკანოზი პეტრე თომას ძე გოშუა (1854-1922) და მისი შვილი მღვდელი აკაკი პეტრეს ძე გოშუა (1885-1962).

ᲪᲘᲐᲚᲐ ᲒᲝᲨᲣᲐ
ნაწყვეტები წიგნიდან
“ᲒᲕᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ”
(გაგრძელება იქნება)

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ზვიად სიჭინავა: დგება დრო, როცა უნდა წახვიდე

რაც ქართულ ფეხბურთში ხდება, ყველაფერზე პასუხისმგებელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ვერ იქნება, თუმცა დიდი წილი პასუხისმგებლობისა ამ ორგანიზაციას ეკისრება.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა ჩვენთან ძალიან პრესტიჟულ თანამდებობად ითვლება, იმდენად პრესტიჟულად, რომ ბოლო წლებში ყველაფერი ხელისუფლების ხელდასმით ხდებოდა.

ზვიად სიჭინავა რომ უნარიანი და მუყაითი კადრია, ადრეც გვითქვამს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მისმა ოპონენტებმა ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნების თემა წამოწიეს, თუმცა რიგგარეშე არჩევნები არ გამართულა, საფეხბურთო მილეთმა ამ აზრს მხარი არ დაუჭირა და სიჭინავაც აგრძელებს პრეზიდენტობას...

ჩვენს კითხვებს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა პასუხობს...

– ფეხბურთის ფედერაციის მუშაობა რამდენიმე ფაქტორით უნდა შეფასდეს, თუმცა ჩვენთან ფედერაციის საქმიანობას უფრო ეროვნული ნაკრების შედეგებით განსაზღვრავენ. რას გვეტყოდით ამასთან დაკავშირებით?

– არ უარვყოფ იმას, რომ ფედერაციის მუშაობა ეროვნული ნაკრების შედეგითაც უნდა ფასდებოდეს, ოღონდ, ეს ეხება იმ ფედერაციებს, რომლებიც ფუნქციონირებენ დალაგებულ სიტუაციაში, სადაც არის ძლიერი და სტაბილური კლუბები, სადაც არის სხვა ფინანსური მდგომარეობა. ერთი სიტყვით, როგორი დონეც არის ქვეყანაში, ფეხბურთიც ისეთივეა.

– ანუ ჩვენ იმას უნდა ველოდოთ, საქართველო როდის გახდება ძლიერი და კარგად დალაგებულ-დავარცხნილი ქვეყანა, რომ მერე ნაკრებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს?

– რა თქმა უნდა. ფაქტია, რომ გერმანიას და ინგლისს სხვებზე უკეთესი ჩემპიონატი აქვთ და ეს პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ქვეყნებში არსებულ სიტუაციასთან. ძალიან მნიშვნელოვანია სტაბილურობა. სადაც არის რყევები, იქ ყოველთვის ჩნდება პრობლემები ფეხბურთშიც.

მნიშვნელოვანია დაფინანსების საკითხიც. ყაზახეთში ფეხბურთისთვის წელიწადში ერთი მილიარდი იხარჯება, რუმინეთში უმაღლესი ლიგის ყველა კლუბს ერთ მილიონს აძლევენ, ჩვენთან კი, ნახეთ რა ხდება – უმაღლესი ლიგის ზოგი კლუბის ბიუჯეტი 200-350 ათასი ლარია.

– თქვენი არგუმენტები და ფაქტები მართლაც საყურადღებოა, მაგრამ თუ ასეთი რთული ვითარებაა, სჭირდება კი საქართველოს ნაკრებს ძვირადღირებული მწვრთნელი? კლაუს ტოპმიოლერი და ექტორ კუპერი საქართველოს ნაკრებს მაშინ წვრთნიდნენ, როცა ფეხბურთის ფედერაციას სხვა ხელმძღვანელი ჰყავდა, ეროვნული გუნდის მორიგი ძვირადღირებული მწვრთნელი თემურ ქეცბაია კი თქვენი პრეზიდენტობის დროს დაინიშნა ამ თანამდებობაზე...

– რაც შეეხება ქეცბაიას, მასთან თანამშრომლობის სურვილი გვქონდა, პირობები კი სპორტის მინისტრთან შეხვედრაზე გადაწყდა. ქეცბაია დაიბარეს სპორტის წინა მინისტრთან და უთხრეს – მოგცემთ ამდენ ხელფასს და გუნდი უნდა ჩაიბაროო.

– რა ამოცანები, რა პრიორიტეტები იყო განსაზღვრული?

– პრიორიტეტები განსაზღვრული არ ყოფილა. მოლაპარაკებას მეც ვესწრებოდი, თუმცა კონტრაქტის ფინანსურ პირობებზე მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიმიღია.

– ...და ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის ფედერაციასთან სპორტის სამინისტროს კონსულტაციები არ ჰქონია?

– არა, და მიმაჩნია, რომ არც უნდა ჰქონოდა, რადგან კონტრაქტის ფინანსური დეტალების განხილვაში ფედერაცია არ მონაწილეობდა.

– რატომ? ნაკრების მწვრთნელ ქეცბაიას კონტრაქტი ფეხბურთის ფედერაციასთან არ აქვს გაფორმებული?

– რა თქმა უნდა, კონტრაქტი ფედერაციასთან აქვს გაფორმებული, თუმცა ქეცბაია არის სახელმწიფოს მიერ დაქირავებული მწვრთნელი და მის ხელფასს ახლაც სახელმწიფო იხდის.

– კონტრაქტის ვადა როდის იწურება?

– ხელშეკრულება 2016 წლამდეა, თუმცა მე ამაზე არ გავამახვილებდი ყურადღებას. არა მგონია, ქეცბაიაში იყოს პრობლემა. ფაქტია, რომ კარგი ახალგაზრდები მოდიან, მაგრამ არ აქვთ სათამაშო პრაქტიკა თავიანთ კლუბებში. ნუკრი რევიშვილის მაგალითი ავიღოთ – არ ჰქონდა სათამაშო პრაქტიკა, მაგრამ როგორც კი "დილაში" გადავიდა და თამაში დაიწყო, მისი პოტენციალი ამოქმედდა და ეს, რა თქმა უნდა, სასარგებლოა ეროვნული ნაკრებისთვისაც.

– ეროვნულ ჩემპიონატზე და კლუბებზე გადავერთოთ. სპორტის მინისტრი დაგვპირდა – სახელმწიფო საკლუბო ფეხბურთს არ მიატოვებს და საამისო პროგრამა მალე გამოქვეყნდებაო. ფეხბურთის ფედერაციას რა ხედვა აქვს ამ საკითხზე?

– ხუთწლიანი პროექტი გვაქვს შემუშავებული, რაც სპორტის წინა მინისტრსაც გავაცანით. პროექტი მოიცავს იმასაც, რომ ტელევიზიით გაშუქდეს ეროვნული ჩემპიონატის ყველა მატჩი. ჩვენი პოზიციაა, რომ თუ სახელმწიფო დაეხმარება საკლუბო ფეხბურთს, ყველა გუნდმა ერთნაირი თანხა უნდა მიიღოს, საიდანაც ფედერაციაში ერთი თეთრიც არ უნდა შევიდეს. მიღებული თანხა კლუბმა უნდა გაანაწილოს და ეს უნდა დარეგულირდეს.

თუ სახელმწიფო ყველა გუნდს, დავუშვათ, 2 მილიონ ლარს მისცემს, კლუბს გაუჩნდება იმის შანსი, რომ კიდევ 2 მილიონი თვითონ მოიპოვოს, 4-მილიონიანი ბიუჯეტით კი უკვე შესაძლებელი გახდება კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებაც. სახელმწიფოს მიერ კლუბების დახმარება სოციალური პროექტი უნდა იყოს. ახლა კი არის შემთხვევა, როცა მუნიციპალიტეტი ვერ უვლის სტადიონს, ამას 3-5 ათასი ლარი სჭირდება და ნუთუ ასე უჭირს მუნიციპალიტეტს?

იცით, რომ პრობლემები იყო **"ზესტაფონში"** და ამ კლუბის მეპატრონე 31 დეკემბრამდე დაელოდება იმას, მზად იქნება თუ არა სახელმწიფო საკლუბო ფეხბურთის დასახმარებლად...

– გადაწყვეტილია, რომ უეფას სუპერთასი 2015 წელს თბილისში გაიმართება. უკვე აცნობეთ უეფას, თუ რომელ სტადიონზე ჩატარდება თამაში?

– დრო ჯერ კიდევ გვაქვს. მესხის სახელობის სტადიონზე ჯერაც რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. არის მეორე ვარიანტიც – პაიჭაძის სახელობის **"დინამო არენა"**. ელექტრონული ბილეთების გასასვლელები **"მიხეილ მესხზე"** უკვე დაამონტაჟა ფეხბურთის ფედერაციამ და უეფას სუპერთასის მატჩისთვის ეს ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა. **"დინამოს"** სტადიონს სხვა კონფიგურაცია აქვს, ელექტრობილეთების გასასვლელების დამონტაჟება დაახლოებით 1 200 000 ევრო დაჯდება და ვინ დაამონტაჟებს იქ ამ მოწყობილობას?

– მსაჯობის თემა სულ აქტუალურია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის თუ თასის გათამაშების შეხვედრებში. საფეხბურთო სამყაროში ღიად ლაპარაკობენ, თუ რომელი კლუბის რომელი მესვეური "გადის" მსაჯებზე და ალბათ ეს ხმები ფედერაციამდეც აღწევს. როგორ აპირებთ ამ საკითხის მოგვარებას?

– ამ საკითხზე უეფასთან ურთიერთობას ლევან ფანიაშვილი გაუძღვება. უეფა გადაამზადებს ჩვენს მსაჯებს. იცით, რომ სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობა ჯერაც ვაკანტურია და დაწყებული გვაქვს მოლაპარაკება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს კომიტეტი უცხოელმა სპეციალისტმა ჩაიბაროს.

– ფედერაციის სხვა უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვით?

– ფედერაციას ამ დროისთვის გასტუმრებული აქვს ყველა ვალი, მისი აქტივი შეადგენს 107 მილიონ ლარს და მალე ის კიდევ უფრო გაიზრდება. მესხის სტადიონთან კიდევ ერთ მოედანს ვაკეთებთ ცალკე ინფრასტრუქტურით და გვინდა, ეს ახალი სტადიონი 20 ოქტომბრისთვის იყოს მზად, ანუ 19-წლამდელთა ნაკრების შესარჩევი ეტაპისთვის.

– ფედერაციის პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში აპირებთ მონაწილეობას?

– არა. სადაც კი მუშაობა დამიწყია, არ ყოფილა ისეთი სიტუაცია, რომ ფეხი ფეხზე გადამედო და ყავა დამელია. ყველგან ანტიკრიზისული დირექტორი ვიყავი და დგება დრო, როცა ორგანიზაცია უკვე ძლიერია და უნდა წახვიდე.

პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე ერთი წელი მრჩება და მანამდე კიდევ ავაშენებ რაღაცას. 17 და 19-წლამდელებმა ითამაშეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და იმედია, ახლა ჩვენი 21-წლამდელთა ნაკრებიც მოხვდება იმავე სტადიაზე.

მოვიპოვეთ უეფას სუპერთასის მასპინძლობის უფლება და როცა უეფას პრეზიდენტი და აღმასკომის წევრები სუპერთასზე თბილისში ჩამოვლენ, მათ უკვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სხვა პრეზიდენტი მიიღებს...

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი



თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია ალექსანდრე ქართველის მუზეუმში

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დასასრულს საქართველოს თავდაცვის მინისტრი აშშ-ში მოღვაწე ცნობილი ქართველი ავიაკონსტრუქტორის ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილის) მუზეუმს ესტუმრა. ირაკლი ალასანიამ, თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის წევრებთან ერთად, ლეგენდარული ქართველი ავიატორის მიერ შექმნილი ამერიკული სამხედრო-საბრძოლო თვითმფრინავები დაათვალიერა.

თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის წევრებმა ნიუ-იორკში, ლონგ აილენდზე ქართველი ავიატორის საფლავიც მოინახულეს და პატივი მიაგეს მის ხსოვნას. როგორც ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, **"ალექსანდრე ქართველი აშშ-ის სამხედრო ავიაციის სამხედრო დომინირების ფუძემდებლად ითვლება. მისი სახელის წამოწევა ქართულ-ამერიკულ ურთიერთობაში ორივე ქვეყნის საზოგადოებისთვის კიდევ ერთი შეხსენება იქნება, თუ რა ღრმად მიდის ქართულ-ამერიკული მეგობრობის ფესვები"**. მისივე თქმით, თბილისში ალექსანდრე ქართველის სახელობის მუზეუმის შექმნაა გადაწყვეტილი.

ალექსანდრე ქართველის სახელს უკავშირდება 14 ამერიკული სამხედრო-საბრძოლო თვითმფრინავის შექმნა, მათ შორისაა -35, -47, -84, -105 და -10. ეს ის თვითმფრინავებია, რომლებსაც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები ყველაზე მასშტაბურ სამხედრო კამპანიებში იყენებდნენ – II მსოფლიო ომში, კორეაში, ვიეტნამში, ერაყში, ავღანეთში და ა.შ. ქართველი ავიაკონსტრუქტორის მიერ შექმნილი ერთ-ერთი სამხედრო-საბრძოლო თვითმფრინავი -10 Thunderbolt II ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებაში დღემდე გამოიყენება. ალექსანდრე ქართველი აშშ-ის ატომურ და **„ნასას"** პროექტებშიც იყო ჩართული.

იუმორი

* * *

– ჩაგჭრეს? – ეკითხება კონსერვატორიაში ბულბულს მამალი.

– ჩამჭრეს, ჩამჭრეს!

– მერე, სამართალია ეგ?! ყვავი მიიღეს, შენ კი ჩაგჭრეს!

– ყვავმა ინგლისურად იმღერა!

* * *

მოსამართლე განასჯელს:

– თქვენ ამტკიცებთ, რომ ცოლი მეცხრე სართულიდან გულმავიწყობის გამო გადმოაგდეთ?

– დიახ, ბატონო. რომ გადმოვაგდე, მერე გამახსენდა, რომ ბინა გამოვიცვალეთ. ადრე პირველ სართულზე ვცხოვრობდით.

* * *

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აგიტატორი გიუებს ლექციას უკითხავს, თუ როგორი საამური ცხოვრება გვაქვს ფასების მატების გამო. გიუები თავგამოდებით უკრავენ ტაშს.

– შენ რატომ არ უკრავ ტაშს? – ეკითხება ერთ-ერთს, რომელიც თავისთვის დგას კარებთან.

– მე სანიტარი ვარ, ბატონო...

* * *

ორნი საუბრობენ კორპუსთან.

– რა ჭკვიანია, ჩვენი ახალი მეზობელი!

– რაში გამოიხატება მისი ჭკუა?

– წამლები რომ გააძვირეს, ხომ იცი!

– ეგ ვინ არ იცის.

– ჰო და, ჩვენი მეზობელი იაფფასიან წამლებს ყიდულობს და იმის მიხედვით ხდება ავად!

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ძობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge